

მეფეა



№7 2014წ.

კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი
ასტროლოგიის ინსტიტუტი, ცეცხლოვან ცენტრთა
ცეცხლოვანი მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტი
“ გ უ ლ ი ”

ლამაზად შეილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!

ვაჟა-ფშაველა

სარჩევო

- | | | | |
|--|----|--|----|
| 1. მიმართვა მკითხველს | 3 | 7. ნონ მახსაანის წერილი | 33 |
| 2. საზოგადოებრივი ცნობიერების
პარტია | 5 | 8. ამონარიდები აგნი იოგადან | 34 |
| 3. გამოსმაურება იუნესკოდან | 12 | 9. საქართველოს პარლამენტს | 35 |
| 4. ჩვენი სულიერი ფუნდამენტი | 14 | 10. უცნობის ჭა | 40 |
| 5. ხილული იზიდა | 20 | 11. პარაცელსი ვარდი | 41 |
| 6. ათასწლეულების ამოცანა, – განა-
თლებას! | 22 | 12. სიყვარულის ათი საიდუმლოება | 47 |
| ასტროლოგია | 25 | 13. ჭეშმარიტება ბავშვის ენით
ლაპარაკობს | 52 |
| აინშტაინი და რწმენა უფლისადმი | 31 | 14. სიბრძნის კონა | 61 |

მთავარი რედაქტორი: თამაზ თავაძე

www.agniyoga-ge.com

Email: tpt3839@mail.ru

UDC(უღკ) მ-483

მიმართვა მკითხველს

ბედნიერება უფრო მეტად ჩვენს მოქმედებებსა და შინაგან ფასეულობებზეა დამოკიდებული, ვიდრე იღბალსა და გარემო ფაქტორებზე. ადამიანს, რომელიც საკუთარ თავში მაღალ ღირებულებებსა და ცოდნას ნერგავს, უიღბლობასთან გამკვლავების ძალაც შესწევს.

/არისტოტელე/

ძალზედ დასანანი, რომ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა გონება, მრავალი წერილმანი და უსარგებლო საქმიანობითაა დაკავებული.

ჩვენ გვსურს (და კიდევ ვახორციელებთ ცვენს სურვილს) შევქმნათ სრულიად უჩვეულო, დღემდე არარსებული პარტია იმ ხალხისაგან, რომლებიც სრულიად თავისუფალნი არიან, ან ცდილობენ განთავისუფლდნენ, ნებისმიერი ხასიათის სიძულვილისა და მიუღებლობისაგან, იქნება ეს ეროვნული, რასობრივი, პარტიული, რელიგიური თუ სხვა მრავალფეროვან სახეობათა სიძულვილის ნებისმიერი ფორმა.

ჩვენ სრულიად ახალი ხასიათისა და იდეოლოგიური შინაარსის პარტიაში ვიწვევთ მეცნიერებს, საზოგადო (და არა პარტიულ) მოღვაწეებს და, რა თქმა უნდა, ლალ, თავისუფალ და სილამაზისაკენ შემართებულ გულწრფელ ახალგაზრდობას, რომლებთან ერთადაც გულწრფელ და ღია ურთიერთობაში ჩვენ შევქმნით სრულიად ახალ საქართველოსაც და ახალ მსოფლიოსაც. საამისოდ ჩვენ უკვე დიდი გამოცდილება გვაქვს, რადგან ათეული წლების განმავლობაში იდეოლოგიის დონეზე (და ზოგჯერ პრაქტიკულადაც) ვმუშაობდით და დავამუშავეთ კიდევ ფუნდამენტალური იდეები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ვუზრუნველყვით ჩვენს მიერ აღებულ მიმართულებას, როგორც იდეოლოგიურად ასე პრაქტიკულად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებით. ამიტომაც, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტიის სახელწოდება გახლავთ, – „საზოგადოებრივი

ცნობიების პარტია.” გასაგებია, რომ ამ პარტიის იდეოლოგია იმდენად დიდია და საყოველთაო, რომ იგი სხვა დიდი იდეოლოგიის მქონე პარტიების მსგავსად, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკურ მოძრაობად გარდაიქმნება.

ასეთი იქნება ჩვენი პარტია, რამეთუ სრულიად უჩვეულო საკაცობრიო ღირებულებებს ვთავაზობთ საქართველოსაც და მსოფლიოსაც და ეს ღირებულებები ერთი თავით უფრო მაღლა დგანან ყველა მსოფლიო იდეოლოგიაზე თავისი სიახლეებით, თუმცა მსოფლიოს უდიდესი სხვა პოლიტიკური პარტიების ყველა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ღირებულებებსაც ვიზიარებთ.

აი ჩვენი ის ახალი ღირებულებები, რაც არსებული მსოფლიო პოლიტიკური იდეოლოგიებისა და პოლიტიკური პლატფორმების ზეაღმატებული ღირებულებებ წარმოადგენენ:

1. ადამიანისა და საზოგადოების, კაცობრიობისა და ღმერთის წინაშე ადამიანთა მოვალეობანი.

ეს მიმართულება, როგორც იდეოლოგია, ფუნდამენტალურადაა დამუშავებული იმდენად სრულყოფილად, რომ ჩვენს მიერ შექმნილი „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია“ იუნესკოს ღირექტორმა მოიწონა და, ასევე იუნესკოს კურატორმა, ვლადიმერ ლომეიკომ ამ დეკლარაციის პროექტი (თავის დროზე) გადაუგზავნა საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბ-ნ ზურაბ ჟვანიას განხილვისათვის და დასრულებული ვარიანტის საქართველოში რატიფიცირებისათვის!!!

2. ასევე ფუნდამენტალური იდეა გახლავთ დღეს არსებული ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შემდგომი ევოლუცია ასეთი დასახელებით:

XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა დეკლარაციის იდეოლოგიურ ევოლუციას და მისი არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ახალ ვერსიას არ ესაჭიროება საერთაშორისო ექსპერტები თუ ორგანიზაციები, ვთქვათ იგივე ომბუდსმენის აპარატის სახით, ან სახელმწიფო დაფინანსება და კაპიტალური დაბანდებანი, რამეთუ ყოველი ადამიანი საკუთარ თავში განახორციელებს იმ უფლებებს, რომლებიც ღვთისაგან აქვს მას (ადამიანს) ბოძებული და იგი თვითრეალიზაციის მეთოდით ხდება რჩეული კაცობრიობის ბინადართა შორის. ასეთი ადამიანი კაცთმოყვარეობისა და სათნოების, ღმრთისა და ადამიანთა მსახურის განსახიერება ხდება.

3. უადრესად პრაქტიკული და მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ჩვენ აღვადგინეთ საუკუნეებში ჩაძირული, და პრაქტიკულად დაკარგული ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, გაახალგაზრდავებისა და უკვდავების “ოქროს საწმისი” ფილოსოფიურ-პრაქტიკული მეთოდები.

ჩვენი წევრები,—ასაკის მიუხედავად,— ვრცლად ჩაებმებიან ამ უნიკალური მეთოდის ათვისებაში ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღებისათვის.

და ბოლოს, მეოთხე:

4. ჩვენ დავაარსეთ:

კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი (კ.მ.კ.ც.) და მასთან არსებული:

„ასტროლოგიის ინსტიტუტი“;

ცეცხლოვან ცენტრთა ცეცხლოვანი მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტი
„გული“;

და გამაჯანსაღებელი ცენტრი,—

„ოქროს საწმისი“

ვისაც მოყვასის პატივისცემის, შემწყნარებლობის, მიტევებისა და სი-

ყვარულის უნარი გააჩნია ვიწვევთ ჩვენთან ამ ახალი, სრულიად ახალი შინაარსის პარტიის რიგებში.

ერთად ავადორძინოთ ძმობა,
ადამიანობა და სიყვარული ერთში,
კავკასიაში და მთელს მსოფლიოში!!!

P.S.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენ გაგვიჩნდება სრულიად აშკარა და მკაფიო წარმოდგენა იმაზედ, თუ ვინა ვართ ჩვენ სინამდვილეში და როგორია ჩვენი დანიშნულება ამ დედამიწაზედ. ამით ჩვენ გავაცნობიერებთ იმასაც, რომ ჩვენ თავად ვქმნით საკუთარ რეალობებსა და გამოცდილებებს, რომელთა შედეგადაც ჩვენ არა მხოლოდ შეგნებული შემოქმედნი ვხდებით, არამედ შემოქმედებას, როგორც ღვთიურ თვისებას, საკუთარივე თავში გავაცნობიერებთ,—ანუ ჩვენ ჩავწვდებით ქრისტეს სიტყვებს: “... მე თქვენში, თქვენ ჩემში და მე მამაში...”

ასე მოხდება მოქალაქეთა, მთელი მოსახლეობის, ერებისა და ქვეყნების შერწყმა, საყოველთაო განათლება, კულტურათა ზრდა, მსოფლიოს ერების ურთიერთობათა მოწესრიგება და სხვა მრავალი სიკეთე...

ჩვენი ამოცანა ადამიანთა ჩვენს ჭკუაზე მონათვლა, ერთ სჯულსა და ერთ რომელიმე პოლიტიკურ კონცეფციაზე მორგება როდია. ასევე არ ვხეებით არც პიროვნულ თავისებურებებს და არცა ეროვნულ თვითმყოფადობას.

არა, არა და არა!

ჩვენი მიზანია მოვაცილოთ ადამიანებს შიში, წუხილი, გაუნათლებლობა, შუღლი, სიძულვილი და უამრავი უარყოფითი ის ემოციები, რომლებსაც ნერგავს სატანა და მისი ბნელი მოციქულები.

ჩვენ ვამბობთ, რომ სიყვარული ერთნაირია ნებისმიერი რასის, სჯულის თუ ერისათვის და ამ სინათლეში უნდა გავერთიანდეთ ყველა ისე, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა შევინარჩუნოთ ჩვენ-ჩვენი თვითმყოფადობა.

ყველას მუდმივად უნდა გვანსოვდეს ის, რაც ჩვენ გვაერთიანებს, და არა ის, რაც განსხვავებულია ჩვენში, რადგან განსხვავებანი იწვევენ ჩვენს შორის გაუცხოებას და გათიშულობას.

საზოგადოებრივი ცნობიერების პარტია

(იდეოლოგიური საფუძვლები)



პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

საზოგადოებრივი ცნობიერების პარტიის იდეა, ეკუთვნის მსოფლიოს უდიდეს (ეროვნებით რუს) მოქალაქეს, საზოგადო მოღვაწეს, განმანათლებელს, კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს და გამოჩენილ მოღვაწეს მთელს ისტორიაში, – ელენე ბლავატსკაიას. იგი ის უდიდესი შემოქმედია, რომელმაც სხვა მანდილოსნებთან ერთად, უბრწყინვალეს ელენე რერიხის წინამძღოლობით, შექმნეს XIX, XX და XXI საუკუნეების ახალი საკაცობრიო იდეოლოგია.



პარტია იქმნება საქართველოში, მაგრამ საქართველოდან იგი მთელს მსოფლიოს მოეფინება ისე, როგორც, – ლეიბორისტების, კონსერვატორების, დემოკრატების, თუ სხვათა ღირსეული პარტიები.

ეს პარტია ფრიად განსხვავებული იდეოლოგიის შინაარსის მქონე პარტიაა,

რადგან იგი კი არ ეყრდნობა საზოგადოებაში უკვე არსებულ კლასობრივ თუ სხვა ნიშნით აღნიშნულ უკვე არსებულ საზოგადოებრივ ფენებს, არამედ ქმნის ისეთ ადამიანთა პარტიას, რომელთა სულიერი და ინტელექტუალური დონე განსაკუთრებით აკმაყოფილებს მსოფლიოს უმაღლეს ინტელექტუალურ, სულიერ და მორალურ მოთხოვნილებებს, რომლებიც საკუთარი ღირსების ამადლების მარადიულ მიზანს წარმოადგენენ.

პარტიას საფუძვლად ჩაედება დღევანდელი კაცობრიობისათვის სრულიად ახალი და უჩვეულო საზოგადოებრივი და სამყაროსეული იდეები:

ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია

და

XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია

რელიგიების მორალურ-ზნეობრივი საფუძვლები დროა გავიზიაროთ როგორც უდიდესი სულიერი და მორალური ის ღირებულებანი, რომლებიც ეკუთვნის ერს და არანაირად არ წარმოადგენს რელიგიათა მონოპოლიას, რის გამოც ისინი ერის საზოგადოებრივი სივრცის გააზრებულ კუთვნილებად უნდა გადავაქციოთ, როგორც მისი განუყრელი მოთხოვნილებანი და თვისებანი. ამის უფლებასაც და საშუალებასაც იძლევა ამ პარტიის ფუნდამენტალური დოკუმენტი, – ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია.

ასევე საჭიროა შემოვიტანოთ უკვე არსებული, უდიდესი და უძვირფასესი ღირებულების მქონე საკაცობრიო იდეის, – ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შემდგომი, განვითარებული იდეა: XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

ადამიანის, ამ ახალი უფლებების დეკლარაციის, უკვე არსებულ უფლებათა დეკლარაციისაგან უმთავრესი განსხვავება ის გახლავთ, რომ არსებული დეკლარაციის ცხოვრებაში დანერგვას დასჭირდა საერთაშორისო ორგანიზაციების, ომბუდსმენის სამსახურის შექმნა და ამგვარი საერთაშორისო საზოგადოებები იცავენ დღეს ადამიანთა უფლებებს მთელს მსოფლიოში. XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, თავის მხრივ, არ საჭიროებს არანაირ მსგავს საზოგადოებრივ დამცავ დაწესებულებებს, რადგან ყოველი ადამიანი თავად განახორციელებს მასში არსებულ იმ ღირსებებსა და თვისებებს, რომლებიც ღვთისგანაა ბოძებული მისთვის და მისგან ითხოვს მხოლოდ ძალისხმევასა და მის პირად პასუხისმგებლობას განავითაროს საკუთარ თავში დეკლარაციაში გაცხადებული ღვთისაგან ბოძებული ყველა უფლება, რათა მიაღწიოს დედამიწაზე დაბადების მის იმ ერთად ერთ მიზანს, რისთვისაც იბადება ყოველი ჩვენთაგანი აქ, ამ დედამიწაზე.

ყოველი აღნიშნული დეკლარაცია იქნება გამოქვეყნებული აქ, ამ ჟურნალში, შესაბამისი რიგითობით.

ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ კაცობრიობის სივრცეში რელიგიათა მნიშვნელობა, რადგან მასებზე მათი ზეგავლენის სისუსტე, ერთის მხრივ, და მასების რელიგიისადმი საშიში ნიჰილიზმი, მეორეს მხრივ, აისახებიან ადამიანებზე როგორც ყველაზე დიდი საფრთხე ადამიანთა თანაარსებობისათვის, რადგან მათი ღრმად გააზრებული ზნეობა და რწმენა, და არა ფანატიზმი, სახელმწიფოთა მდგრადობის საფუძველს წარტმოდგენენ. და ეს ახალი როდია, ვინაიდან ხელისუფლება უფრო წარმატებულია ქვეყნის მართვის ყვე-

ლა საკითხში, თუკი ერი და ქვეყანა რელიგიებისაგან მოწესრიგებულია ზნეობრივად. ღმრთისა და ზეციური იერარქიისადმი დღევანდელი ურწმუნოება ყველაზე მეტად დანაშაულებრივი სიველურება, რადგან ურწმუნო ადამიანის ღრმა უმეცრებაზედ მეტყველებს, რასაც ჰიპოკრატეს უტყუარი დიაგნოზიც აღასტურებს: „კაცობრიობის ერთადერთი უმძიმესი სნეულება, – უმეცრებაა.”

აღნიშნული მიდგომა ახალ იდეოლოგიურ მუხტს შეიტანს მსოფლიოში და კონკრეტულად კი, ჩვენი „საზოგადოებრივი ცნობიერების პარტია“, დამკვიდრდება მსოფლიოს საზოგადოების ცნობიერებაში და სხვა პარტიების მსგავსად, ასევე მსოფლიო მნიშვნელობისა გახდება. ეს პარტია, მომავალში ერებისა და ქვეყნების ღირსებისა და სინდისის პარტია გახდება მთელს მსოფლიოში.

სხვა პარტიებთან ერთად, ამ განსაკუთრებული პარტიის გარეშე ოქროს ხანა და მეექვსე რასა ვერ შესდგებიან.

მიმართვა პარტიის მომავალ წევრებს

ჩვენი პარტიის რიგებში შემომავალმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ უნდა ემსახურონ ისეთ არაორდინალურ მოვლენას, რომელსაც მთლიანობაში კაცობრიობა წარმოადგენს და კონკრეტულად ქვეყნის შიგნით კი, – ადამიანს. საქმე იმაშია, რომ ის ადამიანები, რომელთა მსახურებას და ცნობიერების ამაღლებას უნდა ვემსახუროთ, ფრიად გაუგონარი სირთულის არსებანი არიან: თუ მათ ჭეშმარიტებას გაანდობ ისეთს, რომელიც მთელს მათ ცხოვრებას გარდაქმნის სიკეთისაკენ, – რადიკალისტს გიწოდებენ; თუ ეცდები რაიმე დაუმტკიცო მათ, – ისინი გაჯიუტდებიან საკუთარი ინსტინქტების დასაცავად; თუ სხვა მხრივ თქვენ მათ მიმართ (გასაგები მიზეზების გამომ) უყურადღებობას გამოიჩინოთ, ისინი საკუთარი ბედის მიმართ გულგრილობაში დაგადანაშაულებენ. ვინც ჩვენს პარტიაში

შემოვა ეს უნდა გაითვალისწინოს და მზად იყვეს იმისათვის, რომ გაუგებრობა, ჩვენი საქმიანობის არასწორი გაგება და უფრო მეტიც, ჩვენს მიერ ნათქვამის გაუკუღმართება და სრულიად საპირისპიროდ წარმოჩენა იქნება ჩვენს მიმართ ადამიანთა რეაქციები და ეს არც უნდა გაგიკვირდეთ, და არც უნდა დაივიწყოთ რათა გაითვალისწინოთ, რომ მათი ცნობიერება ჯერ არაა შესაბამისად მომზადებული.

ასე რომ ჩვენ, ჩვენი საქმიანობით მაინც გარდავქმნით საზოგადოებას, როგორც ერში, ასე მსოფლიოშიც და თუ ვინმეს ჩვენს მიმართ ეჭვი გაუჩნდება, იგი საკუთარი ცხოვრების მწარე გაკვეთილების შედეგად დარწმუნდება ჩვენს სიმართლეში. ამიტომ, ადრე თუ გვიან, კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს მაინც გაერთიანდება, ადამიანის მოვალეობათა და საკუთარი თავის წინაშე უფლებათა დეკლარაციების რეალიზების გამო.

ი დ ე ო ლ ო გ ი ა

ჯერ უნდა აღინიშნოს ის თუ რა ჭაობში ვართ ჩავარდნილი დღეს, რათა შეფასდეს საჭირო და აუცილებელი ის იდეოლოგია, რომლითაც საერო და საგარეო სივრცეში შემოდის „საზოგადოებრივი ცნობიერების პარტია“

მსოფლიოსა და კერძოდ ერის ყველაზე სამარცხვინო საქციელი, რაც მის გასაოცარ, მდაბალ მენტალიტეტსა და სულიერებაზე მეტყველებს არის ის, რომ მისი საარჩევნო ხმები იყიდება და ეს სენი სრულიად საკაცობრიო სენია სადღეისოდ. ამაშია მისი განწირულობა, რადგან არავინ იცის ვინ იყიდის მას, მის ხმებს – ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან, – რაც ქვეყანას მყისიერად ვისიც გნებავთ იმის მარიონეტად გადააქცევს. და ღალატის ეს ფარული ფორმა, ჩამოუცილებელ სამარცხვინო ღალატად იწერება (ან უკვე ჩაწერილია) ყოველი ერის ისტორიაში.

ნუთუ ეს გასაგები არაა?!

ნუთუ არ დადგა ჟამი იმისა, რომ ისტორიულად ასე ღალატად ჩამოყა-

ლიბებული ღირსება, სიბრძნე, და თვითმყოფადობა ერებისა, არ გახდეს არჩეულთა და ამომრჩეველთა, ხმის მიცემისა და მიღების ერთადერთი შინაარსი?! კონკრეტულად ჩვენს ქვეყანაშიც, აიეტისა და რუსთაველის ღირსებები ითხოვენ ამას თავისი მოქალაქეებისაგან და ყველა ქვეყანას ყავს თავისი

შოთაც და აიეტიც...

მაგრამ ჩვენ უშეღავათონი ვართ ეგრეთწოდებული „ნელთბილები“-ს მიმართაც, რადგან... ყველაზე მეტად ჩვენ გვაწუხებს ინერცია, რომელსაც კეთილი ნების ადამიანები ამჟღავნებენ, ანუ ისინი, ვინც ხშირად მხოლოდ საკუთარი სიკეთით კმაყოფილდებიან და, თუ საკუთარ თავზე არ კისრულობენ ქრისტეს არსის მატარებელ არსებათა მოვალეობებს (რადგან ევალებათ მიმართონ საკუთარი ძალისხმევა დმერთისა და ადამიანების სასიკეთოდ),-უპირველეს ყოვლისა განსა-



ზღვრონ მაინც საკუთარი თავი სინათლის რიგებში, და ებრძოლონ უმეცრებას, ბოღმას, ცრურწმენას, სისხლსა და ხორცში გამჯდარ მანკიერებას.

ჩვენ როდი ვამბობთ, რომ ეს რისკთან დაკავშირებული არაა, რადგან ისინი, ვინც კაცობრიობას ჩაგრავეს, უკან დახევას ბრძოლის გარეშე როდი აპირებენ. ისინი არც საკუთარი საქმის მიტოვებას არ აპირებენ, რარიგადაც ეგოისტური და მდაბიო არ უნდა იყვეს მათი ზრახვები. ეს მათი ბუნების ნაწილი გახდა და შეესისხლხორცა კიდევ მათ ისე, როგორც არცერთ სხვა იდეას. ისინი არღვევდნენ

ღმრთის კანონს იმდენ ხანს, რომ საკუთარი თავისათვის კანონად გარდაიქცნენ. უბიწონი უნდა ერიდებოდნენ მექანიკურ სიწმინდეს. „მექანიკური სიწმინდე ღმერთს ერთგულებაში ეფიცება მისი კანონების მიმართ და ერთგულებს კიდევ მის გარეგნულ ფორმებს და არა მისი სულისა და სიკეთის არსს.“ (მასწავლებელი - «R»)

აი ასეთი სავალალო მდგომარეობიდან ვიწყებთ ჩვენი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნასაც და ურთულესი მდგომარეობიდან შიდაეროვნული და საერთაშორისო სივრცის გარდაქმნასაც საყოველთაო სიკეთის იდეის გულისათვის. ჩვენ ამის სურვილიცა და შესაბამისი ის პრაქტიკული ნაღვაწიც გავაჩნია, რომელიც უფლებას გვაძლევს არა მხოლოდ ასეთი თამამი განცხადება გავაკეთოთ, არამედ, ჩვენის მხრივ, შევძინოთ კიდევ მსოფლიოს აიეტისა და რუსთაველის სამშობლოს სულიერი და პრაქტიკული ღირებულებანი, რასაც მსოფლიო დაინახავს რეალურად და ასევე რეალურად შეაფასებს კიდევ მას.

* * *

იმისათვის, რომ პრობლემა ამოვტვიფროთ, დავსვათ სამი ფუნდამენტალური შეკითხვა:

I. მოდით და მივცეთ თავს უფლება გავარკვიოთ ის, თუ რატომაა ერები თუ სახელმწიფოები ასეთ სავალალო მდგომარეობაში?

II. გავარკვიოთ ისიც, თუ რა საფუძვლები ჩაედო ძველბერძნულ დემოკრატიას, როდესაც იგი ქმნიდა უდიდესი ღირებულების მქონე თანაცხოვრების იდეას, – დემოკრატია?

III. რა არის იდეალურად სასრულ სახელმწიფოთა ევოლუციის ის ფორმაცია, რომელიც დაასრულებს ქვემოთ დასახელებულ სწეულ, სახელმწიფოთა ფორმაციების დაუსრულებელ მონაცვლეობას:

ტირანია, თიმოკრატია, ოლიგარქია, დემოკრატია,

და... ისევ თიმოკრატია, ოლიგარქია... და ასე შემდეგ.

პასუხი პირველ შეკითხვაზე:

ერები და სახელმწიფოები ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან იმის გამო, რომ ბოლომდე არაა გააზრებული ყოველი ის გამოწვევა ეროვნულ სივრცეში, რომელმაც შესაძლებელია თავი იჩინოს ჩვენს სახელმწიფოში. და თუ ყოველი დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსში არ იქნება გათვალისწინებული შესაბამისი კანონი, როგორც მუქარა ბოროტმოქმედის მიმართ, მოსალოდნელი უწესრიგობა მოხდება, თუკი რა თქმა უნდა, ასეთი მდაბიო ადამიანი გამოჩნდება ერში. ამიტომ საჭიროა ყოველი მოსალოდნელი დანაშაულის გათვალისწინება, რაც ბერძნული დემოკრატის ფუნდამენტალური კანონი გახლდათ, და რაც ასე აკლია დღევნდელი დასავლური დემოკრატის იდეას.

ასეთი მიდგომა, როგორც ეს იყო საბერძნეთში, მოიტანს ჭეშმარიტ დემოკრატიას, – და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყველა მოსალოდნელი დანაშაულის გათვალისწინება მოახერხეს ბერძნული დემოკრატის შემოქმედმა ფილოსოფოსებმა, – ანუ სახელმწიფოში ადამიანთა თანაცხოვრების შესანიშნავ სისტემას.

ასე რომ, ჩვენს პირველ შემთხვევას პლატონი პასუხობს ზუსტად ისევე, როგორც ეს ჩვენი პარტიის ამ დოკუმენტშია გაცხადებული დანაშაულის მიმართ: მოსალოდნელი დანაშაული უნდა იყვეს გათვალისწინებული და მიღებულ იქნას შესაბამისი კანონი, თუმცა უმჯობესია, რომ მან (კანონმა) არასოდეს არ იმუშაოს იმის გამო, რომ საზოგადოება უფრო ცივილიზებულია ასეთი დანაშაულის გამომწვევი მიზეზის შესაქმნელადაც კი. მაგრამ თუ ასეთი გადახრა მაინც მოხდა, – დამოკლეს მახვილიც აღმართული დახვდება დამნაშავეს, – და ბოროტმოქმედიც დაისჯება. ამ პირველ შეკითხვაზე აი როგორ პასუხობს თავად პლატონი: “...და უცებ ჩვენ დაფუძნებთ, რომ ასეთ სრულყოფილ ქვეყანაში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ასეთ უდიდეს დანაშაულთან აქვს საქმე, რომელიც სხვა ქვეყნებში წარმოადგენს გაფუჭებულობის შედეგს.

ამ შემთხვევაში იძულებული ვართ შევქმნათ კანონი, რათა დავასწროთ მოვლენებს და დავემუქროთ (არსებული კანონით) ბოროტმოქმედს უმკაცრესი სასჯელით იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი გამორჩეულია.”

პასუხი II-ე შეკითხვაზე:

ისევ პლატონს დავესესხოთ: „როგორც ჩანს კანონთა ერთი ნაწილი დაადგენს



წესიერ ადამიანთა ერთგვარ სახეს იმ ერთადერთი მიზნით, რომ ასეთ ადამიანთა გვარს ასწავლოს, თუ როგორი ურთიერთობა უნდა დამყარდეს მათ შორის, რათა მშვიდობიანი თანაცხოვრება ააწყონ. სხვა კანონები კი მტკიცდებიან იმ ადამიანთათვის, რომლებსაც არ მიუღიათ აღზრდა და ამიტომ მათ დაუმორჩილებელი ბუნება ახასიათებთ, რომელსაც ვერაფრით ვერ მოღრეკ,—ასეთი ადამიანებისათვის

კანონები იმ მიზნით იქმნება, რომ არ მიეცენ საბოლოო მანკიერებას. ზუსტად ასეთი ადამიანები გვაიძულებენ ჩვენ იმას, რომ ითქვას ის, რის თქმასაც ვაპირებთ.

კანონმდებელი აძლევს მათ კანონებს მხოლოდ იძულებით, თუმცა ურჩევნია, რომ ეს კანონები არ იყვნენ გამოყენებული არასდროს.

თუ ვინმე გაბედავს დედის, მამის თუ მათი მშობლების ძალადობას და შეურაცხყოფას, რადგან არ ეშინია არცა მადალი ღმერთებისა, არცა შურისძიებისა, რომელიც ელოდება, როგორც თვლიან, ჯოჯოხეთში; თუ ასეთმა ადამიანმა რომელმაც თითქოს იცის ყოველივე ის, რაც სინამდვილეში მან არ იცის, ეზიზღება ძველი, ყველასაგან მონაცოლი ამბები და იქცევა კანონის სრული უგულებელყოფით, მაშინ, რათა ასეთი ადამიანი აილაგმოს და დანაშაული არ ჩაიდინოს, საჭიროა მიღებულ იქნას უკიდურესი ზომები.

სიკვდილი როდი იქნება ასეთი უკიდურესი ზომა; უფრო ტანჯვა, რომლებიც, როგორც ამბობენ, ჯოჯოხეთშია და რაღაც მასზე უფრო მწარეც კი. თუმცა, ისეთი მოძღვრებებიც კი, რომლებიც უზენაეს ჭეშმარიტებას ახმოვანებენ, ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ ასეთებზე და ვერ აკავებენ მათ ამგვარი დანაშაულისაგან. რომ აკავებდნენ დანაშაული ხომ არ იქნებოდა?! მაშინ ხომ ვერ იარსებებდნენ დედის მკვლელები, გაკადნიერებულები, უფროსი ნათესავების ფიზიკური შეურაცხყოფის მიმყენებლები?”

პასუხი III-ე შეკითხვაზე:

მრავალი რელიგიების უსაფუძვლობა სადღეისოდ, განპირობებულია იმით, რომ კაცობრიობა მთელს თავის იმედებს ყოველივე წარმავალის მიმართ ამყარებს. მას სურს სამუდამოდ დაამკვიდროს ჩვეული, ნაცვლად იმისა, რომ ღმრთისაგან დანაპირებისაკენ გაეშუროს. ჩვეული კი არის ყოველივე ის, რაც არ არსებობს როგორც მარადიული და ადამიანს არ სურს (ან არ შეუძლიან) იმ უმარტივესი ჭეშმარიტების გაგება, რომ ყველაზე გემრიელი საკვები, ყველაზე კარგი სუფრა

ან სხვა რომელიმე სიამოვნება მარადიული როდია. საკმარისია მოცილდე მაგიდას და უგემრიელესი საკვების გემო გაქრება, ისევე როგორც ნებისმიერი სიამოვნება, იგი მარადიული არაა რადგან ითხოვს მის მრავალგზის განმეორებას, რაც ასე რთულ და მოსაბეზრებელ საზრუნავს წარმოადგენს. ასე ყველაფერში, დაწყებული საკვებიდან თუ აგარაკიდან და დამთავრებული ახალგაზრდობით თუ სექსით, ყველაფერი წარმავალია, და რაც მთავარია, – სწეულებანი, სიბერე და სიკვდილი დაასრულებენ ნებისმიერ ილუზიას წარმავალ ბედნიერებაზე.

პასუხი მარტივია: ყოველივე ცხოვრებისეული საჭიროა, მხოლოდ არა ისე, რომ ეს სიცოცხლის მხოლოდ ერთადერთი მიზანია და შინაარსი, არამედ საჭიროა როგორც საშუალება, რათა უზრუნველყო ლამაზი სიცოცხლე ერთადერთი მიზნისათვის, – მიაღწიო ცათა სასუფეველს აქ, ამ დედამიწაზე. უფალი იესო ხაზგასმით აღნიშნავდა ჩვენი სულიერი პოტენციალის მნიშვნელობას, – რაც ყოველი ინდივიდის ნიჭისა და უნარების გამოვლინებასა და განვითარებას გულისხმობს, რათა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა და მოვასხმაროთ ისინი ღმრთის ჩვენში გამოვლინებას. ზეცის ჩანაფიქრია არა ადამიანთა განკითხვა, არამედ მათი განთავისუფლება, და ეს თავისუფლება ჩვენს ხელშია როგორც ღმრთის უზენაესი ნობათი. ჩვენს კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრში, უკვე ოცი წელია რაც სწეული თუ ჯანმრთელი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ვარჯიშობენ “ოქროს საწმისის” სრულყოფილების სისტემით და ჯანმრთელობას, ახალგაზრდობასა და მხნეობას პოულობენ საკუთარ თავში, საკუთარივე თავისათვის თვითონვე, სხვათა დახმარების გარეშე. სიტყვები “ღმერთს ვინც უყვარს, იმასვე სჯის” უკვე აღარ აშინებთ არც ჩვენი საზოგადოების წევრებს და არც ჩვენს პაციენტებს, რადგან “ოქროს საწმისის” ჩვენმა სისტემამ გაშიფრა და გამოამზიურა უფლის ზემოთმოყვანილი სიტყვები: „ღმერთი სჯის იმას ვინც უყვარს” და გვესმის ჩვენ ეს როგორც უარი უფლისა და იახლოვოს ადამიანი

მისი მოკვდავი არასრულყოფილი ფორმით, რომელიც აღვსილია მრავალი მიუღებელი ჩვევებითა და სიმდაბლით, ანუ არ სურს მას დაიახლოვოს ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ იქნება ცათა სასუფეველის მემკვიდრე, რადგან სხვა ყველა ზემოთაღნიშნულ ნაკლთან ერთად, მას ისეთი მდაბალი ცნობიერება ახასიათებს რომელსაც უნარი არ შესწევს აღაფრთოვანოს ზეცა. ჩვენი „ოქროს საწმისის” სისტემა კი ცოდნის გადაცემის მეშვეობით, საშუალებას იძლევა სულიწმინდის ღვთაებრივი ძალით, გამოასწოროს ხორციელი ფორმა და განამზადოს იგი ცათა სასუფეველისათვის სრულყოფილების ძალით აქ, ამ დედამიწაზე. ასეთნაირად ხდება ზეციური პურის გატეხვა და ღმრთის სხეულის პიროვნული განსხეულება.

ასე რომ, ადამიანები უნდა მიისწრაფებოდნენ სიკვდილის არა გარდამავალი, მთარული ასპექტებისაკენ, არამედ პირველსაწყისი ღვთიური საწყისის მკაცრი ჩანაფიქრისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბნელი ძალები წმინდა იდეების ირგვლივ ხშირად ქმნიდნენ მკაცრი ასკეტიზმის ფორმებს, ჩვენ სკეპტიციზმს არ ვქადაგებთ, თუმცა ჩვენ ვიცავთ მორალს, სიწმინდეს, ზნეობას და მხარს ვუჭერთ ზომიერ თავშეკავებას და არა პათოლოგიურ უარს, მითუმეტეს პურიტანიზმს. ზუსტად რომ მკაცრი ასკეტიზმის შედეგია რელიგიურ სისტემებში, ამ მხრივ არსებული გადახრები. საბედნიეროდ თანამედროვე ადამიანთა თვალსაზრისით რელიგიურ სისტემებში არსებული ასეთი გადახრები, არაა მიჩნეული მართებულად. ასეთნაირად ვთავაზობთ ადამიანებს განდნენ პირველმკვლევარები საკუთარი სრულყოფილებისა, მოიძიონ მისი საიდუმლოებანი და ეცადონ იცხოვრონ თუ არა როგორც ქრისტე, იცხოვრონ როგორც მოციქულნი ან წმინდანები მაინც, რათა სხეულიდან, როგორც სულის ტაძრიდან განაძეგონ საკუთარი ადამიანური არასრულყოფილი ქმნილებანი: ჩვევები, ადამიანური წვრილმანების განკითხვით დაწყებული და დამთავრებული შურით. დღეს ჩვენ ამ პროგრამით გამოვდივართ,

რადგან მრავალია მოტყუებული და მიუხედავად იმისა, რომ ზეცის მამის ხელი მაინც შეაჩერებს მომაკვდინებელი ყოველი სიხარბის ჭირის გავრცელებას, ჩვენ თვითონ, ადამიანებმა, მაინც უნდა დავეხმაროთ მას ამ საქმეში. ასეთია ყველა მსოფლიო რელიგიის შინაარსი, ასეთია ჩვენი პარტიის წესდებაც, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ყოველ რელიგიას და ყოველ რასას. ჩვენ უბრალოდ, პასიურად როდი გვსურს უსაფრთხოება, ომებისაგან, სნეულებისა თუ ხელმოკლეობისაგან, სიბერისა თუ სიკვდილისაგან თავის დახსნა. არა! ჩვენ ვაქტიურობთ, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა, დავიცვათ იგი მთელს მსოფლიოში, დავიცვათ კულტურა, სიყვარული და სულიერი ფასეულობანი, რომლებიც დღეს ასე უმოწყალოდ ითვლება ფეხქვეშ, განსაკუთრებით შეცდომაში შეყვანილი ახალგაზრდობის მიერ, რომლებმაც ყოველნაირი წარმოდგენა დაკარგეს იერარქიაზე და უფროსების მიმართ პატივისცემა დაივიწყეს, რის გამოც ჩვენს თვალწინ იღუპებიან ისინი და მათთან ერთად მათი სიცოცხლეს ნარკომანიის, ალვირახსნილობისა და ყველაფრისუფლებიანობის გამო. ჩვენ მოჩვენებითი სინდისის ლედვის ფოთლები როდი გვანტერესებს, რომლებითაცაა დაფარული ადამიანთა მდაბიო ცნობიერება და უმეცრება, პირფერობა და სხვა მანკიერებანი. ჩვენ გვანტერესებს ქრისტეს სიტყვები: „იყავ სრული ვით ზეცის მამა.” და აი ზუსტად ეს სიტყვებია სულის უკვდავებისაკენ და კაცობრიობის მდაბიო შეცდომებისა და იღუპიების ტყვეობისაგან თავის დაღწევის გზა.

მრავალმა უკვე მიიღო და ღებულა კიდევ უზარმაზარ სარგებლობას ჩვენი „ოქროს საწმისის” ჯანმრთელობის და დღეგრძელობის სისტემიდან.

ჩვენთან მოდიან და მომავალშიც მოვლენ მრავალნი ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, ახალგაზრდობისა და უკვდავების ასათვისებლად. ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ ეს ძალაუფლება და სრულყოფილებით დაკავებულებმა, ჩაგწვდეთ იმას, თუ რაოდენ დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა იმ ღვთაებრივი ხატების

შექმნის საქმეში, რომლის რეალიზებითაც ჩვენს მიერ განსხეულებული იქნება ღვთაებრივი ხატება, რადგან ცენტურიონის სიტყვები „...ჭეშმარიტად იგი იყო ძე ღმერთისა.” – სამართლიანობის თანახმად ჩვენც გვეხებოდეს!!!

ეს მიმართვა იმათთვისაა, ვინც ებრძვის უმეცრებას, მონობის ნებისმიერ ფორმას და, აკი ბრძანებს უფალი იესო, რომ „მე არა მშვიდობის, არამედ მახვილის მოსატანად მოვედი...” (თუმცა ამ გამოთქმას საკრალური შინაარსი გააჩნია, აქ ჩვენ მისი საერო გაგებაც კი გვაკმაყოფილებს...) აი, ამ მახვილით იმიჯნებიან დედამიწაზე სულის დიდების მოსაპოვებლად მოსულნი იმათგან, ვინც ეგოიზმითა და თვითკმაყოფილებით ტკბებიან.

ჩვენ პრობლემათა სწორი გადაწყვეტილების გზებს მივყვებით, რათა ყოველმა ადამიანმა შეძლოს საკუთარი თავის შეცნობა და სრულყოფა. ეკლესიაში, ძალზედ მაღალი ტრიბუნებიდან ხშირად ისმის ხსენებული მოწოდება „შეიცან თავი შენი”... მაგრამ ერთეულებს თუ ესმით ეს, რამეთუ სინამდვილეში დღეს მთელს მსოფლიოში, მხოლოდ ან რელიგიური უმეცრება, ან ფანატიზმია გავრცელებული და ათასწლეულების ბნელეთის უღელი, ამ ცივილიზებულ ეპოქაში, არა მხოლოდ კიდევ უფრო მეტად დამძიმდა, არამედ საშიში ხდება მომავალი ევოლუციისათვის. კაცობრიობის გამიჯვნა მცოდნე და უმეცართა ფენებად, დღევანდელ ფრიად განათლებულ მსოფლიოში, პირფერობაა და იგი აუტანელი გახდა.

ჩვენ ვიწყებთ საზოგადოებრივი პარტიის ამ წესდების გაცხადებით, რომელიც მიზნად ისახავს გაათავისუფლოს კლანეტა სიკეთის აქტიური ოპოზიციისაგან, რაც წარმოშობილია მცდარი პრინციპებითა და მათივე ბოროტი გამოყენებით, თუმცა ეს ასეთად როდი მიაჩნია იმათ, ვინც ამ შეცდომებთანაა დაკავშირებული. მაგრამ ეს როდი ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან იმის გამო, რომ ისინი მაინც აშკარად ეწინააღმდეგებიან ქრისტეს მაღლის ღვთაებრივი სტიქიის დედამიწაზე შემოსვლას, რაც მთელს კაცობრიობას მოუტანდა თავისუფლებას

და ჯანმრთელობას. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჭეშმარიტი ჯანმრთელობის მისაღწევად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის არსებაში დვთაებრივი ჰარმონიის აღდგენა, და არა უბრალოდ, ფიზიკური სნეულების დროებითი შემსუბუქება მატერიალური მეთოდებით,

რითაც სულიერ-მეცნიერული აღდგომის სულის ჩანაცვლების მცდელობა უაზრო რიტუალებით, – მომქანცველი ხდება, რაც ასე თრგუნავს ისედაც უმეცარ მოსახლეობას და აუტანელს ხდის კაცობრიობის ისედაც მძიმე ცხოვრებას.

გამოხმაურება იუნესკოდან

საზოგადოება „რერიხის“ თავმჯდომარემ ბ-ნ თამაზ თავაძემ შექმნა და გამოაქვეყნა „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის“ პროექტი. ბატონ თამაზს „საქართველოს“ მკითხველი იცნობს, როგორც არაჩვეულებრივ მეკურნალს. სასიამოვნოა, რომ მისმა შრომამ არასამედიცინო დარგშიც დიდი აღიარება ჰპოვა. გთავაზობთ გამოხმაურებას იუნესკოდან. გაზეთი „საქართველო“ №58 (1568) 17.06.99წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზ. ჟვანიას; ასლი: საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ რ. მიმინოშვილს

პატივცემულო ბატონო ზურაბ,
პატივცემულო ბატონო რომან!

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდე 1996 წ. 23-28 ოქტომბერს ქ. თბილისში იშენ-სკოს ეგიდით ჩატარებული კონფერენციის – „სკოლის მასწავლებელთა მომზადებას საზოგადოების მრავალეროვნულობის პირობებში“, – მუშაობის შედეგებს. ამ კონფერენციაზე, რომელიც ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მისივე რექტორის ბ-ნ ვ.სართანიას აქტიური ხელშეწყობით ჩატარდა, განხილულ იქნა და მოწონება დაიმსახურა „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციამ“, რომელიც საქართველოს ნ.კ.რერიხის საზოგადოების თავმჯდომარემ თ.თავაძემ მოამზადა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად იუნესკო განიხილავს მომავალი თაობების დაცვის დეკლარაციის პროექტს, მე როგორც იუნესკოს პროექტის „მშვიდობისა და ტოლერანტობისათვის, კულტურათა დიალოგისათვის“ კოორდინატორს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია კიდევ ერთხელ აღვნიშნო საქართველოში მომზადებული „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის“ პროექტის მნიშვნელობა და აქტუალობა.

გავკადნიერდები, რათა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება მოცემული პროექტის ტექსტთან დაკავშირებით, მაქვს რა მხედველობაში ის, რომ ეს უაღრესად ჩემი პირადი მოსაზრებანია.

1. თვით ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის იდეა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან უფლებების გარდა არსებობენ ადამიანის მოვალეობანი. მაგრამ არის ასევე ადამიანის ვალი, რაც ახალ ჟღერადობასა და ახალ შინაარსს იძენს ერთიან ურთიერთდამოკიდებული სამყაროს პირობებში, რაც თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს უპირისპიდება. ამ

თვალსაზრისით ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია ამხვილებს ადამიანთა ყურადღებას მორალური და ზნეობრივი სრულყოფილების აუცილებლობაზე. ასევე ყოველი ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე არა მარტო საკუთარი თავისა და მოყვასის მიმართ, არამედ სხვა ადამიანთა მიმართაც, რომლებთან ურთიერთობებზეა დამოკიდებული დედამიწის ზნეობრივი კლიმატი.

2. რაც შეეხება თვით დეკლარაციის (მისი პროექტის) შინაარსს, მის მიმართ შესაძლებელია მრავალი მიდგომა იმ დებულებათა პრიორიტეტების თვალსაზრისით, რაც მათ ფორმულირებაში დაფიქსირებული. რა თქმა უნდა, უმთავრესია უკვე დაფიქსირებული დებულებანი პროექტისა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია სხვა, არა ნაკლებად მნიშვნელოვანთა შემოტანაც.

3. კერძოდ, მინდა აღვნიშნო დეკლარაციის პროექტში მოხსენიებული, – „მშვიდობის კულტურა, რომელმაც უნდა შეცვალოს ომის კულტურა“, – დებულების დიდი მნიშვნელობა. მოცემული დებულება სავსებით ლოგიკურად თავსდება მეშვიდე მუხლში, სადაც ნათქვამია: „ყოველი ადამიანი მოვალეა იბრძოდეს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის“. ეს მტკიცება სამართლიანია, მაგრამ იგი საკმარისად ზოგადია და პრობლემის

შუაგულს არ მიანიშნებს. კაცობრიობის ყველა გლობალური პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ერთი პირობის შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადამიანები გაიცნობიერებენ, რომ ჩვენი ცივილიზაციის მთელი წინაგანვითარება („HOMO SAPIENS“) 40 ათას წელზე მეტი მიმდინარეობდა ომის კულტურის დომინანტით, ანუ ადამიანთა მოსპობის იარაღის მუდმივი სრულყოფით. პირველად მეორე ათასწლეულის ახალი ერას მიჯნაზე გამოჩნდნენ ომის კულტურიდან მშვიდობის კულტურაზე გადასვლის ობიექტური პირობანი. ამაზე მეტყველებენ იუნესკოს გენერალური დირექტორის განცხადებანი „ადამიანის მშვიდობის უფლება“ და „მომავალი თაობების დაცვის დეკლარაციის“ პროექტი, რომლებსაც გიგზავნით თქვენ.

ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის პოსტამბულაში ნათქვამია: „წარმოდგენილი პროექტი ღია დოკუმენტია... უსასრულოდ სრულყოფისათვის“. ძალზე მნიშვნელოვანია მივიღოთ აღნიშნული დეკლარაცია, როგორც საფუძველი, რათა სხვა ანალოგიური დოკუმენტების გათვალისწინებით ჩატარდეს მისი სრულყოფა.

გულწრფელი პატივისცემით ვ.ლომეიკო პარიზი. 3 ივნისი 1997წ.



ჩვენი სულიერი ფუნდამენტი

„ჩვენ ვგსურს დავრწმუნდეთ იმაში, რომ ისინი ვინც გვიყვარს და ძვირფასია ჩვენთვის, არასოდეს არ დაიკარგებიან“.

ადამიანის სიკვდილისა და უკვდავების მიმართ დამოკიდებულების ანალიზი ხშირად ეხმარება მას გონების განწმენდაში, რაც ათავისუფლებს მის გონებას გაურკვეველობისა და ბუნდოვანებისაგან, რომლებიც აღმოცენებულან მასში შიშის, მენტალური ინერციისა და დაულაგებელი აზროვნებისაგან.

როგორ ვგებულობთ ჩვენ იმას, რომ სიკვდილის პროცესი ჩვენს გონებაში ისეთ გარკვეულ ცვლილებებს იწვევს, რომლებიც ჩვენთვის, როგორც მგრძნობიარე არსებათათვის, საბედისწერონი აღმოჩნდებიან და ჩვენს მანამდელი აზრებისა და განვითარების, თუ შეგნების ყოველ ძალისხმევას ამაოებაში მოისვრიან.

ქრისტეს აღდგომის სასწაული, რამდენადაც ეს მის პიროვნებას ეხება, იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილს კარში გავლისა და აღდგომის შემდეგ იგი, არსებითად, იგივე პიროვნება იყო მხოლოდ დამატებითი ნიჭიერებანი.

ხომ არ შეიძლება რომ ჩვენც იგივე დაგვემართოს? ხომ არ შეუძლიან სიკვდილს უბრალოდ მოგვაშოროს შეხლუდვები, ფიზიკური გაგებით, რის გამოც ჩვენ ვრჩებით გაზრდილი მგრძნობელობითა და ფასეულობათა უფრო მეტად ნათელი შეგრძნებებით?

ცხოვრებამ ჩამოგვაყალიბა ჩვენ და ფორმისა და ხარისხის თვალსაზრისით მოგვანიჭა გარკვეული კონკრეტული გარეგნობა და ფორმა, და ესენი, თავის მხრივ, სწორად თუ არასწორად, შეადგენენ იმას, რაც ადამიანის, „მე“-ს წარმოადგენს, რეალური ადამიანის სიცოცხლის თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენში არის რაღაც, რაც უარყოფს ჩვენს ჩვენსავე ფიზიკურ ფორმასთან გაიგივებას.

ინტუიტიური, არსის მატარებელი „მე“ ყოველთვის მდგრადია, არა სცნობს განადგურებას და მტკიცედ სწამს, რომ ძიება და მიზანი, გაცნობიერებული ფასეულობანი რომელთათვისაც ვიბრძვით, რაღაცნაირად, ოდესღაც და სადღაც აუცილებლად დაგვიდასტურებენ იმას, რომ ისინი მათზე დახარჯული დროისა და შრომის ჭეშმარიტი საფასური ყოფილან. სხვა ნებისმიერი შეხედულება ადასტურებს არსებობის გონივრული გეგმის სრულ უქონლობას, რაც უიმედოების ჩიხში მოგვაქცევს.

ზუსტად რომ ფასეულობათა ხანგრძლივი შენარჩუნება და შინაგანი ლტოლვის ღვთაებრივი პროგრესისაკენ, შემოქმედებისაკენ და სხვების მიმართ დახმარებისაკენ შინაგანი მტკიცე სურვილის შენარჩუნება, შეიცავენ, როგორც ჩანს უკვდავების საიდუმლოების გასაღებს მათთვის, ვინც იმ წერტილს მიაღწია, სადაც თანმიმდევრული აზროვნება უკვე შესაძლებელი ხდება.

ქრისტეს მთელი ისტორია – დასტურია ამისა. მან მთელი თავისი სიცოცხლის თავდავიწყებით მსახურებითა და ერთგულებით თავის მოძმეთა მიმართ, დაადასტურა ის, რომ საკუთარი ევოლუციის იმ წერტილს მიაღწია, რომელშიდაც მან უკვე შეიძინა ის რაღაც, რისი საყოველთაო სიკეთისათვის საქმეში ჩაღებაც უკვე შესაძლებელი იყო.

ამ აზრს ასეთ კითხვასთან მიყვავართ: რა არის ის, რაც ჩვენში არასოდეს არ კვდება? ჩვენი რეალური არსებას რომელი ნაწილის უკვდავებას ვისურვებდით? რა არის ის, რაც საფუძვლად უდევს ჩვენს სიმტკიცეს?

ეჭვგარეშეა, რომ არცერთი ჩვენთაგანი

არ ცდილობს განახორციელოს ფიზიკური სხეულის აღდგომა და არც იმ სურვილითაა გულანთებული, რომ ისევ იმ ფიზიკური სხეულის მიერ იყვეს ძველებურად შეზღუდული რომელსაც ამ წუთში ფლობს და რომელიც ასე აღვსილია მიწიერებით, როგორც ფრიად შეზღუდული სიცოცხლის გამტარი, თუმცა უმეტესობა ჩვენთაგანი ხომ ასეთ, სიცოცხლის არასრულფასოვან გამტარ სხეულებში ვიმყოფებით. მისი ღირებულება, როგორც ჩანს არ აკმაყოფილებს აღდგომისა და უკვდავების ნობათის გამოცდილებას. და ჩვენც, რა თქმა უნდა, არ ვიკლავთ თავს იმის გამო, რომ ისევ იმ ფსიქიკურმა ბუნებამ (ყოველ მის განწყობათა, შეგრძნებათა თუ მგრძნობელობათა გარემოს მიმართ რეაქციების ერთსა და იმავე წრეზე ტრიალმა) კვლავ ხელში ჩაიგდოს ჩვენზე ბატონობის სადავეები.

ეჭვგარეშეა ისიც, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არ ახარებს ძველი, გულის ამაჩუყებელი წარმოდგენები ზეცის მიმართ, სადაც ჩვენ თეთრ სამოსელში გამოწყობილნი, ფსალმუნების სიმღერებითა და რელიგიურ თემებზე საუბრებით ვატარებდეთ დროს. ჩვენ უკვე გავცდით ამ იდეებს და თვით ქრისტე წარმოადგენს მათ პირდაპირ მხილებას. იგი აღსდგა მკვდრეთით და შევიდა აქტიური, გაძლიერებული მსახურების ცხოვრებაში.

როდესაც ადამიანის სიცოცხლე იძენს შინაარსს, მაშინ იგი მზადაა შედგას ფეხი განწმენდისა და განსაცდელების გზაზედ.

ადამიანს შეუძლიან განელოს განწმენდის წყლები და მიაღწიოს გარდასახვის მთის მწვერვალს, სადაც ჭეშმარიტი ფასეულობანი გაბრწყინდებიან მთელი თავისი დიდებით. ოდეს მიაღწევს იგი ამ ამადლებული გამოცდილების მომენტს, და ყოველივე ის, რასაც იგი ფლობს როგორც ფასეულობას, აღიარებული იქნებიან ღმრთისაგან როგორც ღირსნი მათზე დახარჯული ძალისხმევისა, მაშინ და მხოლოდ მაშინ იქნება იგი მზად დადოს მთელი თავისი სიცოცხლე მსხვერპლისა და მსახურების საკურთხეველზე.

ასეთია სრულყოფილების მთელი პროცესის ფუძემდებლური მიზანი,

რამდენადაც უკვე არის ის რაღაც, რაც ღირსია იმად, რომ იყოს გაღებული მსხვერპლად. და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მოგვეჩვენოს ჩვენ როგორც ფიზიკურ ფასეულობათა გამოხატვის დასასრული, სინამდვილეში კი, აქ ადგილი ექნება ფასეულობათა მომენტის ტრიუმფს და მათი უკვდავების დემონსტრირებას.

რამეთუ შეუძლებელია მოკვდეს ის ღირებულება, რომლის დაფარული ღვთაებრივი სილამაზის გახსნას ემსახურება, სიცოცხლის გამოცდილებაცა და განდობაც. იგი, თავისი არსით, უკვდავია და უნდა იცოცხლოს. აი ესაა სხეულის ჭეშმარიტი აღდგომა.



სხეული, რომელიც ჩვენ ეხლა გაგვანია, ნაკლებად ღირებულია: ჩვენი განწყობათა და მენტალურ რეაქციათა საერთო ჯამი არავისათვის არ წარმოადგენს არავითარ მნიშვნელობას, თუ არა მხოლოდ ჩვენთვის: ის გარემო, რომელშიდაც ვცხოვრობთ და ვმოძრაობთ, ეჭვგარეშეა, არ შეიცავს არაფერს თავის თავში ისეთს, რაც მის

უსასრულოდ გაგრძელებას გაამართლებდა. საკუთარ თავთან გატარებული მარადისობის უსასრულოდ გაგრძელების კონცეფცია, უმეტესი ჩვენთაგანისათვის არავითარ ხიბლს არ შეიცავს. და მაინც, ჩვენი „მე“-ს რომელიღაც ასპექტს მძაფრად სურს უკვდავება და მარადისობის შეგრძნება. ჩვენი „მე“-ს დროში უსასრულო გაგრძელებამ დიდი არეულობა შემოიტანა ჩვენს აზროვნებაში.

ჩვენ ვეძებთ მტკიცე დასტურს იმისა, რომ ისინი, ვინც ჩვენ ვიყვარს და ძვირფასია ჩვენთვის, არასოდეს არ დაიკარგებიან ჩვენთვის. ჩვენ ვცდილობთ მათთან ერთად გავიზიაროთ ის ბედნიერება, რომელშიდაც იქნებიან უფრო ჭეშმარიტი ფასეულობანი, ვიდრე ყველა ის, რასაც ჩვენ ვიცნობდით დედამიწაზე: ჩვენ მძაფრად გვსურს დროისა და სივრცეში გაგრძელებას ჩვენთვის ნაცნობი ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს და რომელსაც ასე ველოლიავენ. ჩვენ გვსურს ყოველივე იმის კომპენსაცია, რაც ჩვენს წვლილს წარმოადგენს და გვინდა გვესმოდეს, რომ ყველაფერს თავისი აზრი და მიზანი ჰქონდა და ყველაფერი ღირდა მათზე დახარჯული ძალებისა.

ზუსტად ეს უძლიერესი სურვილი, ეს რწმენა, ეს გაბედულება, – გაუძლო ყველაფერს, – დგას ყოველი ამგვარი სურვილის უკან და წარმოადგენს წადილს და იმპულსს, რომლებზედაც ჩვენ ვაფუძნებთ ჩვენს ყოველ ძაღისხმევას. უკვდავების სასარგებლოდ ამ ძირითად არგუმენტს მიგვანიშნებდა სოკრატე, ოდეს ამბობდა, რომ „არავინ არ იცის რა არის სიკვდილი, და იქნებ იგი სიკეთეთა შორის უდიდესი სიკეთეა. და მაინც იგი გვანიშნებს, ისე როგორც უდიდესი სიავი. როდესაც სიკვდილი უახლოვდება ადამიანს, მასში განიბნევა მოკვდავი და ის კი, რაც უკვდავია და უღრწნელი, ხელუხლებელი განშორდება მას.“

ჭეშმარიტ ღირებულებათა განხილვის დროს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას სამი აზრი წარმოადგენს.

პირველი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ უკვდავება – ესაა შენარჩუნება იმისა, რაც ჩვენთვის ჭეშმარიტად ღირებულია.

ჩვენ უნდა მივადწიოთ, და ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტად ვადწივით იმას, რასაც დაბეჯითებით ვითხოვდით.

როდესაც ჩვენ მივისწრაფით იმისაკენ, რაც ჭეშმარიტად მარადიულია თავისი არსით, მაშინ ჩვენ ვიძენთ მარადიულ ცხოვრებას, რომელიც თავისუფალია სხეულის შეზღუდვებისაგან.

„რამდენადაც შეგვიძლიან აბსოლუტურ ღირებულებებთან საკუთარი თავის გაიგივება, იმდენადვე უზრუნველყოფილია ჩვენი უკვდავება“, ამბობს დინ ინგი. მაშინ ის, რისკენაც ჩვენ რეალურად მივისწრაფით ჩვენს უზენაეს მდგომარეობებში, – რომლის დროსაც ჩვენ დაცული ვართ ჩვენი ემოციური ბუნების შეცდომებისაგან, – უკვე ის განსაზღვრავს ჩვენს უკვდავ სიცოცხლეს.

მაშინ იბადება კითხვა იმის მიმართ, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ფასეულობათა შეგრძნება გამრუდებულია ან დროებით მიუწვდომელია. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობამ, მილიონობით ადამიანი მიიყვანა „გარდაცვალების“ აღმოსავლურ დოქტრინასთან.

ქრისტიანს შეუძლიან სიკვდილი მიიჩნიოს ხელახალი აღზრდისა და განვითარების ადგილის შესასვლელ კარად, რომელსაც იგი „განსაწმენდელს“ უწოდებს და სადაც გრძელდება განწმენდის პროცესი; აღმოსავლეთში შეიძლება სწამდეთ, რომ ჩვენ ისევ და ისევ ვბრუნდებით დედამიწაზე, ვიდრე არ მივადწივით სრულყოფილებას. მიზანი იგივე რჩება. განზრახვებიც ემთხვევიან ერთმანეთს. მხოლოდ სკოლა სხვადასხვა ადგილზეა და ცნობიერებაც სხვადასხვა სიტუაციებში იხსნება. ეს არის და ეს, სხვა არაფერი.

სხეულში არსებობა – ესაა გამოცდაც და გამოცდილებაც; სიკვდილი – ესაა განთავისუფლება და სულის დანიშნულებისაკენ დაბრუნება, გამოცდის სხვა პირობებში შესვლა ან წმინდა გონების სამფლობელოში გადასვლა.

ჩვენ ნებით და შეგნებულად უნდა ვისწავლოთ მარადიულ ფასეულობათა სამყაროში შესვლა და იქ შრომა, რითაც მოვემზადებით ცათა სასუფეველში მოქალაქეობისათვის.

მეორე აზრი, რომელიც ითხოვს განხილვას, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ძალისხმევას, მის ბრძოლას სასრული მიღწევისათვის, ღმრთის მისეულ პირად შეგრძნებას, მის თანდაყოლილ, ჭეშმარიტ, მუდმივ მისწრაფებას უკეთესი პირობებისაკენ და საკუთარი თავის უკეთესად ფლობის მიღწევებისაკენ, ისევე როგორც ცოდნას იმისა, თუ როგორ მართო ბუნება, – ყოველივე ამას უნდა გააჩნდეს მიზანი. სხვაგვარად კი, ყველაფერი რაც ჩვენს ირგვლივ ხდება ამაო, ცარიელი და უსარგებლოა.

ზუსტად საკუთარი თავისა და ბუნების ძალთა ფლობა, ქრისტეს განუხრელი მისწრაფება საკუთარი მიზნისაკენ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუძღოდენ მას წინ და მიანიჭეს კიდევ მას შესაძლებლობა, რომ გაეღო კარი სასუფევლისა და მკვდრეთით აღმსდგარიყო.

მარადიული ინტერესის მიმართ, იმისკენ თუ რა ხდება სიკვდილის შემდეგ, და იმისკენაც რაც მის მომავალსაც და ასევე მომავალ უკვდავებას ეხებიან.

ქრისტე მოკვდა და აღსდგა ისევ. იგი ცოცხლობს. და ზოგიერთი ადამიანისათვის თანამედროვე სამყაროში, საჭირო როდია დასტური ამ ფაქტის მიმართ.

მათ იციან, რომ იგი ცოცხალია, და ზუსტად იმიტომ, რომ იგი ცოცხალია ჩვენც ასევე ვიცოცხლებთ.

მოვიყვანო ჭეშმარიტი აღდგომის შემდეგ განმარტებას: „აღდგომა–ეს მკვდრების საფლავებიდან აღდგომა როდია, არამედ ესაა გადასვლა: საკუთარ თავზე მუდმივი ფიქრით სიკვდილისაგან, არა ეგოისტური სიყვარულით აღვსილი სიცოცხლისაკენ; ეგოისტური ინდივიდუალიზმის ბნელეთისაგან – საყოველთაო სულის სინათლისაკენ;



ტანჯვის უკან უნდა იდგეს მიზანი. ადამიანის ყოველი საქმიანობის უკან უნდა იგრძნობოდეს გარკვეული განზრახვა.

რასის ღიდერების იდეალიზმი არ შეიძლება იყვეს მხოლოდ ჰალუცინაცია.

ღმრთის გაცნობიერებას უნდა გააჩნდეს გარკვეული ფაქტიური საფუძველი.

უკვდავების ყოველი თეორიის დირეზულება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ყურადღებას იზიდავენ ადამიანის

სიცრუიდან – ჭეშმარიტებისაკენ; ყოფითი ცხოვრების მონობიდან – მარადიული თავისუფლებისაკენ.”

„...ოდეს თანაგრძნობის მეუფენი განანათლებენ დედამიწას და ზეცად გარდასახავენ მას, მაშინ პილიგრიმებისათვის გაიხსნება ის უსასრულო გზა, რომელიც სამყაროს გულს აღწევს. ადამიანი, ადამიანი აღარ იქნება მაშინ, იგი გასცდება ბუნების საზღვრებს

და უპიროვნოდ, თუმცა ცნობიერად, ყველა გასხივოსნებულთან ერთობით დაეხმარება უზენაესი ევოლუციის კანონის აღსრულებას, რომლისთვისაც ნივანა მხოლოდ დასაწყისია.”

მესამე და დამასრულებელი აზრი უკვდავებაზედ, რომელსაც უნდა გაესვას ხაზი, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მარადიული ცხოვრებისათვის აღვსდებით და შევუერთდებით უკვდავებს, ოდეს ჯეროვნად განვამზადებთ საკუთარ თავს იმისათვის, რომ ქრისტეს თანამშრომელი გაგხდეთ სასუფეველში.

ზუსტად მაშინ, „ოდეს დაგვარგავთ განცალკევებული ინდივიდუუმის ცნობიერებას და გაგხდებით ის, ვინც აცნობიერებს ღვთიურ მთლიანობას, რომლის ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვისწავლეთ ბოლო გაკვეთილი სიცოცხლისა და „შეგვიძლიან აღარ დაგებრუნდეთ.”

ზუსტად პიროვნების სიკვდილისა და პიროვნული ცნობიერების დაკარგვის გვეშინიან და ვუფრთხით მას. ჩვენ არ გვესმის, რომ როდესაც ცათა სასუფეველის ხედვას ვიძენთ, მაშინ მთელი სამყარო ბრწყინავს ჩვენს თვალწინ, და აი ესაა ის მთლიანობა, რომელსაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა და მაშინ ჩვენ უკვე ვეღარ ვამჩნევთ ჩვენს პირად „მე“-ს.

ამგვარად, აღდგომა შეიძლება განიმარტოს როგორც მომავალში არსებობა იმისა, რაც ღვთიურ ასპექტს წარმოადგენს და გაერთიანებულია იმ „მთლიანობის“ სიცოცხლესთან და ცნობიერებასთან, რომელსაც ჩვენ ვეძახით ღმერთს. ეს სიცოცხლე და ეს ცნობიერება ღმერთის ყოველი გამოვლინების ნაწილში გამჭოლად გადის.

ბუნების ყველა სამეფომ ერთი მეორის მიყოლებით განიცადეს ევოლუცია. ერთი მეორის მიყოლებით ისინი მუდმივად და თანმიმდევრულად ვითარდებოდნენ ინერტული ცნობიერებიდან, ნელი, მინერალური სამყაროს მიძიმე რითმიდან თანმიმდევრულად და სულ უფრო მეტად და მეტად ამჟღავნებდნენ ფარულ ღვთიურ ბუნებას მანამ, ვიდრე მიღწეული არ იქნა ადამიანთა სამყარო, რომლის ცნობიერებაც

გაცილებით უფრო მეტად მაღალი ხარისხისაა და რომლის ღვთაებრივი გამოხატულებაც არის საკუთარი თავის გამაცნობიერებელი და დამოუკიდებელი ღვთაება.

მინერალის ცნობიერების ავტომატური ფორმებისაგან ღმერთის სიცოცხლეს გადააქონდა სიცოცხლის ფორმები მცენარის შეგრძნებათა ცნობიერების გავლით ცხოველის ინსტინქტურ ცნობიერებამდე; შემდეგ ამისა მან განიცადა პროგრესი ადამიანის სამფლობელოში, სადაც მეფობს საკუთარი თავის გაცნობიერება მანამ, ვიდრე ამ სამფლობელოს უფრო მაღალ განვითარებულმა წევრებმა, სხვებისაგან განსხვავებით, არ დაიწყეს ღვთაებრივისაკენ მიდრეკილების გამოვლინება.

ეხლა უკვე შეიძლება შევამჩნიოთ გაუბედავი, ბუნდოვანი ნიშნები კიდევ უფრო მაღალი სამფლობელოსი, — რომელშიდაც საკუთარი თავის თვითშეგნება აღვიღს დაუთმობს ჯგუფურ ცნობიერებას და ადამიანი ჩაწვდება და სრულფასოვნად გაიგებს, რომ იგი არა უბრალოდ თვითკმარი ინდივიდუუმია, არამედ ერთმთლიანთანაა გაერთიანებული. მაშინ მთლიანად განსხეულებული ღმერთის სიცოცხლე შეიძლება ცნობიერად მიედინებოდეს მასში და მისით; ღმერთის სიცოცხლე მისივე სიცოცხლე ხდება, რომლის შედეგადაც იგი მარადიული სიცოცხლისათვის აღმდგარი აღმოჩნდება.

ამიტომ ჩვენს მიმიდინარე დროს კაცობრიობის საქმიანობაში არსებული სინთეზის, თანამშრომლობის, შერწყმისა და გაერთიანების ტენდენცია წარმოადგენს ნიშანს იმისა, რომ კაცობრიობამ მიაღწია განვითარებულ სტადიას. აღდგომა სიცოცხლისათვის, რომელსაც უხსოვარი დროიოდან ადასტურებს ყოველი ძემღმერთისა, დღეს საყოველთაო შესაძლებლობაა. კაცობრიობამ დღეს, მთლიანობაში, იბრუნა პირი სიცოცხლისაკენ, მისი მთლიანობა მუდმივ დასტურს ღებულობს, მსოფლიო მაჩვენებლები (ერებსა და ჯგუფებში გამოვლენილნი) ორიენტირებულნი არიან სინთეზსა და თანამშრომლობაზე.

გაუგებრობა თანამედროვე მსოფლიოში — ესაა უბრალოდ ორიენტაციის შეცვლისა

და ადაპტაციის პროცესის შედეგი, რაც დამახასიათებელია იმ მოვლენათათვის, რომლებიც, ჩვეულებისამებრ ცვლიან და ხელახლა აშენებენ ადამიანის ცხოვრების მთელს პროგრამას. ამგვარად, დღეს მთლიანად ხელახლა შენდება მსოფლიო პროგრამა და ამის უშუალო შედეგი გახლავთ ქაოსი.

მაგრამ ახალი მიმართულება გარანტირებულია და ვერაფერი ვერ შეაჩერებს ახლის შემოსვლის პროგრესს, რაც იგივეა, კაცობრიობის ახალ ცხოვრებაში ფეხის შედგმას. მაშასადამე მსოფლიო კრიზისი – ესაა არსებულის ახალზე გადაშენება, სინთეზისა და შერწყმისაკენ მისწრაფება.

ახალი რასა–უკვდავი რასა–იძენს თავის ყოფიერებას, მაგრამ, მიუხედავად ყოვლისა და ყველაფრისა, ის იგივე რასაა ახალ, თავის მიღწევათა უფრო მაღალ წერტილში.

მაშინ ჭეშმარიტად დიადი სასოება იმაში მდგომარეობს, რომ უკვდავ რასაში დაბადება შეიძლება აქ და ეხლა, და ეს უკვე იქნა განხორციელებული კაცობრიობის იმ წარმომადგენელთაგან, რომლებიც გახდნენ ღვთაებრივნი. ცათა სასუფეველი მიემართება თავისი განხორციელებისაკენ. ქრისტეს სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის მიზანი წარმატებული დასრულების წახნაგზე იმყოფება.

ახალი სამფლობელო შემოდის ყოფიერებაში; მიმდინარეობს ბუნების მეხუთე სამფლობელს მატერიალიზაცია (განსხეულება) და მისი უჯრედები უკვე ფუნქციონირებენ დედამიწაზე ფიზიკურ სხეულებში. ამიტომ მივესალმით თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ძალისხმევასა და ბრძოლას, რამეთუ ეს ნიშნებია

ა ღ დ გ ო მ ი ს ა !!!

მ.ჯ.ქ.



ხილული იზიდა

...მიიღე ჭეშმარიტება სადაც კი არ უნდა გადაეყარო მას, მიუხედავად მის მიმართ საყოველთაოდ გავრცელებული ცრურწმენისა.

...ასე მოიპოვებიან უძველესი ფილოსოფიური სისტემების სასიცოცხლო პრინციპები.

...საიდუმლო დოქტრინა თავის მიმართ ითხოვს პატივისცემას და შეურაცხყოფილი, თუმცა დიდებული ტრადიციების აღდგენას.

...ადამიანის გულს საკუთარი თავი მთლიანობაში ჯერ არასოდეს არ გამოუმჯდამებია და ჩვენ არასოდეს არ გვესმოდა, და არც ეხლა არ გვესმის მისი ძლევა მოსილლების სრული ხარისხი.

...განა მეტისმეტად ძნელი ამოცანაა გჯეროდეს, რომ ადამიანს ახალ შეგრძნებათა განვითარება სჭირდება და ამასთან ერთად იმის შეგნება, რომ საჭიროა ბუნებასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება?

...ჩვენ შეხებაში შევედით ისეთ ადამიანებთან, რომლებიც საიდუმლო ძალებს ფლობენ და ამასთან ერთად ისინი ფლობდნენ იმდენად ღრმა ცოდნასაც, რომ ჩვენ, ჭეშმარიტად, შეგვიძლიან ვუწოდოთ მათ სახელად, — აღმოსავლეთის ბრძენკაცები.

...მათ დაგვიმტკიცეს ჩვენ, რომ ღმერთის არსებობა და ადამიანის სულის უკვდავება, შეიძლება იქნას მეცნიერებისა და რელიგიის კომბინირებით დამტკიცებული ისევე, როგორც ეს ევკლიდეს თეორემების დამტკიცებისას ხდება.

...აღმოსავლეთის ფილოსოფიაში ადგილი არა აქვს არანაირ სხვა რწმენას, თუ არა მხოლოდ აბსოლუტურ და ურყევ რწმენას ყოვლისშემძლე და უკვდავი, ადამიანის პირადი დიდი „მე“-ს მიმართ.

...ეს ყოვლისშემძლეობა წარმოიშობა

ადამიანის სულისა და სამყაროს სულის-ღმერთის ერთობისაგან! და ეს უკანსკნელი ვერასოდეს ვერ იქნება გამომჟღავნებული სხვაგვარად, თუ არა სხვა სულის მეშვეობით. ადამიანის სულის არსებობა ადასტურებს ღმერთის სულის არსებობას ისევე, როგორც წყლის ერთი წვეთი ადასტურებს იმ სათავის არსებობას, საიდანაც წარმოიშვა იგი. უთხარით ვინმეს, ვისაც არასოდეს არ უნახავს წყალი, რომ არსებობს წყლის ოკეანე, და მას მოუწევს ამის დაჯერება, ან უარყოფა. მაგრამ საკმარისია წყლის ერთი წვეთიც კი დაეწვეთოს მას ხელზე და მაშინ მას მიეცემა საშუალება ამ ფაქტიდან, სხვა მრავალი დასკვნაც გააკეთოს. ამის შემდეგ იგი თანდათანობით მივა იმ შედეგამდე, რომ არსებობს უკიდევანო, განუზომელი ოკეანე. მას უკვე აღარ დასჭირდება ბრმა რწმენა. იგი ცოდნით ჩაანაცვლებს მას.

...როდესაც ხედავ მოკვდავ ადამიანს, რომელიც ავლენს შეუზღუდველ უნარს და მართავს ბუნების ძალებს, რომლის თვალწინაც გადაშლილია მთელი სიბრძნე, მაშინ მოაზროვნე გონებას შეაძრწუნებს, შესძრავს რწმენა იმისა, რომ თუ ერთი ადამიანის სულიერი საწყისი უნარიანია აღასრულოს ამდენი სასწაული, მაშინ ამასთან დაკავშირებით მამის სულის შესაძლებლობანი იმდენად მეტი და ძლიერი უნდა იყვნენ, რამდენადაც ოკეანე უფრო ძლიერია და ვრცელი, ვიდრე წყლის ერთი წვეთი.

...არაფრისაგან არაფერი არ წარმოიშობა: დაამტკიცეთ ადამიანში სულის არსებობა მისი სასწაულმოქმედი ძალების მეშვეობით და თქვენც ღმერთის არსებობის დასტურსაც მიიღებთ.

...კურთხეულებმა შევაბიჯეთ საისის იზიდას ტაძარში ისე, თითქოს უხილავი ფარდა გავწიეთ „იმისა, ვინც არის, იყო

და იქნება”; რათა შეგვეხედა გაფხრეწილი ფარდის მიღმა იერუსალიმის წმინდათა-წმინდაში და უფრო მეტიც, კითხვებიც კი დაგვესვა მიწისქვეშა საჯამნოში (ეგეტიერში), რომელიც წმინდა შენობის ქვეშ არსებობდა ოდესღაც.


...ფილია ვოცის – ღმრთის სიტყვის ასული – გვპასუხობდა ფარდის მიღმა სათნოების ტახტიდან, რის შემდეგაც თეოლოგიის მეცნიერებამ და ადამიანთა ყოველმა ჰიპოთეზებმა, რომლებიც არასრულყოფილი ცოდნისაგან იყვნენ გაჩენილი, ჩვენს თვალში სამუდამოდ დაკარგეს თავისი ავტორიტეტი. ერთადერთი ცოცხალი ღმერთი მეტყველებდა თავისი წინასწარმეტყველის (ორაკულის) – ადამიანის მეშვეობით რამაც ჩვენ დაგვაკმაყოფილა სრულიად. ასეთი ცოდნა

ფასდაუდებელია და ამაზე უარი ეთქვა მხოლოდ იმათ, ვინც ვერ დაინახა იგი, გაამასხრა და უარყო მისი არსებობა.

...ადამიანებზე დოგმების ბატონობის დღე დაისისაკენ გადაინარა.

...ყოველი დღე მიაქანებს რეაქციონერებს იმ წერტილისაკენ სადაც ისინი იძულებულნი იქნებიან დათმონ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე არსებული დესპოტური ავტორიტეტი, რომლითაც ისინი ესოდენ დიდხანს სარგებლობდნენ.

...ამიტომ ჩვენი ნაწარმოები წარმოადგენს იმ მტკიცებულებას, რომლის საფუძველზედ აღიარებულ უნდა იქნას ჰერმეტიული ფილოსოფია, სამყაროს უპველესი სიბრძნის რელიგია, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტის ერთადერთ გასაღებს მეცნიერებასა და თეოლოგიაში.



ბემბოს ფირი

ათასწლეულების ამოცანა, – განათლება!

სიცრუე თავიასთავად, როგორც ასეთი, არა მხოლოდ მზაკერობაა, არამედ ბოროტებით სულის სნეულებაც.

/სოკრატე/

კაცობრიობის ევოლუციის მიზანი, – განათლებაა და ამ ურთულეს ამოცანას ორი წინააღმდეგობა ეღობება წინ. პირველი წინააღმდეგობა ხელოვნურია და მას ათასობით ჯურის ბნელეთის მსახური ხლართავს. ნუ ვიფიქრებთ იმას, რომ ამ სიავის ამოცანას მხოლოდ სატანა განახორციელებს. მას, ნებსით თუ უნებლიედ, ლეგიონები ემსახურებიან, ამიტომ იოლი მისახვედრია, რომ ეს პრობლემა, – ძალზედ ძნელად დასაძლევია პრობლემაა. ის ფანდები, რომელთა რკინის მარწუნებში დღემდეა მოქცეული კაცობრიობა, გახლავთ სახარებისეული მცნების, „არ მოიტყუო,“–ს უგულბებლყოფა. დღეს დედამიწაზე ტოტალური ტყუილია გაბატონებული, „უწყინარიდან“ დაწყებული და გაუგონარი დანაშაულის მომტანი ტყუილით დამთავრებული... ერთი სიტყვით კაცობრიობა და დედამიწა სიცრუით, ანუ სპეკულაციით არიან დაავადებულნი.

ჩვენ საუბარი გვექნება იმაზედ, თუ რა წარმოუდგენლად კრიტიკულ სიტუაციაშია დღეს კაცობრიობა ტოტალურად გაბატონებული ტყუილის გამო. ამიტომ ამ ვრცელ და დამოუკიდებლად გამოსაკვლევ საგანს, ჩვენ ღრუებით გადავდებთ და ორი სიტყვით მოგახსენებთ რელიგიათაშორის არსებულ დამოკლეს იმ მახვილის შესახებ, რომელიც უხილავი კატასტროფის პრობლემასავით დათარეშობს დედამიწაზე. საბედნიეროდ ეს საკითხი მსოფლიოს უდიდეს ლიდერთა თვალსაწიერშია მოქცეული და მათ მიერაა დაარსებული რელიგიათა შორის ურთიერთობების მსოფლიო მოძრაობა: პიროვნებათა, ოჯახთა, ერების, ქვეყნების, კულტურათა და რელიგიათა გაერთიანების მოძრაობა <http://truesite.ru/#start> ასევე მათ მიერაა დაწესებული

რელიგიისა და პოლიტიკის ინსტიტუტი.

საგულისხმოა ის, რომ ეს მოძრაობა საბჭოთა კავშირის პირველმა პრეზიდენტმა, –მიხელო გორბაჩოვმა დააარსა. იმედია, ამ უმწვავეს საკითხს ხსენებული ორგანიზებული სისტემა მოაწესრიგებს...

მაგრამ ისმის კითხვა: თუ განათლება ისე საჭიროა, რომ ევოლუციის მიზანს წარმოადგენს (განათლება, რადგან ხელოვნურ წინააღმდეგობას, გნებავთ სატანისას თუ სხვა ჯურის ბნელეთის მოციქულებისა, ასე თუ ისე, მაინც მოეველება), მაშ რაღა დაგვრჩენია?!

მიგხედოთ განათლებას...

აღბათ მკითხველი უკვე ხვდება იმას, რომ ჩვენს ფრიად „განათლებულ“ საუკუნეში, თუ რომელ განათლებაზე გვაქვს საუბარი...

საქმე ის გახლავთ ბატონებო, რომ ის რაც დღეს განათლების სახელითაა ცნობილი, წარმოადგენს დარგობრივად ორიენტირებულ პროფესიონალიზმს და როგორც თავად ხედავთ ჭეშმარიტი განათლება, – ფილოსოფია, – დარგობრივად ორიენტირებულმა პროფესიონალიზმმა ჩაანაცვლა. ფილოსოფია საყოველთაო ენაა და დარგობრივად ორიენტირებულ „განათლებულ“ ადამიანებს არ ესმით ერთმანეთისა, რამეთუ პროფესიული ენის სემანტიკები არ გადაიკვეთებიან და, აქედან იბადება ურთიერთგაუგებრობა, გაუცხოება... ეროვნული, რელიგიური, რასობრივი, სოციალური (მათ შორის პარტიულიც) თუ სხვა მრავალი ნიშნით ადამიანთა არაკომუნიკაბელობის პრობლემებს ემატება პროფესიულად ორიენტირებულ ადამიანთა აზროვნებით შექმნილი უნებლიე კონფლიქტებიც. ეს პრობლემა ღრმად გასააზრებელ საკითხს წარმოადგენს, რადგან პროფესიული მიზნები, იდეები და ტერმინოლოგია უკვე იწვევენ მოსაუბრეთა

დისტანცირებას და ისედაც გათიშული, ურთიერთდაპირისპირებული კაცობრიობა, პროფესიული განათლების გამო, ურთიერთგაუგებრობის უფსკრულისაკენ მიექანება.

ასე რომ ძალზედ მნიშვნელოვანია განათლების სისტემაში ფილოსოფიის აუცილებელი სწავლება, რაც ყოველი პროფესიის ჰუმანიზაციას მოიტანს და არცა ტრეფიკინგი, არცა ადამიანთა „სათადარიგო“ ნაწილებით ვაჭრობა და არცა დანაშაულებრივი რობოტოტექნიკა აღარ მოიკიდებენ ფეხს ჩვენს დედამიწაზე. როგორც ხედავთ, თავისთავად განათლება ყველაზე რთული ამოცანა გახლავთ, რადგან განათლების უმთავრესი მიზანია ნათლის ბნელისაგან გარჩევის უნარი, ანუ უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ცხოვრებაშია საჭირო ბნელის დანახვა და ცხოვრებიდან მისი ამოშანთვა. მხოლოდ ამ პირობის დაცვით აღიგვება დედამიწაზე ყოველგვარი დაპირისპირება, რადგან ბნელის დამნახავი, ათივე მცნების ფილოსოფიური გააზრების შედეგად, ყოველის მხედველი ხდება, რის გამოც არც თვითონ არ დააშავებს და არც სხვას მისცემს დანაშაულის ჩადენის უფლებას. ურიგო არ იქნება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ სხვისი დანაშაულის მხილება „ჩაშვება“ კი არ იქნება, არამედ ეს იქნება პირწმინდად მოქალაქეობრივი მოვალეობა, როგორც დემოკრატიის ის ინსტრუმენტი, რომლის გარეშე ბერძნული დემოკრატია ვერ შესდგებოდა. ბერძნული დემოკრატიის ეს კანონი პლატონის ნაშრომების ფუნდამენტალურ იდეას წარმოადგენს და ბერძენ კანონმდებელთა მიერ იყო შემუშავებული, როგორც ერის თანაცხოვრების აბსოლუტურად აუცილებელი პირობა.

დღეს ამ ფენომენს ჯერ ვერც კი წარმოვიდგენთ, რადგან განათლების სისტემაში ამ იდეას ჯერ არ შეუღწევია, რამეთუ ის მხოლოდ პროფესიულად ორიენტირებულ უმაღლეს სასწავლებლებზეა გათვლილი. დღევანდელი მსოფლიო კრიზისი მხოლოდ ფილოსოფიური აზროვნების დეფიციტის შედეგია და ეს საკითხი დღეს ვერც ერთმა

მსოფლიო რელიგიამ ვერ მოაწესრიგა, რადგან მსოფლიოს წამყვან რელიგიათა მრევლი გაუნათლებელია (გგულისხმობთ ფილოსოფიას), და აი ამიტომაც ასე მძაფრად დაძაბული რელიგიური პრობლემები დღეს მთელს მსოფლიოში: რელიგიური სწავლებანი კი სწორია, მაგრამ მათი შინაარსი, გაუნათლებელი გონებისათვის, მიუწვდომელი რჩება. ამაზე და მხოლოდ ამაზეა ნათქვამი: მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ. ვალდებულნი ვართ, მთელი სიცხადით გაგაცნობიეროთ, რომ ჩვენ აგვაშენებინეს ცივილიზაცია და პირწმინდად დაგვაფიწვეს კულტურა, რომელიც იგივეა რაც სინათლე. სინათლეზე საუბარი მხოლოდ თვალხილულ, ანუ განათლებულ (და არა პროფესიულად მომზადებულ) ადამიანთან შეიძლება, თორემ ბრმებთან, ანუ გაუნათლებლებთან საუბარი უდიდესი და ურთულესი პრობლემაა, რადგან ბრმა აბა რა დასკვნამდე უნდა მივიდეს?! რა თქმა უნდა მცდარ დასკვნამდე.

ამ აზრის იმ შინაარსის დონეზე ამოსატვიფრავად, როგორც ამ სტრიქონების ავტორს სურს ეს იდეა სრულფასოვნად მიიტანოს მკითხველამდე, გთავაზობთ იგავს. იგავი ხომ ის ხერხია, რომელსაც ნებისმიერი აზრის გადმოცემა ძალუძს!

ერთხელ მოხეტიალე ბერმა ერთ სოფელში შემოიარა და სოფელელებმა მას ბრმა მიუყვანეს. ამ ბრმას,—მოახსენეს ბერს,—არა სჯერავს სინათლის არსებობისა და გვიმტკიცებს, რომ იგი არ არსებობს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სინათლე არსებობს, მაგრამ ეს კაცი ისე დახელოვნებულია რიტორიკაში, რომ ვერა და ვერ გადავლახეთ ვერც მისი ინტელექტი და ვერცა მისი ლოგიკა. ამ კამათში იქამდის მივედით, რომ თითქმის ჩვენც დავიჯეროთ, რომ სინათლე მართლაც არ არსებობს...

აი, როგორ გვიხვევს ის თავს: თუ სინათლე არსებობს, მე მინდა შევეხო მას, რადგან საგნებს მე შეხებით ვაცნობიერებ და სინათლეს მართლაც ხომ ვერ შევეხებითო.

იგი ამბობს: საგნებს მე გემოთი შევიცნობ, მაგრამ სინათლეს გემო არა აქვს, ასევე შემძლია დაყვნოსო საგნები,

მაგრამ სინათლეს სუნი არა აქვს. ბოლოს და ბოლოს ბგერაზეც იგივეს ამბობს: შემოჰკარით სინათლეს და გაგიგონებ მის ხმასო.

ამის მეტი საქმე მას სხვა არა გააჩნია რა და მთელს თავის სიცოცხლეს მხოლოდ იმას უთმობს, რომ დაგვიმტკიცოს სინათლის არარსებობა...

სულით ზეცას წვდომილო! იქნებ შენ შეძლო და დაუმტკიცო ამ სულით ხეივარს, რომ სინათლე არსებობს, – მიმართეს სოფლელებმა ბრძენს.

ბრძენმა მართლაც გააოცა სოფლელები თავისი პასუხით: ეს ბრმა მართალია, მისთვის სინათლე არ არსებობს. რატომ უნდა დაიჯეროს მან ის, რაც მისთვის არ არსებობს და მისი გამოცდა არ შეუძლიან? ამიტომ თქვენ არ იქცევით სწორად. იმის მაგივრად, რომ მოარჩინოთ იგი, თქვენ უაზრო კამათში კარგავთ დროს.

გზად ერთ-ერთ სოფელში მე გავიცანი თვალის შესანიშნავი ექიმი. წადით, მოიყვანეთ ის ექიმი და იგი უეჭველად აუხელებს მას თვალებს, რამეთუ ის ფილოსოფოსია, ანუ ნამდვილი ექიმი.

ბრმამ იმწამსვე ხმა ამოიღო: „აბა მაშ არ გეკამათო?!“

ბერმა მშვიდად მიუგო: „ჯერ ექიმმა გიმკურნალოს და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება ჩვენს საუბარს აზრი. ამ სიტყვების შემდეგ მან ისეთი რამ დასძინა, რაც მხოლოდ ბრძენთათვის იყო გასაგები და ბერის ნათქვამს მხოლოდ ხსენებული ექიმი თუ მიხვდებოდა: ეხლა სრული უაზრობაა შენთან სინათლეზე საუბარი, რადგან შენ სინათლეს კი არა, ბნელსაც კი ვერ ხედავ(!!!) რადგან თვალები, უპირველეს ყოვლისა, ბნელს უნდა ხედავდნენო.“

მოიყვანეს ექიმი, რომელმაც სთქვა: „არც ისე დიდი პრობლემა აქვსო“ და მართლაც რამდენიმე თვეში ბრმას სინათლე დაუბრუნდა.

ატირებული ბრმა მივიდა ბერთან და აღიარა: მე მსურდა დავა იმაზე, რაც უდაოა, მე იქ ვეძებდი მტკიცებულებას, სადაც საჭირო იყო განცდა. შენ დიდი თანაგრძნობა გამოიჩინე ჩემს მიმართ, კამათზე რომ არ დამეთანხმე. მე კი მთელი ჩემი სიცოცხლის კამათში გატარებას ვაპირებდი, ნაცვლად

იმისა თვალები გამეხილა და სიბნელე დამენახა მკურნალობის მადლით. მე მივხვდი, რომ ცოცხლობდე თვალთახედვის გარეშე და ვერ ხედავდე ბნელს, ნიშნავს საერთოდ არ ცოცხლობდე ამ დედამიწაზე, რადგან ბნელის დაუნახავი, სინათლეს აბა როგორღა დაინახავს, რის გამოც იგი უამრავი ჯურის ნაძირალას მსხვერპლი ხდება. ღმერთო ჩემო, რამდენი თვალხილული ბრმა დაიარება ამ ქვეყანაზე და კიდევ სხვებს ასწავლის ჭკუას ისე, როგორც მე, მართლაც ბრმა და საკუთარ „სიბრძნეზე“ თავმეყვარებული ხეივარი...

გმადლი უფალს და გმადლით თქვენ, რომ თვალი ამიხილეთ ჩემს სიბრყველეს. მიხარია, რომ ისე არ წავაღ ამ ქვეყნიდან, რომ სიმართლე არ წავიღო იმ ქვეყნად...”

ასეთია ეს იგავი სინათლეზე. ჭეშმარიტი სულიერების მიზანია, – ეზიარო შინაგან ხედვას. ადამიანი, რომელიც თავის მოტყუების გარეშე აფასებს საკუთარ თავს, თავისუფალია ყოველი პოლიტიკური, იდეოლოგიური, თეოლოგიური, ფილოსოფიური, რელიგიური თუ სექტანტური მონობისაგან. ასეთი ადამიანი სრულიად შეუზღუდველია და სრულიად უსაფრთხოა საზოგადოებისათვის, რადგან გადარჩენილია როგორც პიროვნება თავადაც და სხვებისთვისაც, – გამოცდილების თვალსაზრისით, – თავისებურ მესიანურ წყაროსაც წარმოადგენს, რამეთუ ეზიარა სინათლეს და მას შეუძლიან დაინახოს

ბ ნ ე ლ ი ! ! !

ბნელში (სიბრმავეში) მყოფი ადამიანისათვის ღმერთი შეუცნობადია და ეს იმიტომ, რომ მას „პლატონისგან სწავლა თქმული,“ ანუ ფილოსოფია დაავიწყეს და პროფესიული ერთფეროვანი სათვალეებით ჩაუნაცვლეს იგი, რის გამოც ადამიანები სამყაროს, ანუ ჭეშმარიტებას, მხოლოდ პროფესიული ჩარჩოდან უცქერენ და ჩარჩოში ხომ მთლიანის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოსჩანს ისევე, როგორც ფანჯარაში!

ჭეშმარიტება კი, უკვე დიდი ხანია გაცხადებულია და იგი ასე ჟღერს:

„შეიცან თავი შენი“

ასტროლოგია

(განმარტება)

გამოვიდა უნიკალური ნაშრომი „ასტროლოგია“. თუ რა ღირებულების წიგნთან გვაქვს საქმე ჯერ იმით შეიძლება შეფასება, რომ გარეკანის პირველი და ბოლო გვერდი მთელი ფილოსოფიისა და საკრალური მეცნიერების აღფაღვანებული ლექსები საიდუმლოებებს შეიცავენ. მათი ამოკითხვა მხოლოდ იმ ეზოთერული ცოდნის მქონე მისტიკოსებს შეუძლიათ, რომლებისთვისაც (და რომელთა ტოლი რანგის მისტიკოსებმა შექმნეს ეს ნა-ხატი) წინაპართაგან შეიქმნა ეს ნა-ხატი, ნახატი.

მაგრამ დადგა უამი ყოველი საიდუმლოების გამხელისა, რასაც მეცნიერება ასე მოურიდებლად, თამამად და ასე წარმატებით აკეთებს დღეს და ჩვენც გვინდა, ბოლოს და ბოლოს, ასტროლოგიას, – მეცნიერებათა გვირგვინსაც და კომპენდიუმს (კრებულს) ერთდროულად, – ავხადოთ ფარდა. ჩვენი წიგნის გარეკანზე (ნახ.1) და გარეკანის ბოლო გვერდებზე მოყვანილი სიმბოლური (ნა) ხატების მიმართ გავაკეთებთ განსხვავებულ განმარტებებს, და ეს ყველაფერი კეთდება მიუხედავად იმისა, რომ ამ ასტროლოგიის წიგნის შიგთავსი აღვსილია უამრავი, დღემდე საიდუმლო სიმბოლიზმის თუ იეროგლიფების შინაარსის ახსნა-განმარტებებით...

ასტროლოგია, – მეცნიერებათა გვირგვინი, – წარმოადგენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველ მეცნიერებათა და ცოდნათა კომპენდიუმს. ასევე ტიბეტშიც, – სასულიერო განათლების გვირგვინსაც და ბოლო საფეხურსაც, – ასტროლოგია წარმოადგენს. იქ მხოლოდ ასტროლოგიის უმაღლესი საფეხურის მცოდნე დებულობს უფლებას გადავიდეს სასწავლებლად პრაქტიკულ შრეზე, – იოგის სკოლის უზენაეს გურუსთან (მასწავლებელთან). ამიტომ მხოლოდ ასტროლოგიის ცოდნით შეიარაღებულ პრაქტიკოსს ეწოდება იოგი (მისტიური სიმაღლეებისაკენ მისწრაფებული), რადგან

ჭეშმარიტი ასტროლოგიური კანონებისა და მეცნიერების ცოდნის გარეშე, სულიერი სიმაღლეების დალაშქვრა, ანუ თვითრეალიზაცია, შეუძლებელია.

აქვე დავძენთ, რომ ნურავინ ნუ იფიქრებს, თითქოს მხოლოდ ტიბეტი და, კონკრეტულად კი აღმოსავლეთი, ფლობენ საკრალურ ცოდნას, ანუ მხოლოდ ისინი როდი არიან ამ ცოდნის ერთპიროვნული მონოპოლისტები, რადგან საერთოდ მონოპოლია ამ დარგში შეუძლებელია. ერთადერთი ჭეშმარიტი მონოპოლისტი, – მხოლოდ ბუნებაა, მაგრამ ბუნებაც კი, თუ მას ძლიერმა ინტელექტმა და ინტუიციამ შეუტია, თმობს თავის საიდუმლოებას ამ უშიშარი მოიერიშეს წინაშე და უკვე მასთან ინაწილებს თავის ამ სამყაროზე ძლევამოსილებას. დასტურად ამისა საკმარისია ჩავწვდეთ ათასწლეულების, ასტროლოგიის წიგნის გარეკანის აქ მოყვანილ სურათს. მაშ ასე, ამოვიკითხოთ ამ სურათით მორთმეული ბუნების ნობათი და დავრწმუნდეთ იმაში, რომ განდობილთა კასტები მუდამ მართავდნენ მსოფლიოსაც და კაცობრიობასაც.

მარკოზის სახარების მეთორმეტე თავის მეთხუთმეტე ლექსიდან სრული ენციკლოპედიური მოცულობით ცოდნის ამოკითხვას, გვთავაზობს ასევე სრული ენციკლოპედიური მისტიური ცოდნის მქონე ასტროლოგიის გარეკანის მხატვარი. ჩვენც შევეცდებით ამ უკიდუგანო ცოდნის ამოკითხვას და მის დამაჯერებლად გადმოცემას. ვიდრე ჩვენ ამას გავაკეთებთ, უნდა დავინახოთ ის, რომ (ნა)ხატის შემცველი უკიდუგანო შინაარსი ითხოვს მისი აღწერისათვის ძალზედ ვრცელ ტექსტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ (ნა) ხატი არის განდობილთა საკრალური ენა! ამ შემთხვევაში ნახატით, ანუ განდობილთა ენით, გადმოცემულია ის ცოდნა, რომელიც მარკოზის სახარების სრულ ტექსტს შეიცავს და რომლის ცოდნაც მხოლოდ განდობილის პირადი საკუთრებაა. აი აქ უნდა გავიმეოროთ ეს ფრაზა განსაკუთრებული აზრის გამოსაკვეთად: ამ ენაზე გადმოცემულია განდობილთა ის ცოდნა, რომელიც მარკოზის სახარების მთელს ტექსტს შეიცავს. ამიტომ მხოლოდ



ნახ.1

ესლა ხდება გასაგები თუ რატომ იქნა შექმნილი ბემბოს ფირი მხოლოდ მხატვრული ხერხით და არა რომელიმე საიდუმლო ტექსტის სახით, რამეთუ მასზე არცერთი ასობგერა და არცერთი იეროგლიფი არაა ასახული. ნახატი ის უნივერსალური სიმბოლური ენაა, რომელიც იმ საშუალებას ქმნის, რომ საუკუნეთა სიღრმის სიბრძნის გზავნილები გასაგები ხდებიან ათასწლეულების შემდეგაც კი, და ისიც ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკეთათვის

ყოველგვარი დამწერლობის გარეშე, რადგან დაკარგული ცივილიზაციის დამწერლობის აღდგენა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და სურათი კი პირდაპირ იკითხება. ასეა ბემბოს ფირის და ამ წიგნის გარე და ბოლო გვერდებზე ნახატების შემთხვევაშიც. ასე რომ ხელოვნება, ამ შემთხვევაში ნახატი, მსოფლიოს კულტურათა გამამთლიანებელი, გამაერთიანებელი მარადიული ენაა და თუ რას ნიშნავს ეს ესლავე მოგახსენებთ.

მსოფლიომ ძალიან კარგად იცის ჩინური კულტურის არსებობის შესახებ და ისიც იცის, რომ იგი ჩაკეტილი, მხოლოდ ჩინელებისათვის პირადი კუთვნილების კულტურაა, და თითქმის მხოლოდ ჩინეთის საზღვრებშია მოთავსებული იმიტომ, რომ ჩინეთი ხმარობს იეროგლიფს, – დამწერლობის განსაკუთრებულ სიმბოლოს, – და იეროგლიფი ხომ მხოლოდ ჩინური კულტურაა! აი საქმეც ამაშია: ჩინეთში ცნობილია ანდაზა, რომ ასი ლი (ლი–მანძილი) საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთის ენა ვერ გაიგონ. ურთიერთგაგებას იეროგლიფებით ამყარებენ და ჩინეთის საზღვრების მიღმა იეროგლიფი გაუგებარია. ასე რომ ჩინურმა იეროგლიფებმა ჩინური კულტურა მხოლოდ ეროვნულ კუთვნილებად გადააქციეს და კულტურაც იეროგლიფის სივრცეში, ანუ ჩინეთში ჩაიკეტა. ეხლა კი ყოველი იმის პირობა, რომ ითქვას რაღაც განსაკუთრებული, – უკვე შესრულებულია და ჩვენც აღარ დავაყოფნებთ.

კაცობრიობის ყოველი დროის შეუდარებელმა ბრძენკაცმა, *სოკრატემ* შეიტყო რა ბერძნული ალფაბეტის შექმნის შესახებ, სთქვა: ბერძნებო! ნუ შექმნით ალფაბეტს. მაშინ იცოდნენ თუ რატომ სთქვა უდიდესმა ბრძენმა ეს სიტყვები, და რაც მან სთქვა იმას ნიშნავდა, რომ ბერძნები ამით ცოდნაზე კერძო საკუთრების უფლებას გამოაცხადებდნენ. ასე გაჩნდა ჩინური კულტურა, ასე ჩაიკეტა ძველი მისტიური საკაცობრიო ცოდნა ბერძნულ ალფაბეტში და... ბერძნები, როგორც ერი, მასიურად ვერ ჩაწვდა ალფაბეტში კოდირებულ ცოდნას და ელადაც, რაც ასე დასანანი მოსწყდა მსოფლიოს ერთიან კულტურას და ჩინელებივით ჩაიკეტნენ ეროვნული კულტურის საზღვრებში. ასეთივე შედეგი მოჰყვა სხვა დამწერლობებსაც. უნდა აღინიშნოს ის, რომ, იგივე მიზეზის გამო, მსოფლიოს რელიგიური ერთმთლიანი ხედვა დაიმსხვრა და ეროვნული დამწერლობების ჩარჩოებში მოექცა, რამაც განსხვავებები გააჩინა, რადგან ერთიანი სურათი დაიმსხვრა მონაიკურ ნამსხვრევებად, – ალფაბეტებად. ეს იყო გაკეთებული შეგნებულად რათა „გათიშე

და იბატონე“-ს პრინციპის თანახმად ქვეყნებისა და ერების დამორჩილება და გარკვეული ინტერესებისათვის მართვა უნდა დაემყარებინათ გარკვეულ ძალებს. აბა ვნახოთ, ერთი შეხედვით (განათლებული გონების ერთი შეხედვით!!!) თუ რამდენი შინაარსია მოცემული ამ (ნა)ხატებზე და ჩვენც დავინახავთ, რომ ეს ერთი ციციქნა (ნა)ხატი, მართლაც მთელ სახარებას შეიცავს.

ერთი შეხედვით სურათი კიბეებზე გამავალი სინათლითაა გაყოფილი. ბნელ მხარეს სამი ფიგურაა მოთავსებული ცხოველთან ერთად. ნათელ მხარეს ტაძარია, რომლისკენაც კიბის შვიდი (შვიდი, – გამარჯვება, victori, ებრაულად – ნეცახს!) საფეხური აღიმართება. მაცხოვარი მათრახით (მათრახი, – გველი, კუნდალინი) „ერეკება“ ფარისევლებს, მწიგნობრებსა და მევახშეებს...

რატომღაც მაცხოვრის მათრახი, ნათელში მოქცეულ ცხრა ადამიანს ეხება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მევახშეთა და მწიგნობართა რაოდენობა სულ თორმეტი, იოლი მისახვედრია, რომ საქმე თორმეტ ზოდიაქოს, ანუ ასტროლოგიას ეხება. მაგრამ მასონურ ფილოსოფიაში კარგადაა ცნობილი ცხრა მშენებელი ხელოსანი და ისინი, ამ სურათში ნათელში არიან. ის, რაც ქრისტეს რისხვის სახით, „ცხრა ძმა ხელოსანს“, – ცხრა ზოდიაქოს ნიშანს, დაწყებულს კირჩხიბიდან და დამთავრებულს თევზების ზოდიაქოთი, – თავს დაატყდათ, არის – კათარზისი, – განწმენდა. ანუ ადამიანის სხეულის შემდეგი ცხრა ნაწილის კათარზისი: *გულმკერდი, ზურგი, მუცელი, წელი, შარდ-სასქესო ორგანოები, მენჯ-ბარძაყი, მუხლები, წვივები და ტერფები*. ანუ, საერთო ჯამში, სხეულის 12 ნაწილიდან, მხოლოდ 9 ნაწილი იწმინდება ქრისტეს მოძღვრების პრაქტიკით (ასტროლოგიურად, – კირჩხიბიდან თევზებამდე). ამ კათარზისის, ანუ განწმენდის პრაქტიკა *კაბირის მისტერიების* ყოველწლიური პრაქტიკა გახლდათ იმ დროს და განდობილ ადამინთა ფიზიკური სიჯანსაღის საფეხურს წარმოადგენდა.

დანარჩენი?!

დანარჩენ სამს, რომელნიც ჩრდილში (ბნელში იმყოფებიან), მასონური იდეოლოგიით სამი მკვლელი, მშენებელი ოსტატი ძმებს უწოდებენ, რომელთა გამოც ნებისმიერად ჯანსაღი, კარიბის მისტერიების მცოდნე ადამიანები მაინც ბერდებიან და სიბერისაგან იხოცებიან, ანუ მასონური იდეოლოგიით სამი მშენებელი მკვლელი ოსტატის გამო არსებობს სიბერე და სიკვდილი.

მათი დამორჩილებისა და დაძლევის იდეოლოგია უკვე *ელეფანტის* მისტერიების საქმე იყო, რომლებიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდნენ.

ვინ არიან ეს სამი მკვლელი ოსტატი ხელოსანი?!

პირველი არის *ტყუპების ზოდიაქო*. ასტროლოგიიდან ცნობილია, რომ ეს ხელებია. ამიტომაც ამ სამეულის პირველის ხელები დაკავებულია მომხვეჭელობის შედეგად შექმნილი საგნებით, ოქრო-ვერცხლით, ასევე მათი მოპოვებისა და დაცვის იარაღით, – მახვილით.

გასაგებია რომ ამით იგი „*მკვლელია*“, ანუ *უბრალო მოკვდავი*.

მეორე?!

მეორე – *ხარია*, ანუ კისერი და მხატვარმა ეს ისე აშკარად აჩვენა, როგორც მისი კისერი ასე კისრის არნახულად, თითქმის 90 გრადუსზე მეტი შემობრუნებაც, რომ მას დასტურიც კი აღარ ესაჭიროება... თუმცა ეს მიწიერი გაგებითაა ხარი და არა ქრისტეს განსაწმენდელიდან გამოსული ხარი. *კათარზისის გარეშე კისერიც მკვლელია* და თუ რატომ, ისე ნათლადაა ახსნილი, რომ დაეჭვებაც კი შეუძლებელია: *ხარი*, სექსუალური ენერჯისა და ძლიერების, ხარის კეთილშობილების სიმბოლო, ამ მიწიერი ადამიანის შემთხვევაში, – *ვირითაა წარმოდგენილი*. ლათინური სიტყვა VIRI, – ნიშნავს მეუღლეს, მამაკაცს... და თუ მოვიშველიებთ ონორე დე ბალზაკს, ვირის, იგივე *გარეული ვირის (კულანის) ტყავი*, – *შაგრენის ტყავია*, რომელიც ყოველი სურვილის შესრულების შემდეგ კლებულობს და ბოლოს ისე განილევა, რომ სრულებითაც ქრება. ის, თუ რას ნიშნავს *შაგრენის ტყავის გაქრობა*, მწერალს ზედმიწევნით აქვს ახსნილი.

ეს, რა თქმა უნდა ყმაწვილკაცობის, სრული სიდიდის მქონე *შაგრენის ტყავი*, ის სექსუალური პოტენციალია, რომელიც ყოველი სურვილის დაკმაყოფილების შემდეგ აშკარად კლებულობს და ასაკში სრულიად იკარგება (მას შარდის ბუშტის განუკურნებელი სენის, ანუ სიბერის, გამო მოსდევს სიკვდილი).

ეს *მეორე მშენებელი ოსტატი „მკვლელის“* – *შინაარსია*.

რაც შეეხება *მესამეს*, – ეს უკვე თავია და მასზე აშკარა მინიშნება, – თავზე დადებული ფუთაა (რაც ასე ძალიან ჰგავს მუთაქას), ფუთა რომელიც გამოტენილია ილუზიებით, ამბიციებით, ამპარტავნებით, ქედმაღლობით, საკუთარ თავზე განსაკუთრებულობის დიდი წარმოდგენებით და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა რამით... ერთი სიტყვით მიწიერი მისწრაფებებით, რომელნიც ადამიანის გონების ზეცისაკენ მისწრაფებას კლავენ.

ქრისტეს უკანა გეგმილზე, – *სამებაა*, რომელთა შინაარსი მათი სამოსელის ფერებითაა დატვირთული.

აი ეს სამება:

- ვარდისფერი – *სიყვარული!*
- ოქროსფერი – *სიბრძნე* და
- მწვანე – *ძლევა* (ძლევაამოსილება)

და ყოველივე ეს, როგორც სიცოცხლის საყრდენი, ამ სამების უკან ზეცის თაღის შემაკავებელი, – ასევე სამების შინაარსის მატარებელი, – სამი უზარმაზარი სვეტებითაა გამოსატყლი.

ეს სამება *იესო ქრისტეშია* თავმოყრილი და მის, *მამასთან ერთარსობას*, – ანუ მონადას ნიშნავს, რასაც მხატვარი ერთი სვეტით მიგვანიშნებს და სვეტებიც ხომ ასე აშკარად არიან სამი ცალკე – *სამებისა* და ერთიც ცალკე – *იესოსი*.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, ამ ნარკვევისათვის, ვიდრე შემდეგ ნომერში სახარებისეულ ტექსტებს ამოვიკითხავთ...

ქრისტე 33 წლისა იყო... და პირველი ორო სვეტი სამ-სამი მრგვალი ბლოკითაა წარმოდგენილი ამ (ნა)ხატზე, რაც მასონიზმში „*სამყაროს არქიტექტორის*“ წოდებაა, და საბერძნეთში კი ნიშნავდა ზრდასრულებას, რაც თავის მხრივ ბერძნული მისტიციზმის თანახმად

ზრდასრულების 23 წელიწადს ნიშნავს. ეს რიცხვიც ისე აშკარადაა მოცემული ამ ნახატზე, რომ ამის არ ამოკითხვა შეუძლებელია: სამი წმინდანის ბოლო ორი სვეტი ორი და სამი ბლოკითაა ნაშენი და ეს ყველაფერი იმდენად აშკარაა, რომ ტექსტის გადმოსაცემად, მშენებელი ოსტატები შეგნებულ „შეცდომაზე“ მიდიან, – ისინი აშკარად „არღვევენ“ სამშენებლო ტექნოლოგიას: ერთი კოჭი აშკარად დიდია ზომაში დასაშვებთან შედარებით რიცხვი ორის გადმოსაცემად...

საყურადღებოა, რომ სახარებაში ტაძრიდან განდევნაზეა საუბარი და სურათზე კი, შესაბამისი ეპიზოდი, ტაძრის მისაღვომებთან ხდება, ანუ ჭეშმარიტი სულიერი ტაძარი დაკეტილია ყოფითი ცხოვრების მრევლისათვის და აკი ტაძარს კარებიც კი არა აქვს და ყველაფერი ტაძრის გარეთ ხდება, რადგან მრევლი გარე წრეა (გარეწრელები!!!) და სულიერი მოძღვრებები კი შიგა წრე. იქ, შიგა წრეში, მხოლოდ განდობილები იკრიბებიან სხვებისათვის უხილავი კარებიდან. ასე რომ სინამდვილე ასეთია: ვიდრე ტაძრის საიდუმლო კარს იხილავ და ღირსი გახდები მასში შესასვლელად, საჭიროა საერო ცხოვრების ურთულესი კათარზისის გავლა. რაც შეეხება ტაძარს, რომელიც კარს არ საჭიროებს, საგულისხმოა ხევსურულ – მთიულურ-თუმურთი ფოლკლორი:

„რა ვქნა“-ის ციხე ავაგე
„ჯავრი“ შავაბი კარადა
საიქიოდან მოვიდნენ
იმ კარის სანახავადა.
ბევრი უარეს გარშემო,
კარ ვერ უნახეს სავლადა.
ბოლოი თქვეს:
დრო რომ მოვალის,
კარ გაიღების თავადა.

ღიახ, დრო რომ მოვალის კარ გაიღების თავადა. აი ამ ხალხური ფოლკლორული სიბრძნით დავასრულოთ ეს მოკლე განმარტება და ვიდრე სახარებისეულ განმარტებებზე გადავალთ წიგნის გარეკანის ბოლოში მოთავსებული საიდუმლო ლაბირინთიც გავშიფროთ.

ლაბირინთი

ანუ საფანგი, სადაც მინოტავრი ყოველწლიურად შვიდ-შვიდ გოგო-ბიჭს შთანთქავს. აქვე განვმარტავთ, რომ მეორე მკვლელი ოსტატი ხელოსანი, – ხარი, (ვირი, – გადაგვარებული ხარი) მინოტავრია და აი ამიტომაც რომ იგი შვიდ-შვიდ



გოგობიჭს იწირავს ყოველწლიურად და... კისერშიც (კისერი ხარია) ხომ ასევე შვიდი მაღაა?!

ლაბირინთი უპირველესყოვლისა ბნელი გვირაბია, სადაც არიანას ძაფი, ცოდნაა საჭირო და ცოდნის უპოვარი ხომ ბნელეთისთვისაა განწირული. მართლაც სურათზე ორი „ლაბირინთია“ გამოსახული. ბრჭყალები სიტყვა „ლაბირინთში“ ნიშნავენ იმას, რომ სინათლის გზის მიმართ ვიხმარეთ ბრჭყალები, რადგან სინათლეში ლაბირინთი არ არსებობს, სინათლეში გზა პირდაპირ მიზნისაკენ მიდის ყოველგვარი ჩიხებისა და საფანგების გარეშე. ლაბირინთის მცნება მხოლოდ ბნელს, უმეცრებას ეხება და ეს მისი, – ბნელის აღმნიშვნელი სინონიმია.

მიზანი ამ ლაბირინთში გულია, რაც ერთი-ერთზე ქართული დროშის სიმბოლიკის თანხვედრია.

ერთი შეხედვით ნათელი გზა მართლაც ლაბირინთია, მაგრამ გაყევით ნათელ, თეთრ გზას და ყოველგვარი ჩიხებისა და უკან დაბრუნების გარეშე (მართალია, სინათლისაკენ მიმავალი გზა დაზღვეული არაა მიმართულებათა და კურსის მძაფრი ჩანაცვლებებისაგან, მაგრამ ნათელი გზა უცილობლად მიდის მხოლოდ განთავისუფლებისაკენ). ნათელი, ანუ ცოდნის გზა მიგიყვანთ გულთან (ქართულ დროშასთან).

მაგრამ ბნელი გზა, რომელიც გვერდიგვერდ გასდევს ნათელს, აი ესაა ნამდვილი ლაბირინთი, რადგან მარჯვენა ბნელი გზით თქვენ მომენტალურად მოხვდებით ჩიხში და უკან მოგიწევთ დაბრუნება (ანუ ცხოვრების განმეორება, რეინკარნაცია) და მარცხნივ, ნათელი გზის გვერდით მიმავალი ბნელი (შავი) გზა, – ლაბირინთი, – ჩიხის ხაფანგებში მოქცევითა და უკან დაბრუნების გზით მაინც მიგიყვან ჩიხში და ისევ უკან დაბრუნება (რეინკარნაცია) მოგიწევთ. ასე რომ ჩიხი, სიკვდილი, რეინკარნაციაა, ანუ გარდაცვალება გარდაუვალია მანამ, ვიდრე ყოველი ადამიანი ქრისტეს კათარზისს არ გაივლის, ანუ სანამ არ შეიძენს ცოდნას, ჭეშმარიტ ცოდნას, და არა დოგმატურ, გაუცნობიერებულ, ამიტომ სრულიად გამოუსადეგარ ცოდნას. ეს ცოდნა სურათზეა წარმოდგენილი უზენაესი ასტროლოგიის სახით და მხოლოდ ამ შემთხვევაში, მაძიებელი უკვე სინათლის გზით შევა გულში და აღარ დაექვემდებარება გარდაცვალებას, (რეინკარნაციას), უმეცრების გამო ესოდენ მძიმე ხვედრს.

ეხლა კი იმ გასაოცარ სიტყვებს მოგახსენებთ რომლებიც ამჟამად რეინკარნაციის იდეის არსებობის შესახებ ითქვა ზედა სტრიქონებში და გაგიკვირდებათ თუ რამდენი ათასწლეულის წინაა ნათქვამი ეს სიტყვები და დღემდე იყო გაუგებარი რადგან ინდოეთამც მის ტაძრებზე სახვითი ხელოვნების აშკარა ძალით მოცემული ცოდნა, ასევე დამწერლობაში დამალა

და გახდა გაუგებარი იმათთვის, ვინც სანსკრიტი არ იცოდა და არ იცის დღემდე.

ასეა თუ ისეა, აი ბხაგავად გიტას სტრიქონები, რომლებიც აქ მხოლოდ ლაბირინთის მიმართ მოცემული განმარტებების ფონზე ხდება გასაგები: “შენ, რომელიც არასოდეს არ განიკითხავ, გიცხადებ ამ სანუკვარ საიდუმლოებას, სიბრძნეს, ცოდნასთან დაკავშირებულს, რომლის შემეცნების შემდეგ შენ გათავისუფლდები ცოდვისაგან.

იგი საღმრთო მეცნიერებაა, საღმრთო საიდუმლოება უზენაესი კათარზისი; ინტუიციით შეცნობადი, სიწმინდის ზრდასთან ერთად შესრულებადი, იგი სამარადისოდ ინახება.

ვინც ცოდნას უარჰყოფს, ო მაძიებელო, ჩემამდე ვერ აღწევენ და ამა ცხოვრების სიკვდილის გზას უბრუნდებიან.”


მხოლოდ ლაბირინთის, როგორც (ნა) ხატის ილუსტრაციამ მოიტანა ამ სიტყვების, ილუსტრაციის გარეშე დაკარგული შინაარსი.

სურათი, ბემბოს ფირი, ქანდაკება, ნახატი, ხელოვნება, – აი გზა ხსნისა და აკი ნათქვამია ძველად:

ხელოვნება გადაარჩენს სამყაროს!!!



აინშტაინი და რწმენა უფლისადმი



ერთხელ უნივერსიტეტში პროფესორმა სტუდენტს კითხვა დაუსვა.

პროფესორი: ღმერთი კარგია?

სტუდენტი: დიახ

პ: ეშმაკიც კარგია?

ს: არა

პ: სწორია. მიპასუხე შვილო, დედამიწაზე ბოროტება არსებობს?

ს: დიახ

პ: ბოროტება ყველგანაა და ეს ყველაფერი ღმერთმა შექმნა, ხომ მართალია?

ს: დიახ

პ: ე.ი. ვინ შექმნა ბოროტება?

ს: ... (სტუდენტი დუმს)

პ: დედამიწაზე არის სიმახინჯე, თავხედობა, ავადმყოფობა, უმეცრება? ეს ყველაფერი ხომ ნამდვილად არის?

ს: დიახ სერ

პ: ვინ შექმნა ისინი?

ს: ... (სტუდენტი დუმს)

პ: მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანს 5 გრძნობა აქვს იმისთვის, რომ მის ირგვლივ მყოფი სამყარო აღიქვას. მიპასუხე შვილო, როდესმე გინახავს ღმერთი?

ს: არა, სერ

პ: გვითხარი, ღმერთის ხმა გსმენია?

ს: არა, სერ

პ: როდისმე გიგრძენია ღმერთი? მისთვის გემო თუ გაგისინჯავს? ან თუ გიყნოსია?

ს: ვშიშობ, რომ არა, სერ

პ: და შენ მაინც გწამს მისი?

ს: დიახ

პ: მიღებული დასკვნების საფუძველზე მეცნიერებას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ღმერთი არ არსებობს. რაიმეს დაუპირისპირებ ამას?

ს: არა პროფესორო, მე მხოლოდ რწმენა გამაჩნია.

პ: სწორედ ასე. რწმენა – ესაა მთავარი პრობლემა მეცნიერებისათვის.

ს: პროფესორო, არსებობს ყინვა (სიცივე)?
პ: რა შეკითხვაა? რა თქმა უნდა. შენ არასოდეს შეგვიცვებია? (სტუდენტებს ყმაწვილის კითხვაზე გაეცინათ)

ს: სინამდვილეში სერ, ყინვა(სიცივე) არ არსებობს. ფიზიკის კანონების მიხედვით, ის რასაც ჩვენ სიცივეს ვეძახით, სითბოს არარსებობაა (უქონლობა). ადამიანი ან საგანი ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ იმის მიხედვით, თუ მას გააჩნია ენერჯია ან გასცემს მას. აბსოლიტური ნული, ეს სითბური ენერჯიის სრული არქონაა (არარსებობაა). ასეთ ტემპერატურაზე მატერია ინერტული და სრულიად უუნარო ხდება. სიცივე არ არსებობს. ეს სიტყვა იმისთვის მოვიგონეთ, რომ სითბოს არარსებობის შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა ავღწეროთ. (აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოწვა)

ს: პროფესორო სიბნელე არსებობს?

პ: რა თქმა უნდა. რა არის ღამე თუ არა სიბნელე.

ს: თქვენ ისევ ცდებით, სერ. სიბნელე სინამდვილეში სინათლის არქონაა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე და არა სიბნელე. ნიუტონის პრიზმის გამოყენებით შეგვიძლია თეთრი შუქის უამრავ ფერად დაშლა და თითოეული ფერის სხვადასხვა სიგრძის ტალღების შესწავლა. თქვენ არ ძალგიძთ სიბნელის გაზომვა. სინათლის უბრალო სხივს შეუძლია სიბნელეში შეღწევა და მისი განათება. როგორ უნდა გამოვიკვლიოთ რამდენად ბნელია რაიმე სივრცე? ამისათვის თქვენ ითვლით, თუ რა რაოდენობის სინათლეა იქ. სიბნელე ის მცნებაა, რომელსაც ადამიანი იმისთვის იყენებს, რომ გაიგოს რა ხდება სინათლის არქონის შემთხვევაში. ახლა კი მიპასუხეთ პროფესორო, სიკვდილი არსებობს?

პ: რა თქმა უნდა. არის სიცოცხლე და არის სიკვდილი – მისი საწინააღმდეგო მხარე.

ს: თქვენ ცდებით, პროფესორო. სიკვდილი სიცოცხლის საწინააღმდეგო მხარე კი არა, მისი არარსებობაა. თქვენმა მეცნიერულმა თეორიამ სერიოზული ბზარი გამოაჩინა.

პ: რისკენ მიდიხართ ახალგაზრდავ?

ს: თქვენ გვასწავლით, რომ ჩვენ მაიმუნისგან წარმოვიშვით. თქვენი თვალით

გინახავთ ევოლუცია? პროფესორმა ღიმილით დააქნია თავი, როცა მიხვდა საით მიდიოდა საუბარი.

ს: არავის არ უნახავს ეს პროცესი. ამიტომ თქვენ უფრო მღვდელი ხართ, ვიდრე მეცნიერი. (აუდიტორია ახარხარდა)

ს: ახლა მითხარით, არის ამ კლასში ვინმე, ვისაც პროფესორის ტვინი უნახავს? უყნოსია მისთვის? (სტუდენტები კვლავ ხარხარებენ)

ს: მე მგონი ასეთი არავინაა. მაშინ მეცნიერულ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ პროფესორს ტვინი არ აქვს. მიუხედავად თქვენდამი ჩემი დიდი პატივისცემისა პროფესორო, როგორ უნდა ვენდოთ თქვენს ლექციებს? (აუდიტორია გაირინდა)

პ: ვფიქრობ, რომ თქვენ უბრალოდ უნდა მენდოთ (დამერწმუნოთ).

ს: ნამდვილად! ღმერთს და ადამიანს შორის ერთადერთი კავშირია – ეს არის რწმენა (ნდობა)!

პროფესორი დაჯდა.

ამ სტუდენტს ალბერტ აინშტაინი ერქვა...

ნოიონ მაჩხანაის წერილი მთავარ ნოიონს ქართველ მეომართა შესახებ

მიადწილ ისეთ მიზანს, რომ საუკუნეებს გადაწვედეს კვალი შენი, ერისა და კაცობრიობის აღმშენებლობისა, აი ესაა მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის უზენაესი მიზანი.

/ადმოსავლური სიბრძნე /


ქართველები იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ არ ეკარებათ სუსტი თვისებები. ისინი იმდენად ძლიერნი არიან და ისე საოცრად ფლობენ საკუთარ თავს, რომ უარყოფით აზრებს ან უარყოფით განწყობას არ იკარებენ მტკიცე, ურყევი და დადებითი ხასიათის გამო. ასე იცავენ საკუთარ სხეულს, რადგან არ აკარებენ მას უარყოფით განწყობას, რამეთუ კარგად იციან, რომ ყოველივე უარყოფითი მომაკვდინებლად მოქმედებს სხეულის სიძლიერეზე.

მათ სიძლიერეს ვერ ეკარება სუსტი თვისებები, – სისასტიკე, მრისხანება, შეუბრალებლობა რადგან მუდმივად კარგად მყოფნი არიან, მუდმივ კმაყოფილებას განიცდიან, – აი ესაა მათი გასაოცარი თვისებები. ადამიანური სისუსტეებისაგან შორს უჭირავთ თავი და აი ამიტომ მტრებსაც კი უყვართ ქართველები და არ უჩნდებათ მათი განადგურების სურვილი.

სისასტიკითა და მრისხანებით ცნობილი მტრები გრძნობენ მათ ძლიერებას. მათი ძალა აგებულა იმაზედ, რომ მათ თავიანთ თავში დაიმორჩილეს შური, მრისხანება და სისუსტისაგან შობილი სისასტიკე.

უშიშარნი და მოსიყვარულენი, სისასტიკისა და მრისხანების დამმარცხებელნი იმდენად ძლიერნი არიან, რომ განწყობა და ხასიათი არ უფუჭდებათ, ამიტომაც კაცთა კვლის სურვილი არასოდეს არ უჩნდებათ მათ. ქართველები ყველაფერს სიყვარულითა და ცოდნით აკეთებენ. მრისხანებით ცნობილი მეომრები მათთან საქმის დაძაბვას თავს არიდებენ, რადგან კარგად იციან მათი ძლიერების შესახებ. ქართველები თვლიან, რომ კაცთა კვლა, მრისხანება და სისასტიკე, – სისუსტეა კაცისა და ეს იმ დროს, როცა ყოველი აქ მოყვანილი ავი თვისება სხვათა სივრცეში, პირიქით, სიძლიერის ნიშნებადაა მიჩნეული, რადგან ითვლება, რომ ადამიანთა დამორჩილება ზუსტად ამ თვისებების ძალით ხდება. მხოლოდ ქართველები თვლიან, რომ ყოველი ამ თვისების გამოვლინება სისუსტეა რაინდისა და ამიტომაც ამარცხებენ მას საკუთარ თავში.

ქართველთა ნდობა შეიძლება და აუცილებელიცაა კიდევ და, რაც მთავარია, მათ კაცის გატეხვის სურვილი არასოდეს არ უჩნდებათ.



ამონარიდები აგნი იოგადან

§ 47 (გვ. 406)

ადამიანები ზოგჯერ უარს როდი იტყვიან ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების შეცვლაზე. ნაყოფის ჩასახვის პრინციპი, ან მატერიის ღრწნა, ან სხეულთა უწონადობა, ან თავისთავადი მატერიალიზაცია, ისევე როგორც სხვა ფიზიკური სიახლენი მსჯელობის საგანს წარმოადგენენ უმარტივესი ნარკვევების სახითაც კი. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს შესაძლებლობათა თვალსაწიერი ბავშვობიდანვე უნდა იზრდებოდნენ და, ლაბორატორიული კვლევების საგნად ქცეულნი, უნდა მტკიცდებოდნენ, მაგრამ ზუსტად აქ თავს იჩენს რასის არასრულყოფილება და ქმნის წინააღმდეგობას. ზუსტი მეცნიერების ერთგული უშიშარი მკვლევარი, ობიექტულად გარდაისახება და ბაბუის ბაბუათა ჩვევებს ბაძავს.

ჩვენ გვინახავს, ამბოხის წითელი ალი თუ როგორ გადაქცეულა ბუხრის მხრჩოლავ კერიად. ჩვენ დაგვითვლია სინათლის ბაირადები, რომლებითაც ძველი ჩვევების კიბეებზე გადააგეს და ფეხქვეს გათელეს. ჩვენ ვრწმუნდებოდით იმაში თუ როგორ გადააკეთეს სავაჭრო ბაზრებად წმინდა ნაგებობანი. მფრთხალი უმეცრება ხაფანგებს აგებდა და ყველაზე მეტად ეშინოდა ხავსიანი და ბებერი ძვლებით სავსე ნაპირის მიტოვება რათა სიახლე მოეპოვებინა.

ევოლუციის მოძღვრება გვიჩვენებს, რომ ახალი რასის ჩანაცვლების წინ, ადამიანთა სიმფრთხალე, მატულობს. მაგრამ ვადები მოდიან და იმათ ვინც ცურვა ვერ ისწავლეს მარილიანი წყლის ყლაპვა მოუწევთ.

ჩვენ მხოლოდ გაბედულთა ნახტომებს დავაკვირდებით.

* * * * *

ღიას, ქვეყანა არა ჩრდილოეთითა და სამხრეთით, არა დასავლეთითა და აღმოსავლეთით უნდა გაიყოს, არამედ განასხვავეთ ძველი ღრო ახლისაგან. ძველი ღრო, ყოველ მხარეშია ჩახიზნული ისევე, როგორც ყოველ მხარეში, იბადება სიახლე ყოველგვარი დაპირებებისა და საზღვრების მიუხედავად.

ძველი და ახალი ღრო ცნობიერებით განსხვავდებიან და არა გარეგნული ნიშნებით. ასაკსა და პირობებს მნიშვნელობა უკვე აღარა აქვთ. წითელ ღროშებს ხშირად გადმონაშთებით აღვსილი ძველი სამყაროს ხელები აღმართავენ. ხშირად, რომ განმარტოებით ძველს გული, რომელიც აღვსილია ახალი სამყაროს ბრწყინვალეობით. ამგვარად, უშედავთოდ ყოფს სამყარო საკუთარ თავს პირდაპირ ჩვენს თვალწინ.

ჯერ კიდევ მოუხერხებელი, მაგრამ გაბედულობით აღვსილი იზრდება ახალი ცნობიერება. ძველი აზროვნება, თავისი გამოცდილების მიუხედავად წელში ტყდება. არ არსებობს არანაირი ძალა რომელსაც შეუძლიან გადაეღობოს ახალი სამყაროს ოკეანეს.

ჩვენ დავსტირით წარმავალი ცნობიერებისაგან უნაყოფოდ ენერჯის ფლანგვას. ჩვენ ვუღიმიით იმ გაბედულებს, რომლებსაც ესმით ახალ მიღწევათა გაღრმავების უფლება. ყოველი შეცდომა, რომელიც ახალი სამყაროს გულისთვისაა დაშვებული, გაბედულობის ბადნარად იქცევა. ძველი სამყაროს ბალზამირების ყოველი ხრიკი სიგიჟის კუნძულად გარდაიქცევა.

ძველი სამყარო უარყოფდა სამყაროს დედას, ახალი კი გრძნობს მის უმშვენეირეს საბურველს.

საქართველოს პარლამენტს

შეგნებული გქონდეს შენი მოვალეობა და არ შეასრულო იგი, – სილაჩრეა.
/კონფუცი/

საქართველომ უშედაგათო ქარცეცხლი გადაიარა. საქართველოს ახალი მომავალი დაიწყო და თუ ჩვენ, ახლა გუშინდელი მწარე დღის ანალიზი არ გავაკეთეთ და არ დავინახეთ ის ბიბლიური საგმირო საქმეები და ჩვენი წამებულები, ჩვენი ახალი დროისა და მომავლის ღირებულ საფუძვლებს ვერ შევქმნით, რადგან ხალხმა ყოველი საერო და სახელმწიფო შეფასების გარეშე იცის, რომ ნებისმიერი გრანდიოზული მოვლენა ერის თვალსა და ცნობიერებაში სიგიჟისა და ფანატიზმის ელფერს მიიღებს, თუკი ის დროულად და ჯეროვნად არ შეფასდა. ადამიანები პრაგმატული იდეოლოგიის მსხვერპლნი ხდებიან და იღუპება მცნება პატრიოტის, გმირის, შეწირულის, წამებულის, რაც დაამკვიდრებს მხოლოდ პიროვნული ინტერესების ფსიქოზს და ერის ანნივილაცია გარდაუვალი ხდება სულიერ ფასეულობათა დაკარგვის გამო. როგორ შეიძლება უპასუხოდ დაიტოვოს თანამედროვე საქართველოს მიერ გია აბესაძის შვილის მარადიული შეკითხვა: მამა ვინ იყო ჩემი? გმირი? თუ ტრაგიკული შეცდომის მსხვერპლი? რადგან ვერ შენიშნა ერმა იგი, ხომ არ შემცდარა მამაჩემი?.. და მთელი სიცოცხლის მანძილზე გაუნელებული გულის ტკივილი მამის დაკარგვისა და გმირის მცნების გაურკვეველი განმარტების გამო: თუ ჩემი მამა გმირი არაა, მაშ ვინდაა გმირი?

გმირი ისაა, ვინც აუცილებლობა გააცნობიერა და გია აბესაძემ სრულიად გაცნობიერებულად, ვაჟკაცურად გადადგა ეს საბედისწერო ნაბიჯი, რადგან თვითონვე ნათლად და მარტივად განმარტა თავისი საქციელი შვილისა და თაობებისადმი მიძღვნილ წერილში:

“თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი

სჭირდება, დაე ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას ბოლო. შვილო მაპატიე, ვიცი რომ გამიგებ”.

საქართველოს, ურიცხვ გმირთა ქვეყანას, გმირებს რა გამოუღევს?!

გიორგი ანწუხელიძე?!...

დღეს საქართველოს აინტერესებს პასუხი კითხვაზე არსებობს თუ არა ჩვენს ქვეყანაში გმირობისა და გმირის მცნება? თუ ჩვენ ამ კითხვაზე ვერ გავვცით დადებითი პასუხი, გია აბესაძის შვილივით დაკარგავს ერი რწმენას სულის ღიდების მიმართ და საქართველო კი თავის სულიერ საყრდენს. ჩვენ უნდა ავამაღლოთ ერისა და კაცობრიობის მეხსიერებაში მერაბ კოსტავა, მერაბ მამარდაშვილი, გია აბესაძე, ჟიული შარტავა, გიორგი ანწუხელიძე, შინ-დისის ბრძოლის ველზე დაღუპული ყოველი ვაჟკაცი და ალბათ კიდევ ბევრი უცნობი ქართველი გმირი და წამებული. ამ წერილის შინაარსის თანახმად გთხოვთ საპარლამენტო მსჯელობით ვადიაროთ ჯერ გია აბესაძე ეროვნულ გმირად, შემდეგ ყველა დანარჩენი უბრწყინვალესი პიროვნება ზემოთ მოხსენიებული სახელებიდან, რათა შეიღმა მისმა იამაყოს წმინდანი მამით და ერმა ღირსეული მამულიშვილით. ფაქტიურად შეფასება მოხდა. ჯანსუღ კორძაიაძე, ამ შემთხვევაში ერის დაუძინებელმა სინდისმა და ნამუსმა, ჭეშმარიტმა პატრიოტმა გულიდან ამო-ხეთქილი აღტაცების ბაღადა მიუძღვნა გია აბესაძეს. იმავე დროს, მრავალმა ქართველმა იუწყა საქართველოს ზვარაკად შეწირული გმირი შვილის ამბავი...

გვწამს, რომ გმირების სამშობლოს გმირის მცნება არ დაუკარგავს, რადგან თვით ხალხმა უკვე მიიღო იგი გმირად, რაც ქვემოთ მოყვანილი უბრწყინვალესი ბაღადითაც დასტურდება.

გია აბესაძე

ისტორიული ცნობა
ბალადისათვის

ჰერაკლეს მითიურ ცეცხლზე ზეცით ამადლებას თუ მითად მივიჩნევთ, დასტურად ლეგენდების სიმართლისა, მიწიერ ფაქტსაც მივმართოთ...

საკუთარი თავის დაწვა ცნობილია ინდოეთში უხსოვარი დროიდან. მას გარკვეული რიტუალის ფორმა გააჩნდა. ქვრივს რომელმაც გულით საყვარელი დაკარგა წინასწარ ამზადებდნენ სანელებლებით, რათა დაეცვათ იგი საშინელი ტანჯვისაგან, კოცონზე წვის აგონიისაგან და... კამეჩის ერბოთი და კიდევ მრავალი სხვა სანელებლით დაცული ქალი აღიოდა კოცონზე. იგი სრულ გონებას ინარჩუნებდა და უმტკივნეულოდ მიდიოდა სხვა სამყაროში. მსხვერპლი ამ შემთხვევაში იწოდა, სამაგიეროდ სული აღწევდა ტრანსცენდენტალურ (აბსოლუტურ) სიწმინდეს და ბრამინული ეკლესიისაგან კანონიზირებული, -წმინდანად ითვლებოდა. გია აბესაძე არ იყო დაცული

იგი სინამდვილეში წმინდანია ცათა სასუფეველში. ის რაც მას უნდოდა მან მაინც გააკეთა, გადაარჩინა საქართველო. იმ დროს როდესაც აღმოდებულს მას ჯოჯოხეთური ტანჯვა აწამებდა, დაბრმავებულმა საქართველომ ვერ დაინახა მისი წმინდა მსხვერპლშეწირვა და როდესაც გრიგალი ჩადგა პირველი მერცხალი აღიარებისა, -"ბალადა გია აბესაძეზე"- აჟღერდა როგორც დასტური საქართველოს გმირული არსისა, დასტურად იმისა, რომ ვერანაირი მატერიალისტური მომხვეჭელობის სიგიჟე ვერ დაჩრდილავს ერს, რომელიც მუდამ მზადაა გმირობისათვის. საქართველოს უკვდავება კიდევ ერთხელ გვაუწყა გია აბესაძის წმინდა სულმა. ალბათ მრავალი ლექსი და სიმღერა შეინახავს საქართველოსათვის მის საგმირო საქციელს და ამ უბადლო ბალადასაც, რომლის ავტორი, მისივე გმირის მსგავსად სულიერი ტანჯვის არანაკლებად მწველ ცეცხლზედ დაიწვა მისივე გმირთან ერთადამ ბალადი შექმნის დროს. გვწამს, რომ საქართველოს, კონკრეტულად კი თბილისის მოედნებს დაამშვენებენ ხსენებულ (გამსახურდია,



ჯოჯოხეთური ტანჯვისაგან და მაინც უწყყმანოდ მიიღო იგი ჩვენთვის, თვითონ კი უზენაეს წმინდანთა სულებს წმინდანად შეემატა. რა თქმა უნდა რომ, როგორც ბრძენს არ აწუხებს თუ რას ფიქრობს მასზე ჭიანჭველა, ისე გიას წმინდა სული ნაკლებად ზრუნავს იმაზედ, ჩვენ ვაღიარებთ მას წმინდანად თუ არა, რადგან

კოსტავა, შარტავა...) გმირთა ქანდაკებანი... პირველ პრეზიდენტს ეს არ დასცაღდა, მეორემ არ მოიცაღდა, მესამემ ვერ მოიცაღდა... რომელი ხელისუფლება გააკეთებს ამას და ამ უბრწყინვალესი გმირების ქანდაკებათა შექმნით გააუკვდავებს მათ სახელებს, დაამშვენებს თბილისს და... საკუთარ სახელებსაც დატოვებს ისტორიაში.

მეორედ დაბადება

ტანჯვამ ამოსტყორცნა და
 სიმწრით ამოიზიდა
 დასკვნა...
 ტკივილიდან და
 დამსხვრეული მიზნიდან.
 დასკვნა... ნანგრევებიდან,
 ფიქრის გაოგნებიდან.
 გადაბუგულ მზიდან და
 მღვრიე ქაოსებიდან.
 კანონადა გადავლილ
 სივრცის ფერფლის ფერიდან.
 შეუცნობ და აუხსნელ
 სასტიკ ბედისწერიდან.
 დასკვნა... სიცოცხლეებზე
 გადავლილი კვერიდან.
 განწირული ზეციდან,
 დაკარგული რწმენიდან,
 დამიზნებული სროლიდან,
 შეძრწუნებულ ხილვიდან,
 გაორებულ,
 გახლეჩილ
 ქართულ სინამდვილიდან,
 ცას მიწვდენილ ურვიდან,
 სისხლით ნატბორ მიწიდან,
 მეხთატეხად
 ელდად და
 ზარად
 ამოიზიდა –
 დასკვნა,
 ვით ბედისწერის
 უცხადესი ქარაგმა:
 „საქართველომ გონი და
 თავის თავი დაკარგა“.

ირგვლივ სივრცე –
 მორთული
 მონღოლური კარვებით,

სივრცე – გადალეკილი
 სისხლის ნიაღვარებით

და ერთბაშათ შეძრული
 შეშლილ სინამდვილეთი,
 გონდაკარგულ ქვეყნით და
 დაშრეტილი იმედით,
 მიწვდი, რომ ამაოა
 სიტყვაც,

ლოცვაც,
 ღაღადიც,
 რომ ამ წამში – სამშობლოს
 სამუდამოდ კარგავდი
 იმ უწმინდეს მიწას და
 იმ ზმანებებს კარგავდი,
 შენ რომ მთელი სიცოცხლე
 ოცნებებით ქარგავდი
 იმ სიმაღლეს კარგავდი
 ქართულ სულის სიმაღლეს...
 ყველაფერი მიჰქონდათ
 გრიგალებს და ნიაღვრებს.
 საქართველო თავის თავს
 თავის ხელით მარხავდა...
 ყველაფერი მორჩა და
 ყველაფერი გათავდა.

ირგვლივ სივრცე –
 მორთული
 მონღოლური კარვები
 სივრცე – საგსე ბოღმის და
 შურისგების ზარებით.
 იდგა უბნელესი და
 შემხუთველი ქაოსი...

გონი რამ დაუკარგა
 შემქმნელს – „ვეფხვისტყაოსნის“?
 გონი რამ დაუკარგა
 შემკრებს ქართულ ჰანგების,
 რა ღვთის წყრომით,
 რა ძალით,
 რა დაუნდობ განგებით?
 გონი რამ დაუკარგა
 მშობელს პეტრე იბერის?
 ვინ გააქრო
 ცისფერი,
 ზღვისფერი და მზისფერი?
 გონი ვინ დაუკარგა
 ქრისტეს ჯვარის –
 აღმმართველს,
 ბაგრატსა და გელათს და
 მცხეთასა და ალავერდს?
 ირგვლივ სივრცე –
 მორთული
 მონღოლური კარვებით
 მოლჭვილი ბოღმის და
 სისხლის მინანქარებით.



და აკივლდი!
ის წამი
და იმ დასკვნის საზრისი
ყველას რომ გაეაზრა,
ვით ახალი კრწანისი.
ყველას რომ განეცადა
ბედისწერის ქარაგმა:
„საქართველომ გონი და
თავის თავი დაკარგა“.
მაგრამ ვაი, ყრუ იყო
სივრცეცა და ჟამიც და,
ყრუ იყო, ვით უდაბნო
და ყრუ... დასაბამიდან:
ვერვის ვერ მიაწვდინე
ხმა შენს აკივლებიდან,
გამწარებულ გულიდან,
შეპრწუნებულ ვნებიდან,
ხსნა არ ჩანდა!
გარს გერტყა უდაბური ჭაობი,
უსიცოცხლო, უმზეო
ბნელი სანახაობით
ხსნა არ ჩანდა! გეხვია
გაუვალი ტევრები,
გადაფერადებული
მრუმე აკვარელებით.

რა წამმა ჩაგაგონა,
რომელ სიღრმის

მხილველმა,
რომ ამოხსნა ათასი
კითხვით საგსე დილემა?

რა წამმა ჩაგაგონა
რისმა ამოლანდებამ?
რა ფიქრიდან,
რა მწველი
ცეცხლის ამონათებამ?
რა განსჯამ ჩაგაგონა,
რომელ ფიქრის წამყოფით
რამ მიაგნო,
არ სმენილს,
არ ნანახს და
არ ყოფილს?
რა განსჯამ ჩაგაგონა
რომელ ფიქრის წამყოფით,
რომ ქვეყანას შეძრავდი
მხოლოდ თვითუარყოფით!
მხოლოდ თავის შეწირვით,
მხოლოდ თავის განწირვით...
და აფრინდა შენ ცაზე
ფრთაგაშლილი არწივი.
მხოლოდ ცეცხლით!
მზისთვალით,
ცეცხლით – პირველმიზეზით
ცეცხლად აბრიალებით,
ცეცხლად აგიზგიზებით

რა ძალა, რა დამუხტე
ტანზე ცეცხლის მომდებად,
რამ ჩაახშო ტკივილი,
წამება და გოდება?
ცეცხლი, ვით სტიქიონი,
ცეცხლი – პირველმიზეზი,
ცეცხლი ამირანის და
ცეცხლი ჰერაკლიტესი.
ენტო წამი! –
ტკივილად
ანთებული ლამპარი,
როგორც ყოფნა-არყოფნის
სამანი და საზღვარი
და აფეთქდა სამყარო,
მრუმე,
ყრუ,
უდაბური
და კიოდა სამრეკლო,
რეკდა ზარი გაბმული
და სულ ბოლო ხილვაში
აფერადდა გიშერი...
და აინთო
ცისფერი,
მზისფერი და
ზღვისფერი....
შენ კი,
ვინც ქაოსიდან
ცეცხლად ამოიტყორცნე,
კვლავ გრძელდები
უკვლავ და
მარადიულ სიცოცხლედ!

P.S.

ჩვენ ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენი ხმა მიწვდება მთავრობას, თუ არა და განათლების სამინისტრომ, ის მაინც გააკეთოს, რომ ეს უბრწყინვალესი ბაღადა სკოლის ლიტერატურის სახელმძღვანელოში მაინც მოხვდეს, როგორც თანამედროვე პოეზიის უბადლო ნიმუში, როგორც დასტური იმისა, რომ ერის გული არ მომკვდარა და ისევ ისეთივე მგრძნობიარეა, როგორც იყო ყოველთვის ამირანის, მერანის და მედეას სამშობლოში...

ჯანსუღ კორძაია

უცნობის ჭა

სოფლის განაპირას უცნობი დასახლდა. უცნობმა შენიშნა, რომ ხალხი მანვე, მღვრიე გამდინარე წყლით სარგებლობდა. იგი ადგა და ჭა გათხარა. ადგილი მართლაც მოხდენილად იყო არჩეული და მიწისქვეშა წყარომ პატარა ანკარა ტბა დააყენა. მაგრამ ბოლმიანი მეზობლები მადლობის ნაცვლად ჩურჩულებდნენ: „ჩვენთვის კი არ ამოუთხრია ჭა, ეგ თავისთვის ამოთხარაო.“

მოსულმა ასე უპასუხა მათ: – „თუ ასეა ამ ტბას თქვენ გჩუქნით!

– შენ?

– მე შორიდან მოვიტან ჩემთვის წყალსო,

– უპასუხა მათ მოსულმა.



ამაზე მეზობლებმა ახალი ჭორი გამოიგონეს, – წყალი მოწამლულია ან სიანის ლოცვით არის მოჯადოებული სოფლის დასაღუპადო. მოსული ადგა და საერთოდ გადაიხვეწა ამ უმადურებისგან.

ხალხი ჯიუტად გაურბოდა წყალსაცავს, მაგრამ საქონელი სიამოვნებით სვამდა ჭის

წყალს და სუქდებოდა.

გავიდა ხანი და ერთმა სნეულმა პატარა გოგონამ, რომელსაც წყურვილი ჰკლავდა, ანკარა ჭის წყალი შესვა და გაჯანსაღდა.

ახალმა თაობამ წინაპრების ჭორი დაივიწყა და ჭის ანკარა წყლის მადლი დაინახა. ოდესღაც მოსული უცნობი წმინდანად შერაცხეს და გამაოგნებელი თხზულებაც შეთხზეს მის სიწმინდეზე, მაგრამ „მომწამელელის“ წმინდანად გადაქცევას მთელი თაობა დასჭირდა.

ამით შეიძლება დაინახოთ ის, თუ ხალხის სინდისი როგორ მსჯელობს სასარგებლოსა და საყოველთაო სიკეთეზედ.

...ასევეა ჩვენი ჟურნალიც და ზოგადად, რერიხის სახელის მქონე ჩვენი საზოგადოებაც მთლიანობაში:

– ბატონ ზვიადის ჩვენთვის როდი დასცალდა. მას მეტად მძიმე ხვედრი შეხვდა. ბატონმა ედუარდმა ჩვენთვის ვერ მოიცალა... – ბატონ მიშას ჩვენთვის არ ეცალა. ამასობაში ახალი თაობა გაიზარდა და ველოდებით იმას, თუ მთავრობის რომელი „ტოტი“ მოიცლის ჩვენთვის. და თუ ამათაც „ვერ მოიცალეს“, – მაშინ ჩვენ მივმართავთ თვით იმ ახალ თაობას, რომელსაც სწყურია ეროვნული და საკაცობრიო კეთილი ფესვების „ანკარა წყარო“ – კულტურა და ადამიანობა. მივმართავთ თაობას, რომელიც დაიდალა სიძულვილისა და გათიშულობის, მტრობისა და ომების პოლიტიკისგან და სწყურიათ ის ახალი რაღაც (უცნობის ჭის წყალი), საგანძური, რომლის გარეშე ერს, ზოგადად კი კაცობრიობას, მომავალი არ უწერია. და ეს ყველაფერი იმ ახალი პოლიტიკური პლატფორმის საფუძველია, რომელიც მოიზიდავს ადამიანს პარტიაში, რაზედაც „უცნობი ჭის წყალი მეტყველებს.“

ამ ნომერში ჩვენ ვაჟღერებთ შესაბამის ფასეულობებს და ველით ახალი აზროვნების მცოდნე თაობას ეროვნული თვითმყოფადობის აღსადგენად ყოველი ერის წიაღში.

პარაცელსის ვარდი

შესავალი

ზემოთმოყვანილი სათაურით გთავაზობთ ხორხე ლუის ბორხესის მეტად საინტერესო ნოველის თარგმანს.

ნოველა ძალზედ მცირეა ზომით, სამაგიეროდ ძალზედ საინტერესოა მკითხველისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ეს ნოველა დაწერილია ყველა დროის ყველაზე დიდი ექიმის, — პარაცელსის შესახებ. ვინაიდან პარაცელსი მისტიკოსი იყო, კონკრეტულად კი ალქიმიკოსი, საკმარისი როდია ზოგადად იცნობდე მის ცხოვრებას და მისგან მიღწეულ ზოგიერთ ფენომენს, რადგან ის დიდი ცოდნა რაც ჭეშმარიტ მისტიკოსს გააჩნია, არასოდეს გამოჩნდება მისტიური ცოდნის ზოგადი მკვლევარის ნაშრომებიდან, თუნდაც ესოდენ ღრმა და უღამაზესი ნარკვევიდან. ამიტომ, ბორხესისაგან ნაგულისხმევი არსის “დანამატი” მე გავაკეთე. ამას იმისათვის ვაკეთებ, რომ გამოჩენილი მისტიური მწერლის ამ მეტად ღრმა ნაშრომმა მიზანს მიაღწიოს. უფრო მეტიც, ნოველის შემდეგ მოყვანილია რამოდენიმე ისეთი იგავი, რომლებიც იგივე მიზანს ემსახურებიან და აი მათ ფონზე ნათლად გამოჩნდება ის, თუ რაოდენ ღრმა შინაარსის მატარებელია მისტიური ნაშრომები. მოსწავლის შერჩევის პროცესს მასწავლებელი განახორციელებს და არა თავგასული მოსწავლე ისე, როგორც აქამას ქრისტე განაცხადებს: “თქვენ კი არა, არამედ მე აგირჩიეთ თქვენ...” ერთი სიტყვით: “მზადაა მოსწავლე — მზადაა მასწავლებელიც.”

რაც შეეხება ვარდის გაცოცხლების მაგიას, აქ იმალება უხსოვარი დროიდან საიდუმლოდ არსებული როგორც ხელოვნება და ხელობა, ასე ფილოსოფიაც ერთდროულად. დროის უსასრულო წიაღიდან მოდის ეს საიდუმლო ცოდნა, რაც ქრისტიანობაში ცნობილია როგორც “აღდგომა.” აღდგომა სანუკვარი ოცნებაა კაცობრიობისა, მაგრამ მას მხოლოდ ღრმად გასაიდუმლოებულ მისტიურ სკოლებში

ფლობენ და ისიც მხოლოდ ადებტები.

ისტორიკოსებისა და პითაგორიელთათვის ტერმინი “აღდგომა” “მეტემპსიქოზის” ტოლფასი მცნება იყო, ანუ ნიშნავდა “გარდაცვალებას.” მცენარეთა ფერფლიდან აღდგენით ალქიმიკოსები ეძებდნენ მტკიცებულებებს იმისა, რომ ცნობიერება და გონება ცოცხლობს ფიზიკური სტრუქტურის განადგურების შემდეგაც. მაგრამ მარტო გონება და ცნობიერება კი არა, არამედ ინდივიდუალობაც ინარჩუნებს ყოველივე იმას, რაც მას განადგურებამდე გააჩნდა. “აღდგომის” ტერმინი ასევე გამოიყენებოდა იმ სამყაროს აღსანიშნავად, რომელიც ძილიდან იქნა აღდგენილი, იმ ძილიდან რომელშიდაც იმყოფებოდა მანამდე, რათა ხელახლა აღეესო დედამიწა სიცოცხლით შესაძლო კატაკლიზმების შემდეგ, ვთქვათ წარღვნის შემდეგ. ძველი ფილოსოფოსები პლანეტებს ცოცხალ ორგანიზმებად განიხილავდნენ და ყოველივე ამას სიცოცხლის სხვადასხვა ფაზებში ხედავდნენ, ისეთებში, როგორცაა ვთქვათ ზრდა, განვითარება და დაშლა. ინდოეთში ასეთ გარდამავალ ფაზებს ბრამას დღეებსა და ღამეებს უწოდებენ. შოპენგაუერი ტერმინით “აღდგომა” აღნიშნავდა ნების აღორძინებასა და მის ახალ პიროვნებაში გამოვლინებას. ჰერმეტიული მეცნიერების ზოგიერთი მიმდევარი თვლიდა, რომ “აღდგომის” მეთოდი განხორციელებადა ითუნდაც ხანგრძლივი დროის შემდეგ. ისინი ვინც ამის ექსპერიმენტალურ განხორციელებას ცდილობდა, პრობლემის მცდარი დებულებიდან მსჯელობდა, იმიტომ რომ არც ერთი ჰერმეტიული დებულება პირდაპირ გაგებას არ გულისხმობს. სინამდვილეში “აღდგომა” ნიშნავს ირაციონალური მატერიალური ორგანიზმიდან სულის სამშენიველის “აღდგომას.” ადამიანის სხეული ჰერმეტიული ჭურჭელია. სულის ხე იწვის ადამიანის

გადაგვარებასთან ერთად. “აღდგომა” კი ნიშნავს იმას, რომ რარიგადაც მდაბლა არ უნდა დაეშვას ადამიანი თავისი სათნოების გაფლანგვითა და დეგრადირებით, სულიერი ელემენტები მას არ ეკარგება და მათი ხელახლა ერთად შეკრება შესაძლებელია ჰერმეტიული ხელოვნების მეთოდებით. შედეგად ამისა ადამიანში კვლავ აღმოცენდება სიცოცხლის ხე.

მაშ ასე, ქვემოთ გთავაზობთ ხორხე ლუის ბორხესის “პარაცელსის ვარდის” თარგმანს.

პარაცელსის ვარდი

სახელოსნოში, რომელსაც მთელი სარდაფი ეჭირა, პარაცელსი ღოცულობდა და სთხოვდა ღმერთს, თავის გაურკვეველ ღმერთს, ნებისმიერ ღმერთს, გამოეგზავნათ მისთვის მოწაფე. ბინდებოდა. ბუხრის სუსტი ცეცხლის ჩრდილები თარეშობდნენ იატაკზე. არანაირი ძალა აღარ ჰქონდა მას, რათა ამდგარიყო და რკინის შანდალი აენთო. დაღლილობამ მოთენთა პარაცელსი, მას დაავიწყდა თავისი ღოცვა და როდესაც დამემ საბოლოოდ ამოშალა თვალთახედვიდან ისედაც სიბნელეში მყოფი გამოსახდელი ქვაბები, მილები და ქურა, კარზე დააკაკუნეს. მიხინარე პარაცელსი წამოდგა, ხვნეშითა და ვაი ვიშით ავიდა მოკლე ხვეული კიბით ზემოთ და კარი გააღო. შემოვიდა უცნობი. ისიც დაღლილი ჩანდა. პარაცელსმა შემოიპატიჟა იგი, დაბლა ჩაიყვანა ხვეული კიბით და სკამი შესთავაზა. სტუმარი დაჯდა და შეკითხვის ღოდინით დადუმდა. ერთხანს იჯდნენ ასე, დადუმებულები. პირველმა მასწავლებელმა დაარღვია სიჩუმე.

– მე კარგად მახსოვს დასავლეთის სახეები, ასევე კარგად მახსოვს სახეები აღმოსავლეთისა და შენი სახე არ მეცნობა. ვინა ხარ და რა გწადია ჩემგან?

– საქმე იმაში როდია თუ რა სახელს ვატარებ, – უპასუხა მან, – სამი დღე და ღამეა რაც მოვდივარ რათა მენახე. მოწაფედ ამიყვანე. გაძლევ ყველაფერს, რაც კი გამაჩნია.

ამ სიტყვებთან ერთად მან ქისა მოიქექა

და მაგიდაზე დაცალა. ბევრი ღუბლონი გადმოიყარა და ყველა მათგანი ოქროსი იყო. პარაცელსი ზურგით დადგა მასთან და თაროზე სანთელი აანთო. როცა შემობრუნდა სტუმრის ხელში ვარდი დაინახა. ვარდმა შეაცბუნა იგი.

პარაცელსი დაჯდა და ხელის თითები შეაერთა.

– შენ ფიქრობ, რომ მე შემოძლიან გამოვიგონო ქვა, რომელსაც ყოველი საგნის ოქროდ ქცევა შეუძლიან და მთავაზობ ოქროს. არა, ოქროს არ ვემებ, და თუ შენთვის ოქრო მნიშვნელოვანია, ჩემი მოწაფე ვერასოდეს ვერ გახდები.

– ოქრო არ მჭირდება, – უპასუხა სტუმარმა. – ეს მონეტები ჩემთვის შრომის წყურვილის ნიშანია. მასწავლე ხელოვნება. ნება მომეცი შენთან ერთად განვლო გზა მიმავალი ფილოსოფიური ქვისაკენ.

პარაცელსმა დაბეჯითებით წარმოსთქვა.

– ქვა არის გზაც და მისი დასაწყისიც. თუკი ამას ვერ ჩაწვდი მაშინ ჯერ ვერაფერი ვერ გაგიგიან რა. ყოველი შენი ნაბიჯი მიზანი გახდება.

სტუმარმა ეჭვის თვალით შეხედა მას:

– რა, განა მიზანი მართლაც არსებობს?

პარაცელსმა გაიცინა.

– ჩემზე აუგის მოქმედნი, უფრო არაარაობანი არიან ვიდრე მრავალნი და ისინი ამტკიცებენ რომ არა, და რადგან მე მიზნის არსებობას ვადასტურებ, მატყუარას მეძახიან. მე როდი ვეკამათები მათ. თუმცა საგსებით შესაძლებელია რომ ფანტაზიორი ვარ. დიახ, გზა არსებობს.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ სტუმარი ამეტყველდა.

– მზადა ვარ ვიარო შენთან ერთად, თუნდაც რომ წლები დამჭირდეს. დამეხმარე გადავიარო უდაბნო. დამანახე, თუნდაც შორიდან, აღქმული მიწა, გინდაც რომ ფეხით არ შევხეო მას. მაგრამ, ვიდრე გზაზე შევდგები, მინდა მტკიცებულება.

– როდის?

– აი ეხლავე.

საუბარი ლათინურად მიმდინარეობდა; ეხლა კი გერმანულზე გადავიდნენ. ახალგაზრდამ აიღო ვარდი:

– ყველამ იცის, რომ შენ შეგიძლიან დაფერფლო ვარდი და მაგიის ძალით

ფერფლიდან აღადგინო იგი. ნება მომეცი ჩემი თვალებით დავრწმუნდე ამაში. მიჩვენე და მეც შენი ვარ.

–შენ მეტად მიმნდობი ყოფილხარ,–



უპასუხა მას მასწავლებელმა. მე კი შენი ნდობა როდი მჭირდება, მე რწმენა მჭირდება შენი.

მოწაფე ჭირვეულობდა.

–იმიტომ რომ მიმნდობი სულაც არა ვარ, მე დასტური,–ვარდის სიკვდილისა და გაცოცხლების ხილვა მჭირდება.

პარაცელსმა ვარდი გამოართვა, თითებში ტრიალი დაუწყო და ისე განაგრძო საუბარი.

–შენ ამდენს მენდობი,–სთქვა მან.– შენ ფიქრობ, რომ მე მისი განადგურება შემიძლიან?ეს ყველას შეუძლიან.

–სცდები. ნუთუ რაიმეს არარაობად ქცევა მართლაც შესაძლებელია? ნუთუ ადამს სამოთხეში ყოფნისას თუნდაც ერთი ყვავილის ან ბალახის მოსპობა შეეძლო?

–ჩვენ სამოთხეში არა ვართ, – ჭირვეულობდა ახალგაზრდა. აქ, ამ ცისქვეშეთში ყველაფერი მოკვდავია.

პარაცელსი ადგა.

–მაშ შენი აზრით ჩვენ სადა ვართ? ნუთუ ღმერთი სამოთხის გარდა სხვა რამეს შექმნიდა? და განა ეს დანაშაული არაა თვლიდე რომ ჯოჯოხეთში იმყოფები?

–ვარდი დაიწვება.

–ბუნარში ცეცხლი დარჩება, – უპასუხა პარაცელსმა თუ ვარდს ნაკვერჩხლებზე დავაგდებთ შენ იტყვი რომ იგი დაიწვა და მხოლოდ ფერფლია არის რეალობაო. მაგრამ მე გიპასუხებ, რომ ვარდი მარადიულია და იცვლება მხოლოდ მისი გამოსახულება. საკმარისია ვთქვა ერთი სიტყვა და იგი გაცოცხლდება და შენ კვლავ იხილავ მას.

–ერთი სიტყვა? განცვიფრდა მოსწავლე.

–მაგრამ ქურა ჩამქვრალია, გამოსახდელი ქვაბები დამტვერილან ღროისაგან. როგორღა უნდა გააცოცხლო იგი?

პარაცელსმა ნაღვლიანად გადახედა მას:

–ქურა ჩამქვრა, გამოსახდელი ქვაბებიც ღიდი ხანია აღარ გამომიყენებია. ჩემი ცხოვრების გზის ამ მონაკვეთზე მე სხვა საშუალებებს ვიყენებ.

ვერ გიბედავთ შეგეკითხოთ თუ რა საშუალებებს იყენებთ,– გაურკვეველად, შეშინებული თუ მორიდებული ხმით სთქვა მოწაფემ.

მე ვამბობ იმაზედ, თუ რა გამოიყენა უფალმა მიწისა და ცის, ჩვენგან პირველყოფილი ცოდვის გამო დაფარული სამოთხის,–სადაც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ,–შესაქმნელად. ვგულისხმობ სიტყვას, რომელსაც კაბალა გვასწავლის. მოწაფემ ცივად უპასუხა:

–შემიწყალე, მიჩვენე, როგორ ქრება და ცოცხლდება ვარდი. რა მნიშვნელობა აქვს, რას გამოიყენებ საამისოდ გამოსახდელ ქვაბს თუ სიტყვას.

პარაცელსი ჩაფიქრდა.

–მართლაც ასე რომ მოვიქცე, შენ იტყვი, რომ ეს თვალთმაქცობაა. სასწაული ვერ შეგძენს რწმენას, რომელსაც ეძებ, დაივიწყე ვარდი.

ახალგაზრდა კვლავინდებურად უნდობლად უცქერდა მას. მასწავლებელმა ხმას აუწია.

–სხვათა შორის, ვინა ხარ შენ, რომ მოდიხარ მასწავლებელთან და ითხოვ მისგან სასწაულს? რა დაიმსახურე საიმისო, რომ სასწაული იხილო?

მოსწავლე ათრთოლდა:

მე ვიცი რომ არაფერი გამიკეთებია საამისოდ. მაგრამ იმ წლების გულისათვის, რაც შენს გვერდში, შენს ჩრდილქვეშ ვიქნები მოსწავლის სახით, გემუდარები მიჩვენე ჯერ ფერფლი, შემდეგ ვარდი. სხვას არაფერს გთხოვ. ჩემს თვალებს ვუჯერებ მხოლოდ.

უეცრად მან ხელი დასტაცა ცოცხალ ვარდს, რომელიც პარაცელსმა ლარნაკში დატოვა და გამეტებით ისროლა ბუნარში. ვარდი დანახშირდა, მხოლოდ ფერფლია დარჩა. სტუმარი ძალიან დიდხანს ელოდებოდა სიტყვასაც და სასწაულსაც.



იოჰან გრიზებახი,—რომ ბედავს და ასე მკრეხელობს, ახდის მას ნიღაბს, რომლის იქეთ სიცარიელეა?

ფულის დატოვება პარაცელსის კიდევ უფრო მეტად შეურაცხყოფელი საქციელი იქნებოდა და მოწყალებით კი საბოლოოდ დამცირება. წასვლისას, მაგიდიდან მოხვეტა დუბლონები და ქისაში ჩატენა ისინი. პარაცელსმა იგი კარამდის მიაცილა და უთხრა, რომ ამ სახლში მას მომავალშიც სინარულით ელოდებიან. თუმცა ორივემ იცოდა, რომ ერთმანეთს ამ ცხოვრებაში ვეღარასოდეს შეხვდებოდნენ.

პარაცელსი მარტო დარჩა. მაგრამ ვიდრე სანთელს დააქრობდა და სავარძელში ჩაჯდებოდა მან მოკრიფა ფერფლი, სიყვარულით დაიგროვა ხელის გულზე და ჩუმად წარმოსთქვა რაღაც სიტყვა...

ვარდი გაცოცხლდა.

* * *

პარაცელსმა ეშმაკურად ჩაილაპარაკა: ყოველი ექიმი თუ აფთიაქარი ბაზილეაში ამტკიცებს, რომ მე თაღლითი ვარ. ვშიშობ, რომ ისინი მართლები არიან. ეს ფერფლი ვარდი იყო, მაგრამ ვეღარასოდეს გახდება ვარდი.

ახალგაზრდას შერცხვა.

პარაცელსი შარლატანია, საბრალო მეოცნებე და თვითონ კი, ასე მკრეხელურად შემოჭრილი აბეზარაა და ითხოვს ამ საბრალო მოხუცისაგან საკუთარი თავის მატყუარად აღიარებას, მაგიისა კი—სიყალბედ გამოცხადებას.

იგი მუხლებზე დადგა.

—მე უღირსად მოვიქეცი. რწმენა არ მეყო რომელსაც უფალი ითხოვს ჩვენგან. ფერფლი ფერფლად დარჩეს. მაშინ დავბრუნდები, როცა რწმენაში გაგძლიერდები და აი მაშინ გავხდები შენი მოსწავლე, რათა გზის დასრულებისას ვიხილო ვარდი.

გრძნობებით ლაპარაკობდა, მაგრამ ეს იყო მხცოვანი მასწავლებლის,—ესოდენ პატივცემულისა და საბრალოსი, განთქმულისა და, საბოლოო ჯამში, არარაობის მიმართ სიბრაღული... და ვინ არის ბოლოს და ბოლოს ის,—

პარაცელსი ჩუმად წავიდა ზედა სართულზე დასაძინებლად. როცა შემოსასვლელ კართან გადიოდა, შეყოვნდა, რაღაც თავის აზრებს გაუღიმა და... შემოსასვლელი კარის ურდული გახსნა(!)

პარაცელსს არ ეძინა, როდესაც შემოსასვლელი კარი ფრთხილად აჭრიალდა, პარაცელსმა კვლავ საიდუმლოდ გაუღიმა თავის აზრებს და გაირინდა...

...სტუმარი უკან დაბრუნდა. მას სკამზე გადაკიდებული ქურთუკი დარჩენოდა. ფენაკრეფით ჩავიდა სარდაფში. ფრთხილად მივიდა სკამთან ქურთუკის ასადებად და... თითქმის სრულ სიბნელეში,—ბუნარი ოღნავდა ბჟუტავდა,—ვარდი დაინახა! ელდა ეცა, მაგრამ მისი ნაზი სურნელი რომ იგრძნო ეჭვი გაქრა და... ტვინში აზრებმა იფეთქეს: „ურწმუნო, გზას ბოლოდან იწყებს... ეს კი შეუძლებელია... გზას რწმენა ჭირდება... მე კი რწმენა სრულიადაც არა მქონია... როგორ შევიძინო???”

სტუმარი გონს მოვიდა და ასევე ფენაკრეფით გავიდა, უკვე სამუდამოდ...

...პარაცელსმა ფრთხილად მოხურული კარის ხმა რომ გაიგონა, კედლისკენ



გადაბრუნდა და სახეზე შერჩენილი ღიმილით დაიძინა.

...ღილით პარაცელსი მზემ გააღვიძა. ჩვეულებისამებრ ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო იგი და ღილის სუფთა ჰაერთან ერთად ოთახში ხმაურიც შემოვიდა. გაიხედა ხმაურის მხარეს და დაინახა: ხალხი ტბის პირას შეკრებილიყვნენ და ხმაურობდნენ. მისმა უტყუარმა ინტუიციამ უთხრა მას გულიდან, რომ გუშინდელ სტუმარს ტბის პირას გაუხდია ტან-საცმელი და სამუდამოდ მიატოვა ეს ცხოვრება თავისი სამოქალაქო სამოსელით, ოქროს დუბლონებით გამოტენილი ქისით და გაეცალა ამ ცხოვრებას. მან ფრანცისკანელთა სატომრე ტილოს კაბაზე გაცვალა ყოველივე და რწმენის შეძენის გზას დაადგა მომავალი სიცოცხლისათვის...

პარაცელსმა გაიღიმა. მომავალ ცხოვრებაში მას ღირსეული მოწაფე ელოდებოდა...

ტანთ ჩაიცვა და დაბლა ჩასასვლელ კიბეს შეუდგა. კარებთან რომ მივიდა, ვიდრე სარდაფისაკენ მიმავალ ხვეულ კიბეზე ჩავიდლოდა, მისმა ინტუიციამ აქაც აგრძნობინა მას, რომ კარს უკან სტუმარი ელოდებოდა რომელსაც კარზე დაკაკუნებაც კი ვერ გაუბედნია.

პარაცელსმა სინარულით აღუვლინა

უფალს მადლობა, რომ ამ ცხოვრებაშიც არ დატოვა მან იგი მოსწავლის გარეშე...

პარაცელსმა კარი გააღო.

კიბეზე ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელიც თვალებში შესცქეროდა მას და თავის გაკვირვებას და სინარულს ვერ მალავდა იმის გამო, რომ როგორც იქნა მიაგნო მოსწავლეებს.

პარაცელსმა სახეზე კითხვა აღიბეჭდა. ყმაწვილმა მოკრძალებით მიმართა მას:

– ღირსმყავ, ო მოძღვარო, გემსახურო მთელი სიცოცხლე და თუ იქნება ნება შენი, მოწყალებით გაიღე ჩემთვის ცოდნა, რომელსაც დავიმსახურებ წლებისა და წლების ერთგული მსახურებითა და მორჩილებით...

პარაცელსმა გაუღიმა მას და ასევე უსიტყვოდ შემოიპატიჟა იგი სახლში...

* * *

ერთხელ მთებიდან ბარად ცნობილი ბრძენი ჩამოვიდა. ყველას მიჰყავდა მასთან თავისი ბავშვი აღსაზრდელად და როდესაც მომავალ მოწაფეთა საკმარისი რაოდენობა დაგროვდა, ბრძენი მთებში მიმავალ გზას შეუდგა. ბავშვები მორჩილად და ღილი ინტერესით მიჰყვებოდნენ მას.

როდესაც გარკვეული გზა გაიარეს, მთის ფერდობის ერთ-ერთ უღამაზეს მწვანე მოღზე დასასვენებლად გაჩერდნენ. ბავშვები ჩუმად ისხდნენ და შესციცინებდნენ ბრძენს.

ბრძენი ადგა, ჯერ ყვავილების კრეფა დაიწყო, შემდეგ პეპლებს გაეკილა, მერე ხეზეც აძვრა ჩიტის ბარტყების მოსანახულებლად, მერე ...ამასობაში დრო გავიდა და როცა მიმოიხედა ბავშვები აღარსად იყვნენ. მხოლოდ ერთი ბიჭუნა დარჩენილიყო. ბრძენმა გაოცებით იკითხა:

– ბავშვები სად არიანო?

– სახლებში დაბრუნდნენო.

– და რატომო?

– ასე თქვეს, რასაც ის აკეთებს ჩვენ მაგაზე უკეთესად ვიცითო...

– კი მაგრამ შენ რატომღა დარჩი, რა შენ ეს არ იციო?

– არა, როგორ არა, მე ეს ყველაფერი

კარგად ვიცი, მაგრამ მე იმიტომ დავრჩი შენთან, რომ ის ვისწავლო, რაც მე არ ვიცი და მხოლოდ შენგან გავიგებო!

...ბრძენმა კმაყოფილებით გაიღიმა და ორივენი დუმილით შეუდგნენ გზას მთებისაკენ.

...ამბობენ, რომ ათი წლის შემდეგ ბარში ულამაზესი ყმაწვილი ჩამოვიდა და მოძღვრავდა იგი, და სასწაულმოქმედებდა ერში....

* * *

ლაო-ძის შეგირდი ჰყავდა და აი უკვე 300 წელიწადია რაც ემსახურებოდა მას.

ერთხელ შეგირდმა შეიტყო რომ ლაო ძის მეგობარი ბრძენის შეგირდმა, რომელიც თავის დროს მისი მეგობარი იყო, თავისი მასწავლებლისაგან გასამსჯელო მიიღო

და გაეცალა მას. მანაც უცებ გადათვალა 300 წლის შეგირდად ყოფნის გასამსჯელო და სინარულით წარმოიდგინა, როგორ იყიდა მიწას, სახლს, შექმნიდა ოჯახს და შვილებს გაზრდიდა...


...მანაც უთხრა ლაო ძის, რომ კუთვნილი გასამსჯელოს ალება სურდა.

ლაო ძიმ უარი არ უთხრა, მხოლოდ კი ნეკნებზე რაღაც წერტილს მიაჭირა თითი და ამის შემდეგ გადაუნადა მას კუთვნილი გასამსჯელო...

გავიდა ხანი, ყოფილმა შეგირდმა საწადელი აღისრულა და შვილები რომ გაზარდა შეამჩნია რომ დაბერდა და ძლიერ შეიცხადა: 300 წლის განმავლობაში სიჭაბუკე არ მომკლებია და ესლა სულ რაღაც 28 წელიწადში დავბერდიო და ...ჩაფიქრდა.

თარგმნა და მოამზადა

თ.თავაძემ



სიყვარულის ათი საიდუმლოება

საიდუმლოება მეოთხე – მეგობრობის ძალა



ახალგაზრდა კაცის სიით მეოთხე, ვინმე უილიამ ბეკმენი გახლდათ. იგი დამოუკიდებელი ჟურნალისტი იყო და მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა პრესაში. მის კალამს ეკუთვნოდა ბესტსელერი “მეგობრები და შეყვარებულები”. იგი ნათელი სახის ნაკეთებიანი, მაღალი, ჭარმაგი მამაკაცი იყო და მისი სახე სინარულისაგან გაბრწყინდა, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცს სახელში ეპატიჟებოდა.

– ჭეშმარიტი სიყვარულის საიდუმლოებებმა მთლიანად შეცვალეს ჩემი ცხოვრება, – გულახდილად დაიწყო მისტერ ბეკმენმა. ათ წელიწადზე მეტ ხანს ვეძებდი იმ ერთად-ერთ, ჩემთვის მისაღებ ურთიერთობას, რომლის შედეგად

მე მოვძებნიდი ჩემი ცხოვრების მეგზურს. ძალიან დიდხანს მეგონა, რომ ძიება ამაოა. მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულის ხელოვნების ათვისების შემდეგ, ერთ წელიწადში მე არა მხოლოდ ვიპოვნე ჩემი ოცნების ქალი, არამედ მთლიანად შევცვალე ახლობელთა და მეგობართა მიმართ ჩემი დამოკიდებულება.

– რაში შეიცვალა თქვენი ურთიერთობები? – იკითხა ახალგაზრდამ.

– იცით, ჩემი ურთიერთობა გახდა უფრო ახლო, მიმზიდველი და რაც მთავარია უფრო მჭიდრო.

ახალგაზრდა კაცმა ეჭვი გამოთქვა.

– რა, ამ საიდუმლოებებმა ასე ძლიერ იმოქმედეს თქვენზე? – იკითხა მან.

მისტერ ბეკმენს გაეღიმა.

– სრული სიმართლეა. მე მესმის რომ ყოველივე ეს, ცოტათი ფანტასტიკურად უღერს, მაგრამ თუ მოსინჯავთ, თქვენ დარწმუნდებით მათ ძალაში.

ათივე საიდუმლოებამ, ყველამ სხვადასხვაგვარი დახმარება გამიწია, მაგრამ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ეფექტური გამოდგა ჩემთვის. ეს მეგობრობის ძალა გახლავთ. მე მეგობრობა, სამყაროს საყრდენ თვისებად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ არ შეცდება ადამიანი მეგობრობის გამოცნობაში, თუ კი მეგობრობის ერთ უმთავრეს პირობას გაითავისებს: ურთიერთობით ბედნიერება და ტკობა – მეგობრობის უტყუარი ნიშანია!..

– თქვენ აღიარებთ მეგობრობის ძალას? – გაიკვირვა ახალგაზრდამ. – მაინც რა გაქვთ მხედველობაში უფრო კონკრეტულად?

– იცით რა, მე საერთოდ მეგონა, რომ სიყვარული ორ ადამიანთა შორის რომანტიკული კავშირით აიხსნებოდა და თუ სწორწოდ გამოგებთ, ეს მართლაც ასე ყოფილა, მაგრამ სიყვარული კიდევ მრავალი რამ ყოფილა. მისი არსი ზრუნვაშია, ანუ იყო იმ ადამიანის გვერდით, როცა მას სჭირდები. ასე რომ, ნამდვილი სიყვარული გაცილებით მეტია ვიდრე უბრალოდ რომანტიკული სიყვარული – ამიტომ სიყვარული ეს მეგობრობაცაა, მხოლოდ ნამდვილი მეგობრობა.

– რა? შეიძლება მეგობრობა არ იყოს ნამდვილი?

– როგორ არა, მაგრამ საქმე მეგობრობის ხარისხშია. აი მაგალითად: მეგობარმა მოგმართათ თხოვნით და თქვენც დაეხმარეთ მას. ეს რა საკვირველია კარგია, მაგრამ წარმოვიდგინოთ მეგობრობის უფრო სხვა ხარისხი, როცა მეგობარმა თხოვნით მოგმართათ. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ თქვენ გამოგჩათ მისი გასაჭირი, ესე იგი თურმე არც ისე გაინტერესებთ მისი ცხოვრება და ვიდრე მის კარს პრობლემები არ მოადგა და მას მოთმინების ფიალა არ აევსო, მანამ ვერც თქვენ დაინახეთ მისი გაჭირვება და მანაც ვერ გაგიმხილათ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ დახმარების თხოვნა დამამცირებელია მთხოვნელისათვის, მიხედვით რა მინდა ვთქვა?

– ჯერ-ჯერობით ვერა!..

– მეგობრის უმაღლესი ხარისხია, როცა შენ დაასწრებ მეგობრის თხოვნას.

– ეს მართლაც მშვენიერი მეგობრობაა!

– აღტაცებით წამოიძახა ახალგაზრდა კაცმა, თავისი ბლოკნოტი ამოიღო და რაღაცას გამალებით იწერდა. მისტერ ბეკმენი კი განაგრძობდა.

– როგორც ყველა, ისე მეც ვეძებდი იმას, ვინც შემეყვარებოდა მარტოხელა ადამიანთა კაფეებში დავდიოდი. დავდიოდი დამის კლუბებში. სხვაგან და სხვაგან და თუმცა მრავალ ქალს გავცნობივარ, მაინც არ შემხვედრია ის, ჩემი ერთადერთი. მახსოვს ერთხელ კაფეში ვიჯექი, მოულოდნელად ჩემს წინ, სკამზე აღმოჩნდა ტანმოჩრილი მოხუცი ჩინელი.

მან ასწია თავისი ჭიქა და თავაზიანად მომესალმა.

მეც იგივე გავიმეორე ჩემი ჭიქის აწევით.

ერთმანეთს გამოვესაუბრეთ. მან მკითხა თუ მყავს ოჯახობა. მე ვუპასუხე, რომ ჯერ არა. მან მკითხა: რატომ?

იმიტომ, რომ ჯერ არ შევხვედრივარ ჩემს სასურველ ქალიშვილს. აი ზუსტად მაშინ მითხრა მან ისეთი რამ, რამაც მართლაც ღრმად ჩამაფიქრა. მან ასეთი რამ მითხრა: „იქნებ შენ იქ არ ეძებ სადაც საჭიროა?“

– იქ არა სადაც საჭიროა? – გაიმეორა ახალგაზრდამ. – რას ნიშნავს საჭირო ადგილები?

– აი ზუსტად ეს კითხვა დაფუსვი მას, – სთქვა მისტერ ბეკმენმა. – მე ვუთხარი მას, რომ დავდიოდი კაფეებში სადაც გასათხოვარი ქალები დადიოდნენ. იგი გაოცებით ჩამაშტერდა და უეცრად გადაინახარხარა. მე ვკითხე: „კი მაგრამ რა ნახეთ ამაში სასაცილო?“ ძლივს ამოსთქვა პასუხი: „და შენ ვინმე გაიცანი ასეთ კლუბებში და კაფეებში?“ და კვლავ სიცილი განაგრძო. – რამოდენიმე ქალბატონი, – ვუპასუხე მე და როდესაც ჩამეძია იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ არცერთი ნაცნობობა ერთ თვეზე მეტს არ გაგრძელებულა.

– კი მაგრამ რა არის ცუდი დადიოდე კაფეებსა და კლუბებში და ეცნობოდე ადამიანებს? – გაიკვირვა ახალგაზრდა კაცმა.

– არც არაფერი, – უპასუხა მისტერ

ბეკემენმა. – ზოგჯერ გაგიმართლებს კიდევ, მაგრამ როგორც მოხუცმა ამიხსნა, თუ ხანგრძლივი ურთიერთობისაკენ და სიყვარულისაკენ მიილტვი, მაშინ სინათლე ჩაბჟუტულ კვამლით გაჟღერებული ოთახში, სადაც ხმამაღალი ყაყანია და ვერც შენ ლაპარაკობ ყვირილის გარეშე, ასეთ პირობებში ალბათ ძნელია გაცნობა.

– აბა რა პირობებში ჯობია გაცნობა? იკითხა ახალგაზრდამ, რომელიც დაბეჯითებით დადიოდა კაფეებსა და ღამის კლუბებში თავისი ბედის მოსაძებნად.

– ეს ხომ თქვენზეა დამოკიდებული.

– ვერ გავიგე?

– როგორც მოხუცმა ამიხსნა, ნამდვილი სიყვარულის მოსაძებნად ჯერ ნამდვილი მეგობარი უნდა მოძებნო. ეს ასე მარტივი ყოფილა, მაგრამ მე ამაზე არასოდეს მიფიქრია. ჩვენ გვეგონია, რომ ძლიერი ფიზიკური ლტოლვაა საჭირო სიყვარულისათვის. განა ფიზიკური ლტოლვა საჭირო არაა ოჯახის შესაქმნელად, მაგრამ ნამდვილ სიყვარულს მაშინ იპოვნი, თუ ადამიანის გარეგნობის მიღმა ნახავ მის შინაარსს. ნამდვილი სიყვარული ფიზიკურ ლტოლვაში კი არაა, არამედ მეგობრობაში. ფრანგი მწერალი ანტუან დესენტი ამბობს, რომ სიყვარული ერთმანეთის ცქერა კი არაა, არამედ სიყვარული ისაა, როცა ორივე ერთად მომავლისაკენ იცქირებით. ბიბლიაშიც კი არის მინიშნება, რომ ორი ადამიანი ვერ იმოგზაურებს ერთად, თუ მათ შორის თანხმობა არ არის. საერთო შეხედულებები, ინტერესები, და მიზნები. პატივისცემა და აღფრთოვანება,—აი მარადიული სასიყვარულო ურთი-ერთობის საფუძველები.

– მართლაც ასე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ეს თვისება? – იკითხა ახალგაზრდამ და თვალები უბის წიგნაკს მოაცილა.

– შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ. ერთხელ ამერიკის უნივერსიტეტის სოციოლოგებმა გამოკვლევათა შედეგად განაცხადეს, თუ რაოდენ საჭირო ყოფილა მეგობრობა, ჭეშმარიტი სიყვარულით აღსავსე ურთიერთობების შესაქმნელად. მათ გამოჰკითხეს ასობით ბედნიერი წყვილი, რომლებიც ორმოცდაათ წელზე

მეტი ხანი ოჯახების პატრონნი იყვნენ. ყოველმა მათგანმა თავიანთი ოჯახების წარმატება მეგობრობით ახსნა. ყოველი მათგანი დაუფარავად ამბობდა, რომ მისი მეუღლე, მისი საუკეთესო მეგობარია. ყოველ მათგანს საერთო შეხედულებები, ინტერესები, მიზნები და ცხოვრების ერთი და იგივე გეზი ჰქონდათ. სხვა ყველაფერს, მათ შორის ფიზიკურ სილამაზესაც და მატერიალურ მდგომარეობასაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ხანგრძლივი სიყვარულის დუღაბი-მეგობრობაა. მეგობრობა ხომ პატივისცემა არაა, რომელშიდაც მადლობა უნდა გადაიხადო!

აი ამან შთამაგონა დამეწერა წიგნი: „მეგობრები და შეყვარებულები.“ არა და ძალიან ბევრი ადამიანი სცდება ამაში,



ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი სიყვარულის ფიზიკური ლტოლვის აუცილებლობაში, არა და ვერ ხედავენ, რომ გარეგნობა დროში ფერმკთალებს. მეორე მხრიდან კი აშკარად სჩანს რომ სიყვარული, რომელიც მეგობრობიდან და ურთიერთ პატივისცემიდან მოდის, ყოველდღიურად ძლიერდება. აბა მითხარი ერთი რამდენად ლამაზია ქალი, რომელიც იტყუება და თვალთმაქცობს, და რამდენად მიმზიდველია მამაკაცი, რომელიც ცოლს სცემს?

ასე, რომ იმის მაგივრად, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდეთ მხოლოდ ფიზიკურ ლტოლვას ქალებთან ურთიერთობისას, უმჯობესია ეძებო პარტნიორი, რომელიც გაიზიარებს შენს მარადიულ ღირებულებებს, მიზნებსა და შეხედულებებს.

ახალგაზრდა კაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მან ინსტიტუტურად იგრძნო სიმართლე. დოქტორ პაჩიასთან ერთად შეხვედრის შემდეგ მან თავისი იდეალი წარმოადგინა და თვისებათა შორის, რომელთა აუცილებლობასაც იგი უდავოდ ითხოვდა თავისი ცხოვრების თანამგზავრთან, იყო ის რომ, მასაც უნდა ჰყვარებოდა ბუნება და სეირნობა.

– მე, გაგიგეთ თქვენ, – სთქვა ახალგაზრდამ, – მაგრამ ასეთი ადამიანი ხომ უნდა მოძებნოთ. მეთანხმებით ამაში?

– გეთანხმებით. – იყო პასუხი – მხოლოდ ერთი რამ არის საგულისხმო: თუ გინდა მეგობრობის შექმნა, უნდა გახდე მეგობრული ყველასა და ყოველის მიმართ, ვინც შენს შეხედულებებს იზიარებს.

– იოლი სათქმელია... გაკეთებაა ძნელი – იყო პასუხი.

– რატომ? რა მისწრაფებები და რა გეზი გაქვთ?

– ნუ, მე მომწონს ლაშქრობები და უინდსერფინგი. ოპერაში სიარულიც მიყვარს.

– აი, როგორ უფრო სწრაფად იშოვით მეგობრებს, პაპიროსის ბოლით გაბერილ კაფეში, თუ ტურისტულ კლუბში, ვინდსერფინგის ჯგუფში ან კიდევ ოპერის მოყვარულთა კლუბში?

– ესლა კი დანამდვილებით მივხვდი, თუ რას მეუბნებოდი აქამდე – წამოიძახა განარებულმა ახალგაზრდამ – მაშინ რა ქნან იმ ადამიანებმა, ვისაც ღრმა ინტერესები და გატაცებები არა აქვთ?

მათ უნდა იზრუნონ შეიძინონ ის რაც მათ ძალიან მოსწონთ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა იქნება ეს, სპორტი, ვთქვათ ფეხბურთი, ტენისი, ცურვა ან ველოსიპედი, ან რაღაც უფრო ინტელექტუალური, ისეთი როგორცაა მუსიკა, თეატრი, ან ლაშქრობები და პოლიტიკა. როგორც კი იპოვნი იმას რაც შენთვის საინტერესოა, იოლია ისეთი ადამიანების პოვნა, რომელთაც იგივე ინტერესები გააჩნიათ. თუ თქვენ სხვა ადამიანთან არაფერი არ გაკავშირებთ, ძნელია მისი წარმოადგენა, რომ მასთან რაიმე ურთიერთობა გექნებათ.

– მისტერ ბეკმენ, როდესაც თქვენ ლაპარაკობთ, ჩემთვის ყველაფერი ნათელია

და ძალიან მარტივი.

– რა თქმა უნდა რომ ეს იოლია, მაგრამ ზუსტად ეს ავიწყდებათ ადამიანებს. ისინი ცდილობენ სასიყვარულო ურთიერთობების დამყარებას და ის კი ავიწყდებათ, უწინარეს ყოვლისა მეგობრობა ისწავლონ. ამიტომაც სიყვარული მეგობრობის გარეშე ასე წარუმატებელი.

– მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თუ თქვენ ვინმესთან მეგობრული ურთიერთობა გაქვთ, ეს სატრფიალო ურთიერთობაში გადაიზრდება? – იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

– რასაკვირველია რომ არა. ერთი კია, რომ თუ თქვენ არ მეგობრობთ, თქვენი ურთიერთობა დიდხანს ვერ გაგრძელდება.

– მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ხომ არსებობენ, როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთისაკენ მიილტვის, შემდეგ კი მეგობრებიც ხდებიან?

– დიახ. რა თქმა უნდა რომ ასეც ხდება.

– აღიარა მისტერ ბეკმენმა – და არც თუ ისე შვიათად. არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეგობრობა, ნებისმიერი ხანგრძლივი ურთიერთობის უმთავრესი ელემენტია და ამიტომაცაა სიყვარულის უმთავრესი ნაწილი.

ამიტომ მნიშვნელოვანია გადამწყვეტი შეკითხვა დაუსვათ საკუთარ თავს: „ვარგა კი, ეს ადამიანი საიმისოდ, რომ მასთან ერთად მთელი სიცოცხლე გავლიო? ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია?“ და თუ პასუხად მოვიდა “არა”, დაფიქრდით, ვიდრე ამ ადამიანს მთელს სიცოცხლეს მიუძღვნით.

კვლავ რაღაც ჩაინიშნა ახალგაზრდამ და ისევ იკითხა.

– რა ეშველებათ იმათ, ვინც უკვე ოჯახები შექმნეს? ალბათ მათ ძალიან დააგვიანეს მეგობრობაზე ფიქრი, ასე არაა?

– არავითარ შემთხვევაში, – იყო პასუხი – ბევრი ურთიერთობა მეგობრობამ გადაარჩინა, თუკი ადამიანებს სიბრძნე ეყოფათ გამოსავალი ეძებონ. სიბრძნის საუკეთესო ნობათი ხომ მეგობრობაა! ორი ადამიანი კვლავ დამეგობრდება და აღადგენს თავიანთ კეთილ დამოკიდებულებას და მეგობრობა კი სიყვარულს აღადგენს ადამიანთა შორის.

– და ბოლო შეკითხვა თქვენის

ნებართვით – სთქვა ახალგაზრდა კაცმა და წასასვლელად წამოიმართა. – თქვენ თუ შეგხვდათ თქვენი ოცნების ქალიშვილი?

დოქტორ ბეკმენმა გაიღიმა.

– რა თქმა უნდა – სთქვა მან – და დავქორწინდით კიდევ. რეიჩელს ტურისტულ კლუბში შეგხვდი. ფიზიკურად ის ჯერ არ მიზიდავდა, ალბათ არც ის განიცდიდა მაინცა და მაინც ჩემს მიმართ ლტოლვას, მაგრამ როცა ერთმანეთი გავიცანით, ჩვენს შორის რაღაც არსებითად შეიცვალა. ძალიან მნიშვნელოვან პრობლემებზე ვსაუბრობდით. აღმოჩნდა, რომ ძალზედ ბევრი საერთო ინტერესები გავგაჩნია, მსგავსი შეხედულებები და თითქოს თანამოაზრეებიც კი ვყოფილვართ. ასე გავხდით ძალიან ახლო მეგობრები. შემდეგ მე აღმოვაჩინე, რომ მიყვარს იგი და მინდა მთელი სიცოცხლე მის გვერდში ყოფნა.

როდესაც ახალგაზრდა კაცი სახლში დაბრუნდა, მან წაიკითხა თავისი ჩანაწერები.

ჭეშმარიტი სიყვარულის მეოთხე საიდუმლოება – მეგობრობის ძალა.

თავდაპირველად ნამდვილი სიყვარულის მოსაძებნად საჭიროა ნამდვილი მეგობრის

პოვნა. არასოდეს დაუახლოვდე ადამიანს, რომლის პატივისცემასაც ვერ შესძლებ. ებეზე ღირსეული, რამეთუ მეგობრობა მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს აკავშირებთ.

გიყვარდეს არ ნიშნავს უმზერდეთ ერთმანეთს, არამედ ერთად მომავლისაკენ იმზირებოდეთ, კმაყოფილდებოდეთ იმით რაც შესაძლებელია და არ ითხოვდეთ იმას რაც დაგიმსახურებიათ.

დანამდვილებით რომ გიყვარდეთ, უნდა გიყვარდეთ ადამიანი იმისათვის, რასაც ის წარმოადგენს და არა მისი გარეგნობისათვის. და რაც მთავარია გიყვარდეთ საყვარელი ადამიანი არა მხოლოდ იმისათვის რაც ის არის არამედ იმისათვისაც რაც თქვენ მის გვერდში ხდებით.

მეგობრობა ის ნიადაგია რომელზედაც სიყვარულის თესლი ხარობს. იგი აორმაგებს სინარულს და ორჯერ ამცირებს წუხილს.

თუ გინდა ურთიერთობაში სიყვარულის შემოტანა, ჯერ მეგობრობით უნდა დაიწყო. ცოლ-ქმრული სიყვარული ამრავლებს კაცობრიობას, მეგობრული სრულყოფს მას.



ჭეშმარიტება ბავშვის ენით ლაპარაკობს! ჩვენი კრისტალები. კრისტალური ბავშვები

კრისტალები – ღვთის დესპანები არიან. ყველა მათგანი, ამაღლების მიმდინარე ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში, ჩვენდა დასახმარებლადაა მოსული. თავისი ნათლით კრისტალები თვით პლანეტასაც დაეხმარებიან მისდა ასევე ამაღლებისათვის.

რა ურთიერთობაა საჭირო იმისათვის, რომ გაუფოთ ბავშვს, რათა დავინახოთ ის, თუ რისი ჩვენება სურს მას ჩვენთვის? კრისტალები ჩვენი ბრძენკაცებია. მათ ყველაფერი იციან, ყველაფერს ხედავენ. მათი თვალები, ვით უწმინდესი ის კრისტალური წყალია, რომელშიც განიწმინდება და განიბანება ნებისმიერად დაცემული სული. მხოლოდ ჩახედეთ ამ თვალებს და ყველაფერი გასაგები და ნათელი გახდება. იმ თვალებში თვით სიბრძნის ქალღმერთის სიბრძნეა ჩადებული და ძალა მამაზეციერისა.

კრისტალური ბავშვები ჩვენთან სხვადასხვა გალაქტიკებიდან და სხვადასხვა პლანეტებიდან არიან მოსული და ყოველი მათგანი თავისი მისიითაა მოვლენილი. ყოველ მათგანს თავისი ამოცანა აქვს და თავისი ადგილი გააჩნია ამაღლების ამ მომენტისათვის. ზუსტად ამ მომენტისათვის ისინი ჩვენდა მოსამზადებლად მოვიდნენ. ბრძოლის დროს ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით და კრისტალები უმთავრეს როლს აიღებენ საკუთარ თავზე. თავისი სინათლით ისინი აღამაღლებენ ჩვენს პლანეტას.

როგორი ურთიერთობა უნდა დაამყარონ მშობლებმა ჩვენს ამ პაწაწინა ბრძენთაბრძენ არსებებთან? უპირველეს ყოვლისა, მშობლებმა უნდა დაინახონ და შეიგნონ ის, თუ ვინ დგას მათ წინაშე. მათ წინაშე ბავშვი და ზრდასრული ბრძენია ერთდროულად. იგი მზადაა პასუხი გასცეს თქვენს ყოველ შეკითხვას სიტყვით,

ტელეპატიურად, მოქმედებით, მიმიკით, ჟესტებით და ა.შ. უბრალოდ დააკვირდით მათ და ისინიც ყველაფერს გიჩვენებენ



და მოგიტხრობენ. ახლა კრისტალების სახით მოველინენ ყველა ჩვენთაგანს ბრძენი მასწავლებლები, სულიერი მოძღვრები და თანაშემწენი. დახმარების მისაღებად საჭიროა მათთან ურთიერთობა. უპირველესად ყოვლისა კრისტალები უნდა გიყვარდეთ და მიიღოთ ისინი ისეთებად, როგორებიც არიან, მიუხედავად იმისა იცნობთ თქვენ ბავშვს თუ არა. ერთმანეთთან ბავშვები ურთიერთობენ ტელეპატიურად ისევე სრულფასოვნად, როგორც შენ ურთიერთობ ერთ რომელიმე ბავშვთან და შენც ზუსტად ისეთივე ურთიერთობა გაქვს პლანეტის ყველა დანარჩენ ბავშვებთან, თუმცა ამას ვერ აცნობიერებ. ამიტომ, თუ ერთ რომელიმე ბავშვთან შედიხარ კონტაქტში, ამით შენ ყველა ბავშვთან ამყარებ კავშირს. გიყვარს ერთი ბავშვი, მაშასადამე გიყვარს ყველა

ბავშვი. თუ ერთ რომელიმე ბავშვს არ ღებულობ, მაშასადამე არ ღებულობ არც ერთს, და რა თქმა უნდა, რომ ბავშვებთან ერთად თვით ღმერთსაც. იმიტომ რომ კრისტალები ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან, იმიტომ ვერ გაექცევი მათ ისევე, როგორც ვერ გაექცევი ღმერთს და საკუთარ თავს.

თუ ბავშვი რაღაცას გთხოვთ, საჭიროა ყველაფერი გააკეთოთ ისე, როგორც იგი ითხოვს ამას, რადგან იგი უბრალოდ როდი გთხოვს, არამედ იგი ამით რაღაცას განიშნებთ, რაღაცას გიჩვენებთ. მიჰყევით მას კვალდაკვალ, ნურაფერს დაუშლით, გააკეთოს რაც სურს. ნუ აუკრძალავთ მას ამ ქვეყნის ცქერით ტკობას, უჩვენეთ მას იგი, მისთვის ხომ ყველაფერი სიახლეა. მართალია ეს თქვენთვისაა მოსაბეზრებელი, მაგრამ ყოველივე ეს პირველად ხდება მის ცხოვრებაში. მიუშვით იგი, დაე იჯეროს გული თამაშით. თუკი თქვენი თვალსაზრისით რაღაც აბსურდულია მის თამაშსა თუ საქციელში, აუხსენით მას ის, თუ რატომ არ ღირს ამის გაკეთება და ბავშვი ამას მიხვდება, ყველაფერს იგრძნობს. ამიტომ იგი უარს იტყვის თავის საქციელზე, თუკი დანამდვილებით დაუმტკიცებთ მას თქვენს აზრს.

არასოდეს განახორციელოთ ზეწოლა ბავშვზე, მათი ძალა თვით ღმერთის ძალაა, ამიტომ ნუ ეთამაშებით ღვთის ძალას, რამეთუ შედეგები შესაძლოა თქვენს სასარგებლოდ არ დასრულდეს.

ბავშვი თქვენთან გულით ურთიერთობაში შემოდის. ვისაც გული გახსნილი აქვს სიყვარულისათვის, მხოლოდ ის შესძლებს ბავშვთან ერთმთლიანობას და აღარ დაგჭირდებათ ბავშვთა ფსიქოლოგები, რადგან თქვენი ბავშვი თქვენი პირადი ფსიქოლოგია. თქვენს თვალწინ ჭეშმარიტი სულის მკურნალია. მიუჯექით გვერდში, მოეხვიეთ, აკოცეთ, უთხარით მას, რომ იგი ყველაზე კარგი და ყველაზე ძვირფასია თქვენთვის, რომ იგი თქვენი განძია, თქვენი მზე და მთვარე ერთდროულად. უთხარით, თუ როგორ აფასებთ მას, როგორ გიყვართ და რა საყვარელია თქვენთვის. მშობლები წარამარა უნდა ეუბნებოდნენ ამას საკუთარ ბავშვებს: ჩვენ გვიყვარხარ, რა კარგია, რომ

შენ გვყავხარ. და თქვენ დაინახავთ, რომ ყველაზე ძვირფას საჩუქარს იგი თქვენთვის გააკეთებს, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ იმას, რასაც ის გააკეთებს თქვენთვის. თქვენს გვერდში თავის ყოფნით იგი გამშვიდებთ, საკუთარი სინათლით გასუფთავებთ თქვენ. იმას, რასაც იგი ყოველთვის აკეთებს, ასევე ყოველთვის როდი იგრძნობთ, თუკი თქვენი მეოთხე ჩაკრამი, სიცოცხლისადმი სიყვარულის ჩაკრამი, ღმერთის ჩაკრამი, – ანუ გული, – ჩაკეტილია. რაც მეტად რთული ურთიერთობა გაქვთ ბავშვთან, მით უფრო ძლიერად ხსნის იგი თქვენს გულს და აღვიძებს მას. თუკი ჩაკრამი გახსნილი გაქვთ, მაშინ ბავშვთან ურთიერთობის პრობლემაც არ გექნებათ. თქვენ უბრალოდ ხარობთ იმით, რომ ასეთი საოცრება გყავთ.

როგორ უნდა გავუგოთ ბავშვებს?

უპირველესად ყოვლისა საკუთარი თავი უნდა შეიყვაროთ, უნდა შეიყვაროთ ღმერთი საკუთარ გულში, უნდა შეიყვაროთ მთელი სამყარო. საკუთარი თავის სიყვარულით თქვენ შეიყვარებთ ადამიანს და ადამიანებს შეუყვარდებით თქვენ. სიყვარულის ამ ენერჯის ღვთაებრივი ძალით იხსნება გულის ჩაკრამი. თქვენ თქვენს ირგვლივ ყველაფერს შეიყვარებთ და მაშინ მიხვდებით, რომ თვითონ საოცრება ხართ. თუკი ღვთაებრივი ჩაკრამი ჩაკეტილია, მაშინ ძნელი იქნება ამის მიღწევა თქვენთვის, თქვენი მეორე ნახევარისათვის და ბავშვისათვის. ბავშვი მხოლოდ მაშინ იზრდება ჯანმრთელი და ბედნიერი, როცა მას არ აკლია სიყვარულის, სიკეთის, სიხარულისა და ბედნიერების ენერჯიები. იგი ის ხეა, რომელიც წყლისა და მზის ენერჯიებს საჭიროებს (ქალის ანუ დედამიწის ენერჯიას, კოსმიურ ანუ მამის, ღვთაებრივ ენერჯიას).

ყველაფერი მხოლოდ საკუთარი თავისადმი სიყვარულით იწყება, და კიდევ: ბავშვი ყოველთვის უნდა წაახალისო, შეაქო ამა თუ იმ ღირსებისათვის. რაც არ უნდა ჩაიღინოს, შედით მასთან ურთიერთობაში და გამოარკვიეთ საქციელის მიზეზი, რათა მიხვდეთ, თუ რას გაუწყებთ იგი თავისი ამ საქციელით, არადა იგი თქვენს საკუთარ თავს მიგანიშნებთ. ის სარკეა თქვენი, დააკვირდით საკუთარ თავს

ბავშვის მეშვეობით და თქვენც ყველაფერს მიხვდებით. ნახეთ თუ რისი თქმა უნდა ბავშვს თქვენთვის და მადლობაც არ დაგაგიწყდეთ უთხრათ მას დახმარებისათვის. ნებისმიერ მდგომარეობაში მიიღეთ იგი და თქვენ მიხვდებით იმას, თუ რა ბედნიერებაა იყოლიო ბავშვები.

ბავშვებზე შაბლონებს, პროგრამებს, რამეთუ მათ თავიანთი სისტემები აქვთ, სიცოცხლის თავიანთი პროგრამა. ნუ აიძულებთ აკეთონ ის, რისი გაკეთებაც არ სურთ. ეს მათი არჩევანია, დაუტოვეთ მათ არჩევანის უფლება. თქვენც მშვიდად იქნებით ფსიქოლოგიურად და ბავშვიც



რა უნდა გააკეთდეს საბავშვო ბაღებში? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ბავშვი თვითონ აირჩევს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს იმ წუთში. რადგან ბავშვის ყურადღება იოლად იფანტება, იგი სწრაფად იცვლის საქმიანობას. თუკი ბავშვს რაიმე მოეწონება იგი საათობით ითამაშებს ერთსა და იგივეს. ამ დროს ყველაფრის დანახვაცა და მიხვედრაც შეიძლება იმის შესახებ, თუ რა ამოცანის შესასრულებლად მოეგლინა იგი ამ ქვეყანას. ირჩევს რა საყვარელ საქმიანობას, იგი თავის გზას ირჩევს ცხოვრებაში. იგი იმ გზით ივლის და უზარმაზარ სარგებლობას მოუტანს როგორც პლანეტას, ასევე კაცობრიობასაც, თუკი ის თვითონ დაადგება თავის გზას და არა მშობლების დარიგებით. რაც ბავშვს უნდა, ის გააკეთეთ. ნუ მოარგებთ

დიდ ბედნიერებას მიიღებს ცხოვრებისაგან. მხოლოდ მოუსმინეთ ბავშვს და ენდეთ მას. ბავშვი არც ერთ მოძრაობას არ აკეთებს უაზროდ. მიეცით მას საშუალება ჩაწვდეს საკუთარ თავს. ეს უკვე ნამდვილი ბედნიერებაა. საჭიროა მხოლოდ მის მფარველ ანგელოზად გახდომა.

მინდა მაგალითისათვის აღზრდის იგავი შემოვთავაზოთ ბედნიერი ბავშვობისათვის და ამ იგავს ეწოდება „ანგელოზი“:

დაბადებამდე ერთი დღით ადრე ბავშვი ეკითხება ღმერთს:

– ამბობენ, რომ ხვალ მე დედამიწაზე გამაგზავნიან. როგორ უნდა ვიცოცხლო იქ, მე ხომ ასე პატარა და დაუცველი ვარ?

– მე გაჩუქებ ანგელოზს, რომელიც გელოდება და იზრუნებს შენზე.

ბავშვი დაფიქრდა, შემდეგ ისევ თქვა:

– აქ, ზეცაში, მე მხოლოდ ვმღერავარ

და ვიცი, ჩემი ბედნიერებისათვის ეს სავესებოთ საკმარისია.

დმერთმა უპასუხა:

– შენი ანგელოზი გიმღერებს შენ და შენთვის გაიღიმება, შენ იგრძნობ მის სიყვარულს და ბედნიერი იქნები.

– თ! მაგრამ როგორ გავუგებ მას, მე ხომ მისი ენა არ ვიცი? – იკითხა ბავშვმა და თვალებში ჩახედა გამჩინს:

– თუკი მომინდება შენთან საუბარი, რა უნდა გავაკეთო მე?

დმერთი ალერსით შეეხეო ბავშვს თავზე და თქვა:

– შენი მფარველი ანგელოზი ასე შეაერთებს შენს ხელის გულებს და გასწავლის ლოცვას.



ამის შემდეგ ბავშვმა იკითხა:

– მე გამიგია, რომ დედამიწაზე არსებობს ბოროტება. ვინ დამიცავს მე?

– შენი ანგელოზი დაგიცავს შენ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

– მე ძალზედ მოვიწყენ, რადგან ვეღარ გნახავ შენ...

– შენი ანგელოზი ყველაფერს გაიმბობს ჩემზე და ჩემსკენ დაბრუნების გზასაც გასწავლის. ასე რომ მე ყოველთვის შენს გვერდით ვიქნები.

ამ დროს დედამიწიდან ხმა მისწვდათ და ბავშვმა საჩქაროდ იკითხა:

– დმერთო მითხარი, რა ჰქვია ჩემს მფარველ ანგელოზს?

– მის სახელს მნიშვნელობა არა აქვს, უბრალოდ შენ მას დედას დაუძახებ!..

და კიდევ: დაეკითხეთ ბავშვებს, რისი გაკეთება სურთ ამჟამად? ბავშვი ცხოვრობს ამ წუთში და აქ, და ეხლა. და იგი თვითონ იტყვის, რა სურს მას, რადგან ცოტა ხანში მას სხვა თამაში მოუნდება. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ სიცოცხლეა! თამაში, – ზრდასრული ადამიანის მინიატურაა. ბავშვი თამაშით ღებულობს ცხოვრებაში ზრდასრულთა აქტიური არსებობის ჩვევებს. როცა თამაშობს, სათამაშოებთან ერთად იგი იმ სიტუაციებს ქმნის, რომლებსაც მომავალში ზრდასრულის სახით გაივლის და შექმნილი სიტუაციიდან იპოვის გამოსავალს. იგივე აზრი აქვს ზღაპრებსაც. ბავშვს ახსოვს: საიდან მოვიდა, რა მისია აკისრია... ამიტომ თქვენი ამოცანაა დაეხმაროთ მას საკუთარი თავის გახსენებაში. მიეცით საშუალება მეტი ითამაშოს, გამოკითხეთ თუ რისი კეთება მოსწონს და რატომ. ისწავლეთ ბავშვთან ურთიერთობა და თქვენ უკეთესად ამოიცნობთ საკუთარ თავს.

რას ასწავლიან ზღაპრები ბავშვებს

უთხარით პატარას, რომ ზღაპარი სიბრძნეა, სამყაროს შეცნობის გზაა, ამ სამყაროში საკუთარი ადგილისა და საკუთარი თავის გამოცნობის საშუალებაა. ისიც უთხარით, რომ ზღაპრები საკრალურ ცოდნას აწვდიან ადამიანებს, რომ ზღაპრებში დიდი სიბრძნეა ჩადებული. ზღაპრები სუფთად და გულთ ცხოვრებას გვასწავლიან, თუკი გულს მოვუხმენტ, გვასწავლიან პატიოსნებას, სინდისს. ისინი თანაგრძნობას, სიყვარულსა და სიბრძნეს გვასწავლიან, საკუთარი თავის მიღებას, დმერთის აღიარებას და მისი დახმარების არსებობას. ზღაპრებში არსებობის უამრავი საკითხი იხსნება: როგორ ვიპოვოთ დმერთი საკუთარ თავში, როგორ მოვძებნოთ გზა საკუთარი თავისაკენ, როგორ დავბრუნდეთ შინ, – საკუთარი სულის ტაძარში!

როლის დავიწყოთ ზღაპრების
კითხვა?

ზღაპრების კითხვა ნებისმიერ დროს შეიძლება დამოუკიდებლად იმისაგან, გყავთ ბავშვები თუ არა. ზღაპრებში ხომ საუკუნეთა ღვთაებრივი სიბრძნეა ჩადებული. ისინი ჩვენი ნებისმიერი მომენტისათვის გამზადებული ხელშემწენი არიან. დასვით შეკითხვა, ითხოვეთ დახმარება, და გადაშალეთ ზღაპარი ნებისმიერ გვერდზე და პასუხსაც ამოიკითხავთ.



ზღაპრებს სულ უნდა კითხულობდეთ, იმ დროსაც კი, როდესაც ბავშვი მუცლად არის. ზღაპრების კითხვა ბავშვებისათვის სრულიად აუცილებელია. ზღაპრების წაკითხვისას ჰკითხეთ ბავშვს რომელი გმირი მოეწონა და რომელი არა, და რატომ. ბავშვი ყველაფერ ამას აგიხსნით და თანაც მეტად მომხიბვლელად, ოღონდ ყურადღებიან მსმენელად უნდა გადაიქცეთ. ბავშვის მოსმენას ცოდნა უნდა. როგორც იტყვიან: ყურების მქონე გაიგებს, თვალების მქონე იხილავს. ზღაპრის მოსმენისას ბავშვი თავს გმირად წარმოიდგენს, გმირად, რომლისგანაც სწავლობს ცხოვრებას, სწავლობს საკუთარი გულის მოსმენას და მასში ღმერთის ხმის ამოცნობას. ნუ მოაცილებთ ბავშვს ღმერთს, თორემ დაბრუნება დიდ ხანს გასტანს და თანაც

დაბრუნება, შესაძლოა, სწულებასთან იყვეს დაკავშირებული. გახდით ბავშვის მეგობარი ყოველთვის და ყველაფერში, და თუკი გთხოვთ, დაეხმარეთ კიდევ, თუ არა და არ ჩაერიოთ მის საქმეში, რადგან ურთიერთობას გააფუჭებთ. ბავშვი – ეს პაწაწინა “დიდი კაცია”. თუ ბავშვი გიყვართ, თქვენ საკუთარი თავიც გიყვართ, ოდესღაც ჩვენც ხომ პატარები ვიყავით და ასეთებად ვრჩებით მუდამ. ოღონდ ჩვენ ეს გვაგიწყდება როცა დიდები ვხდებით. ჩვენ ხომ ღვთის შვილები ვართ და ეს არ უნდა დაგვაგიწყდეს. ღმერთი მარადიული ცვლილებაა, იგი ყველაფერია, ბავშვიც და დიდიც. ღმერთი ხომ ბავშვის თვალებშია! აბა კარგად ჩახედეთ მათ თვალებში!

და კიდევ, არასოდეს შეპირდეთ ბავშვს ის, რისი ფიზიკური შესრულებაც არ შეგიძლიათ. ბავშვი ყველაფერს გრძნობს, იგი გენდობათ თქვენ და ამიტომ ელოდება სიტყვის შესრულებას. არ ჩაკლათ მასში თქვენდამი ნდობა, ნდობის დაბრუნება ძალზედ ძნელია მერმის. თუ შეპირდით შეასრულეთ კიდევ, არადა ნუ დაპირდებით. თუ თქვენ დაურეკეთ და უთხარით, – ზოპარკში წავიდეთო, – და არ შეასრულეთ სიტყვა, მაშინ არც ის გაგიკვირდეთ, რომ ყოველი ამგვარი ტყუილით ბავშვი ნელ-ნელა დაგცილდებათ თქვენ და მისი დაბრუნება უკვე ძნელია. იგი შეიძლება ისე ჩაიკეტოს, რომ მხოლოდ მაშინ გაიხსნება, როცა ცხოვრებიდან წასვლას დააპირებს და მაშინ მეტად დამძიმდებით თქვენც და სხვა ყველა თქვენს ირგვლივ. იცხოვრეთ იმით, რითაც შეგიძლიათ, რისი გაკეთებაც ხელგეწიფებათ, რასაც მიწვდებით და არა “ხვალ” და “აბა ვნახოთ რა იქნება...” და მრავალი ასეთი რამ, რადგან “ხვალ” და “მერე” ყველაფერი სხვაგვარად იქნება. თუკი ეხლა შეგიძლიათ ყურადღება გამოიჩინოთ ბავშვის მიმართ და ბავშვიც მზადაა და სიხარულით მოგყვებათ თქვენ, –იმოქმედეთ, თქვენ ხომ ორივე მზად ხართ ბედნიერებისათვის. თუკი იმას გააკეთებინებთ რისი გაკეთებაც ან თქვენ ან ბავშვს არ მოეწონთ, ყველასათვის ცუდი იქნება. დაიჯერეთ, ეს ასეა.

ბავშვს უნდა ენდოთ, მიუტევოთ, გაანდოთ თქვენი საიდუმლოებანი,

მოუყვებთ საკუთარ თავზე. ბავშვს ძალიან აინტერესებს ის, თუ როგორი იყავით თქვენ ბავშვობისას. “იცი...” უთხარით მას, და დაიწყებთ თქვენი ბავშვობის თხრობა. ნუ გაებუტებით ბავშვებს უკვე დაფიქრებული შეცდომისათვის. ბავშვი ხომ ყველაფერს გრძნობს. უბრალოდ: გიყვარდეთ იგი და არა ის, რომ მიიბათ და უთქვენოდ ვეღარც კი ძლებდეს. იყავით თავისუფალი საკუთარ სიყვარულში, მიიღეთ მისი სიყვარული, მისი ჩახუტება, ალერსი... იგივე აჩუქეთ მასაც. სიყვარულში სიძუნწე არ არსებობს. ბავშვის გული ყოველთვის გახსნილია და მიეცით საშუალება გამთავებინოს საკუთარი თავი, გაიხსენეთ საკუთარი პატარაობა. წაუკითხეთ ზღაპრები, ზღაპრებით ის იხსენებს საკუთარ თავს, მისიას და ირჩევს გზას. მიეცით მას საშუალება გამთავებინოს საკუთარი თავი, მიეცით თავისუფლება და დააფრთხილეთ. მან იცის ეს ცხოვრება, მას საკუთარი სულით სურს მისი დანახვა, ანუ ღმერთის თვალებით მისი დანახვა. როცა ყვირის, დახმარების უფლებას ითხოვს. მიეცით საშუალება დაგეხმაროთ და თქვენ დაინახავთ რა შეუძლია თქვენს პატარას. ის ხომ თქვენი ციციანათელაა, მას ხომ უყვარხართ, ის ხომ ღვთის გულიდან გეწვიათ თქვენ. მადლობა შესწირეთ მას ყველაფრისათვის, დალოცეთ და სთხოვეთ დალოცვა, გაუმხილეთ, თუ როგორ გჭირდებათ ის თქვენ, მადლობა უთხარით რომ ასე უყვარხართ, იმისათვისაც, რომ იმ წუთში ის თქვენთანაა, თქვენს გვერდში... ისეთად მიიღეთ ის, როგორც არის. ელაპარაკეთ მას და ისწავლეთ მისი სიბრძნე, მისი თვალების სიბრძნეში ჩაიხედეთ. ენდეთ, სთხოვეთ რჩევა, დახმარება. მიჰყევით ბავშვს, ისინი ჭეშმარიტებასთან მიგიყვანთ, იმასთან, რაც თქვენ გჭირდებათ იმ მომენტისათვის. როცა ბავშვს მადლობას ეუბნებით დახმარებისათვის, თქვენ თვით მამაზეციერს ეუბნებით მადლობას, – ბავშვი ხომ ღმერთია.

მოუარეთ ბავშვებს და ცელქობისთვის ნუ დასჯით. თქვენი საქმის ჩავარდნას მათ ნუ გადააბრალლებთ.

მართლა ნუ უჯავრდებით, გინდაც მართლაც გაჯავრდეთ, მათ წამწამზე ცრემლები, ძვირი რომ არ დაგიჯდეთ...
 თუკი დაიქანცებით ისრე, – თავსაც ვეღარ წევთ, მაინც გაისარჯეთ და შეიღებს მიუაღერსეთ; ჩაიხუტეთ, აკოცეთ...
 ხანმოკლეა სიცოცხლე... დრო ხომ სწრაფად მოძრაობს?!
 უკან არ იხედება, და ბავშვების ბავშვობა სწრაფად გამოგეცლებათ: ოქროს ხანა, – ბავშვობა, სწრაფად დაუმთავრდებათ და დაზრდილი ბავშვები თავ-თავის გზას გაჰყვება, და... კერა დაობლდება...
 გულის ტკივილს გაუძლებთ?!... ცარიელი კერია, მარტოობა...
 თითქოსდა მართლაც დავრჩით ობლებად! ...ვიდრე ბავშვი გულს გვითბობს რას მიქვიან დაღლა და ბუზღუნი და მოწყენა...
 აბა ჩქარა, მოლხენა! მოდით გულში ჩაგიკრათ, ჩაგეხუტოთ, ჩაგოცნოთ! ...სადღაა დაღლილობა?!
 ლამის ფრთები შეგვესხას პაწაწინა თითების ასე ტკბილი კოცნისგან მათი ტკბილი ფერების ასე თბილი ღოყისგან! გეხუტებით... თქვენს სიყვარულს გული ვეღარ იტევს! ვენაცვალე აზრით ადვისილ მე თქვენს თვალთა სხივებს! ღმერთო!!!
 გული გამეგოს, თითქოს შენზე ღოცვისგან... დარდი მერეც გვეყოფა ჩვენი მარტოობისგან... ეხლა მოდით ვიცინოთ, – ყველას გეაღერსებით თქვენ კი შემოგვევლებით, ყველას გენაცვალებით!

უბრალოდ უნდა იცხოვროთ, მხოლოდ განსნილმა გულმა იცის ყველაფერი. განსენით გული, გაეცით სიყვარული, ღიმილი და დაიბადება ახალი სიყვარულით აღვსილი თაობა და ეს თაობაც, მეექვსე რასა, უკვე მოვიდა.

მე მიყვარხარ შენ, ჩემო ლამაზო კაცობრიობაჲ. განდით ბავშვები და მაშინ შეხვალთ ცათა სასუფეველში!

ბავშვები წერენ ღმერთს

ეს წიგნი შემთხვევითი როდია. მისი გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და არ უწყიან იმას, რომ ისინი ჩვენი პლანეტის სული და გული არიან, მთელი კაცობრიობის ხატება, მისი სარკე და კამერტონი. მათ საკუთარი სამყარო აქვთ. განსაკუთრებული სამყარო, რომელსაც ჩვენ, დიდები, სულ უფრო და უფრო ვცილდებით და უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ. რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო გაუგებარია ჩვენთვის მათი ქვეყანა, – ბავშვობა! ბავშვებს კი საკუთარი წარმოდგენები აქვთ სიკეთესა და ბოროტებაზე, ღირსებასა და უღირსობაზე, ადამიანთა ღირებულებებზე: მათ თავიანთი საზომი ერთეულები გააჩნიათ – ისინი “შენ”-ობით მიმართავენ ღმერთს.

აი როგორ ესაუბრებიან ისინი თვით მამაზეციერს!!!

გამარჯობა უფალო. როგორა ხარ? როგორ მიდის შენი საქმეები? ხომ კარგად ხარ?

ორი წლის გოგონა

შენ თუ ქვეყნის აღსასრულს მოიტან, მაშინ ვინდა ილოცებს შენთვის?

მეოთხე კლასელი ბიჭი

სად გადადის დრო? ჭაღარაში?

მესამე კლასელი გოგო

ადამიანები ასე იტანჯებიან ამ დედამიწაზე და შენს ჯოჯოხეთში ნუთუ ამაზე უარესია?

მეოთხე კლასელი ბიჭი

ღმერთო, მე მესმის, რომ ჩემს მშობლებს



ჩემი თავი წერომ მოუტანა, მაგრამ წეროსათვის ვინ გვაკეთებს ჩვენ?
მესამე კლასელი ბიჭი

თუ კი ჩვენ ყველანი დაძმანი ვართ, მაშინ რატომ თხოულობენ და თხოვდებიან ადამია-ნები?
მეოთხე კლასელი გოგო

რა ასაკიდან ითვლება ადამიანი ზრდასრული? როცა ნემსების აღარ ეშინია, თუ როცა მზია მოწონს?
მესამე კლასელი ბიჭი

დემოკრატია მაშინ არის, როცა ზოგს ყველაფერი აქვს და დანარჩენებს კი რაც დარჩებათ?
მესამე კლასელი გოგო



ეს როგორ? ყველაფერი ღვთის ნებაა?! ზაფხულზეც, დედას ავადმყოფობაზეც და ომზეც?
მეოთხე კლასელი ბიჭი

აი როცა ადამიანი კვდება, ვინ არის ის, ვინც მას სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში რომ გადაუშვებს?
მესამე კლასელი გოგო.

ჩვენს პარკში ბუჩქები გადაკრიჭეს და ხეები გადაბელეს. როცა ვიკითხე რატომ გააკეთეს ასე, მიპასუხეს, - უკეთ გაიზრდებიანო. გამოდის, რომ თუ მე საპარიკმახეროში არ ვივლი, მე არც გავიზრდები, არც დავბერდები და არც მოვკვდები?
მესამე კლასელი ბიჭი.

კაი ბატონო, ქრისტე ხალხისათვის ეწამა, ხალხი ვისთვისდა იტანჯება?
მეოთხე კლასელი ბიჭი.

როცა დედამიწაზე ისვრიან, შენ რა, არ ეგემის უფალო?!
მეორე კლასელი ბიჭი.

რატომაა რომ ადამიანები ჯერ შეყვარდ-ბულები არიან და მერე კი ჩუმად ტირიან?
მეოთხე კლასელი ბიჭი.

მე რომ მოგკედები არც ჯოჯოხეთში მინდა, არც სამოთხეში, - შენთან მინდა.
მესამე კლასელი გოგო.

შენ გაქვს გონება, თუ მთლიანად სულისაგან შესდგები?
მესამე კლასელი გოგო.

პირველებმა ხომ მამაკაცებმა იმშობიარეს, - აბა გაიხსენე ადამის ნეკნი და ევა! რატომ არ მოგეწონა ეს და მერე მთელი ტვირთი ქალების მხრებზე რომ გადაიტანე?
მეოთხე კლასელი გოგო.

ბიბლიაში შენ გიწერია, რომ თავდაპირველად იყო სიტყვა. რომელი?
პირველ კლასელი ბიჭი.

ადამიანისთვის ხორცის ჭამა აკრძალულია, - და ქაბაბი?
მესამე კლასელი ბიჭი.

ღმერთო, შენ ჩემში ჩემი სული ჩადევი თუ სხვისი?
მეორე კლასელი ბიჭი

გამოდის რომ, თუ სწორად გავიგე ევოლუცია, შენ ადამი და ევა შექმენი და მერე ადამიანი თვითონ წარმოიშვა მაიმუნისაგან?
მესამე კლასელი ბიჭი

ღმერთო, თუ “სნიკერსი” მოვაკებინე დათოს, ეს სიყვარულია?

მესამე კლასელი გოგო

დღე რითი კვდება? სიბერისაგან?

მესამე კლასელი ბიჭი

რატომაა რომ ადამიანი წლების განმავლობაში იზრდება და მერე, ბრახ და კვდება?

მეოთხე კლასელი ბიჭი

გასულ კვირას ჩვენს კლასში ახალი მოსწავლე მოვიდა. ის ისეთია, ისეთი, რომ!... ასე რომ, გასულ კვირამდე ჩემი სიცოცხლის არცერთი დღე აღარ ჩამითვალთ.

მესამე კლასელი გოგონა

მე მხოლოდ მოფერებას გეხვეწები.

მეორე კლასელი ბიჭი

ძვირფასო ღმერთო, გთხოვ, ისე გააკეთე, რომ ბებიიდან დაწყებული სპილოებამდე ყველა ბედნიერი იყოს, ნაჭამი და ყველას ახალი ფენსაცემელი ეცვას.

მეორე კლასელი გოგო

ღმერთო, იმდენი სიცოცხლე მომეცი, რამდენიც ჩემს დედიკოს უნდა.

პირველ კლასელი გოგო

ღმერთო, დამეხმარე, რომ მე მთელი სიცოცხლე კარგად ვისწავლო.

პირველ კლასელი გოგო

შენ შექმენი მიწა, ამიტომ ისე გააკეთე, რომ ადამიანებმა ვერ გაგიფუჭონ შენი დედამიწა.

მეორე კლასელი ბიჭი

მე ვინატრებდი, რომ ჩემს მშობლებს მეტი ჭკუა მისცე, – სულ არ ესმით ჩემი.

მესამე კლასელი გოგო

ისე გააკეთე, რომ მე კარგი “პოჩერკი” მქონდეს. მაშინ ნორმალურ საკონტროლოს დაეწერ და შენთვისაც უკეთესი არაა? შენ ხომ უკეთესად წაიკითხავ ჩემს წერილებს.

მეორე კლასელი გოგო

ისე გააკეთე, რომ ყველა ერთმანეთს უთმობდეს.

მესამე კლასელი გოგო

პატივცემულო უზენაესო, ისე გააკეთე, რომ ხელები და ფეხები სულ სუფთა მქონდეს.

მეორე კლასელი ბიჭი

ერთი ანგელოზი მაინც მაჩვენე ისე, რომ არავინ დაინახოს.

მეორე კლასელი გოგო

იმან შემეყვაროს, ვინც მომწონს, სამაგიეროდ მე ცოლად მოვიყვან.

მეორე კლასელი ბიჭი

აპატიე ყველას, ვინც მოუნათლაგია და მეც.

მეორე კლასელი ბიჭი



სიბრძნის კონა

ესპანეთზე გამარჯვებულ სციპიონს ტყვედ ჩაუფარდა გასაოცარი სილამაზის ახალგაზრდა მეფის ასული. მას მოახსენეს, რომ ეს გოგონა მალე ცოლად უნდა გაჰყოლოდა ერთ-ერთ დიდგვაროვან თანამემამულეს. სციპიონს უბრძანებია: მეფის ასულს არ დააკლოთ რა, თვალის ჩინივით მოუარეთ, როგორც მამის ოჯახში მოუვლიდნენო. ხოლო როცა მისი მიჯნურიც მონახეს, მეფის ასულიც გააყოლა და ის ფულიც გაატანა მზითვევში, რაც მამამ თავის ქალიშვილისთვის გამოსასყიდად გამოუგზავნა.

აი, რას გვეუბნება ამაზე ვალერიუს მაქსიმუსი: „გასაოცარი სიტუარფის ქალი უმანკოდ ჩააბარა საქმროსა და მშობლებს, თუმცადა თავად ყმაწვილიც იყო, უცოლოც და ამასთან ქვეყნის დამპყრობელიც.“ ეს განხდათ ეგზომ გასაოცარი მაგალითი თავშეკავებისა და სურგბელობისა, რომ ამით დატყვევებული და მოხიბლული ესპანელები, ლივიუსის თქმით, თურმე ასე იბახდნენ: „მოგვევლინა ჭაბუკი, ღმერთების სადარი და დაგვიპყრო ჩვენ არა მარტო იარადით, არამედ ხელგაშლილობითა და სიქველთ.“

აი, ასეთი განხდავს ჯილდო და საჩუქარი სიკეთისა და მადლისათვის. აი, ასეთი თვისების კაცთ უნდა მისდიო შენც, თუ გსურს განთქმული და მადლმოსილი განხდე. ეს კი ერთადერთი გზაა ბედნიერების ამ წუთისოფლში.

ამონარიდი წიგნიდან „ჩესტერფილდის წერილები ვაჟს“

ლამაზი სიყვარული

ისინი ორნი იყვნენ – ის და მეუღლე.

ისინი სადღაც გადაეყარნენ ერთმანეთს და ეხლა კი ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, სადღაც სასაცილოდ, სადღაც მწუთხიდ, სადღაც... მოკლედ სრულიად ჩვეულებრივი ორი ბედნიერი ადამიანების ცხოვრებით.

ისინი ბედნიერები იყვნენ, ამიტომ ერთად

იყვნენ და ეს ხომ უკეთესია ვიდრე ცალ-ცალკე ყოფნა.

იგი ხელებზე ატარებდა მეწყვილეს, ცაში ვარსკვლავებს უნთებდა, მიწაზე სახლს უშენებდა საცხოვრისად.

ყველა იბახოდა: „აბა ნახეთ რა, იდეალურია, რატომაც არ იქნება საყვარელი! მაგისტანასთან ვინ არ იქნება ბედნიერი.“ ისინი ისმენდნენ და იღიმებოდნენ, მათ ხომ არ იცოდნენ რომ ქალაქმა შექმნა თავისი იდეალი მათი სახით: სხვანაირი ის მაინც ვერ იქნებოდა, იგი ხომ თავისი მეწყვილეს გვერდით დავაჟუკაცდა. ეს მათი პატარა საიდუმლოება იყო.

მეწყვილე ელოდებოდა ქმარს, ხვდებოდა და აცილებდა, კერია სულ თბილი ჰქონდა, რომ მას არ შესცივნოდა და ჯეროვნად მოესვენა. ყველა გაიბახოდა: „ასეთი ქალი ხელის გულზე უნდა ატარო, აბა რა! იგი ხომ ოჯახისთვისაა დაბადებული, რა გასაკვირია, რომ მისი ქმარი ასე ბედნიერია!“ ისინი კი მხოლოდ იცინოდნენ და არავის ეუბნებოდნენ, რომ ის მხოლოდ საკუთარ ქმართან ბედნიერებისთვის იყო გაჩენილი და მხოლოდ მის სახლში უნარიან მას.

ეს მათი კიდევ ერთი პატარა საიდუმლოება იყო.

იგი მიდიოდა საშრომლად, ბორძიკობდა, იმედი უცრუდებოდა, იღლებოდა კიდევც, და ყველა ასე ლაპარაკობდა: „რაში ჭირდებოდა მაგას ასეთი კაცი, ნაჯაფი, გალახული, ნატანჯი, ირგვლივ ხომ ამდენი ძლიერია დამკვიდრებულიო.“

მაგრამ არავინ იცოდა, რომ მასზე ძლიერი არავინ იყო ამ დედამიწაზე, ისინი ხომ ერთად იყვნენ, მაშასადამე ყველაზე ძლიერები იყვნენ. ეს უკვე მისი ქალბატონის საიდუმლო იყო. იგი ჭრილობებს უხვევდა ქალს, ღამეები არ ეძინა, ხანაც მოიწყენდა ხოლმე და ხანაც ტირიდა.

ყველა ამბობდა: „ნეტავ რა ნახა მაგან ამ ქალში, ამ დანაოჭებულ და ჩაღურჯებულ თვალებიანში. მაგას ხომ ნებისმიერი ახალგაზრდა ლამაზმანის არჩევა შეუძლიან?“

მაგრამ არავინ არ იცოდა, რომ იგი ყველაზე ლამაზი იყო მსოფლიოში. ვინ შეედრება სილამაზით იმას ვინც გიყვარს? მაგრამ ახლა, ეს უკვე მისი საიდუმლო იყო.

ისინი კი ცხოვრობდნენ, უყვარდათ ერთმანეთი და იყვნენ ბედნიერნი.

ყველა გაოგნებული იყო: „როგორ შეიძლება, რომ არ მობეზრდნენ ერთმანეთს ამ ხნის განმავლობაში? ნუთუ არავითარი სიანკლე არ უნდათ?“

მათ არავითარი პასუხი არ გაუციათ მათთვის. ისინი ხომ მხოლოდ ორნი იყვნენ, სხვანი კი, მართალია, ძალიან ძალიან ბევრნი, თუმცა მაინც გათითოკაცებულნი, სხვაგვარად ხომ არც ერთი კითხვა არ გაუჩნდებოდათ მათ. ეს მათი საიდუმლო ხომ არ იყო, ეს იყო ის რასაც ვერ ახსნიდა... არცაა საჭირო ამის ახსნა!!!

მანათმა განდის პრინციპები

თუ გსურს ცვლილებები მომავალში, – დღეიდანვე გახდი ეს ცვლილებები.

* * *

თუ ჩვენ გვსურს ნამდვილი მშვიდობის მიღწევა მთელს მსოფლიოში, მაშინ უნდა დავიწყოთ ბავშვებიდან.

* * *

მსოფლიო საკმარისად დიდია იმისათვის, რომ ნებისმიერი ადამიანის გაჭირვება დააკმაყოფილოს, მაგრამ ძალზედ პატარაა იმისათვის, რომ ადამიანთა სინარბე დაკმაყოფილდეს.

* * *

ღრმა დარწმუნებით ნათქვამი „არა“, უმჯობესია ვიდრე „კი“ ნათქვამი მხოლოდ გულის გასახარად, ან მთლად უარესი, რათა მოცილო პირობები.

* * *

ჩვენ დაგვლუპავს პოლიტიკა პრინციპების გარეშე, სიამოვნებანი სინდისის გარეშე, სიმდიდრე უშრომელად, ცოდნა უხასიათოდ, ბიზნესი მორალის გარეშე, მეცნიერება კაცთმოყუარეობის გარეშე და ლოცვა უმსხვერპლოდ.

* * *

„თვალი თვალისა წილ“ პრინციპის თანახმად მთელი – მსოფლიო დაბრმავდება.

* * *

თავდაპირველად ვერ გამჩნევენ, შემდეგ დაგცინიან, მერე უკვე გებრძვიან. აი ამის შემდეგ კი შენ უკვე იმარჯვებ.

* * *

მე რომ იუმორის გრძნობა არ მქონოდა სიცოცხლეს თვითმკვლევლობით დაგასრულებდი.

* * *

ღმერთს რელიგია არა აქვს.

* * *

ლოცვაში უმჯობესია გული სიტყვების გარეშე, ვიდრე უგულო სიტყვები.

* * *

პატარა სხეულს, სულიერებით განპირობებულს და საკუთარი მისიის მიმართ ურყევი რწმენით შთაგონებულს შეუძლიან ისტორიის მსვლელობის შეცვლა.

* * *

ადამიანი, რამხელაც არ უნდა იყვიროს მან, მაინც ვერ მიაწვდენს ხმას იქ, სადაც მიწვდება სინდისის ჩუმი, ხმადაბალი სიტყვა.

* * *

მე ძალადობის მოწინააღმდეგე ვარ. იმიტომ რომ, როცა ჩანს თითქოს ბოროტება სიკეთის მქმნელია, ეს სიკეთე ძალზედ ძალზედ ნცირება და ხანმოკლე, ბოროტება კი ძალზედ დიდი და სამუდამო.

* * *

საკუთარი თავის მოპოვების საუკეთესო საშუალებაა – თავი დაანებო სხვის მსახურებას.

* * *

რაც არ უნდა გააკეთო ცხოვრებაში ეს იქნება მეტად უმნიშვნელო რამ, მაგრამ მთავარია გააკეთო შენ ეს შენი რაღაც რამ.

* * *

ის, რის შეცვლასაც შენ შენს ირგვლივ აპირებ, ჯერ შენში შეცვალე.

* * *

თუ გინდა შეცვალო სამყარო – შეიცვალე შენ.

* * *

ბედნიერება ესაა ის, როდესაც ნათქვამი და საქმე ერთხვევიან ერთმანეთს.

* * *

ერთადერთი ტირანი რომელსაც მე ვცნობ, ეს ჩემი შინაგანი ხმაა.

* * *

თავისუფლება არაფრად არ ღირს, თუ შეცდომის თავისუფლება არა გაქვს.

* * *

ისე იცხოვრე, თითქოს ხვალ კვდები; ისე ისწავლე თითქოს უკვდავი ხარ.

ძველი აღმოსავლეთის სისუფთავის

ტრაქტატის 7 წესი:

1. „ხელების სისუფთავე“. ეს ნიშნავს არ აიღო არაფერი ზედმეტი. აქ იგულისხმება მეორმოცედი, მეათედი ან სხვა რაიმე წილი შემოსავლებისა, რომელიც უპოვართათვის უნდა გაიღო.

2. „ყურების სისუფთავე“, რაც ნიშნავს არ მოუსმინო შეშინებულებს, დაბოღმილებს, აფორიაქებულებს და ა.შ. ამასთან ერთად დაიცავი საკუთარი ყურები ბილწსიტყვაობისაგან, ჭორისა და ფუჭი საუბრებისაგან.

3. „თვალების სისუფთავე.“ ეს ნიშნავს დაიცვა ისინი სიძულვილისაგან, ბოღმისა და შურისაგან, ასევე ყოველგვარი დაუოკებელი ნდომისაგან.

4. „პირის სისუფთავე. ეს ნიშნავს დაიცვა პირი ზედმეტი სიტყვებისაგან და ბილწსიტყვაობისაგან. ყველაზე ძვირფასია – დუმილი.

5. „სულისა და სამოსელის სისუფთავე.“ ეს ნიშნავს იმას რაც ამაში იგულისხმება.

6. „აზრების სისუფთავე“. ეს ნიშნავს თავიდან ამოიღო ნეგატიური აზრები და ბოროტი ზრახვები. ეს იმასაც ნიშნავს რომ არ უნდა შეიცოდო საკუთარი თავი, რატომ უნდა გეცოდებოდეს საკუთარი თავი? განა უმჯობესი არაა გაამხნევო საკუთარი თავი კეთილი წამოწყებებისათვის?!

7. „სულისა და გულის სისუფთავე.“ ეს ნიშნავს შეინარჩუნო და მოუარო საკუთარი სულის წადილს და არ უგულუბელჰყო ისინი. გიყვარდეთ და ნურაფერს ითხოვთ სამაგიეროს. სიყვარული თავისთავად უკვე ბედნიერებაა.

* * *

უზენაეს ნეტარებას მიაღწევ, თუ საკუთარ თავს ღმერთს მიუძღვნი; სხვას არაფერს არ მოაქვს ჭეშმარიტი და მარადიული სიხარული.

* * *

გაი იმათ, რომელნიც ელოდებიან, რამეთუ ასეთები მუდმივი დაბადებებისათვის არიან განწირულნი ამ დედამიწაზე, უფიცნი და შეუგნებელნი...

* * *

თუ მოგზაური ვერ შეხვდება თავისსავე მსგავსს ან უკეთესს, დაე განმტკიცდეს მარტოობაში: ბრიყვთან მეგობრობა შეუძლებელია.

* * *

ამ ქვეყანაზე სიძულვილით სიძულვილი არასოდეს არ შემწყდარა, არამედ სიძულვილის მოშლით ქრება იგი.

* * *

ყველაზე შედეგიანი ღოცვა ღმერთისადმი – ესაა დახმარება იმათ მიმართ, ვინც დახმარებას საჭიროებს. და ეს იმიტომ, რომ, რასაც თქვენ სხვისთვის გააკეთებთ, ღმერთი იგივეს გააკეთებს თქვენს მიმართ.

* * *

ყველაზე საუკეთესო წამალი ამ ქვეყანაზე: – გიხაროდეს ყველაფერი.

* * *

არ იყო, არც იქნება და ეხლაც არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც მხოლოდ გაიციხვას ან მხოლოდ ქებას იმსახურებდეს.

* * *

მცოდნე დუმს, მოლაპარაკე უმეცარია.

* * *

ილაპარაკეთ სიმართლე. ნუ აჰყვებით ბოღმას. თუ რაიმეს შეგეხვეწებიან – გაუწიეთ დახმარება. ამ სამი პირობის შესრულებით მიუახლოვდებით ღმერთს.

* * *

ვინც სიკეთის კეთებას არ ჩქარობს, – ბოროტებით ტკბება.

* * *

ნურავის ნუ მისცემ უფლებას თავს მოგახვიოს უარყოფითი გრძნობები და საკუთარ უარყოფითსაც ნუ მოახვევ მათ თავს. განსაკუთრებით ერიდე სიხარულის გაზიარებას შურიანებთან.

* * *

ეცადე რამდენადაც უნარი შეგწევს და საშუალება გიწყობს ხელს, დაეხმარე გაჭირვებულს, – ეს იმიტომ, რომ ღმერთი ყველაშია.

* * *

სიცოცხლე ტირილით იწყება, მაგრამ სიცოცხლით უნდა დასრულდეს.

* * *

ვინც სიავეს არ ჩადის, დაცულია სიავისაგან.

* * *

ის რაც წამალია ერთისათვის, შხამია სხვისთვის.

* * *

დაუზოგავი, თავდადებული შრომა საკუთარი თავის მიმართ – მეფეთა ხვედრია (სულიერი მეფობა).

განცხრომა და ფუფუნება – მონათა ხვედრი.

* * *

SATIAT NESTI, PARO DHARMAN.

არა არს რელიგია ჭეშმარიტებაზედ მეტი.

* * *

ადამიანის უბედურებათა მიზეზი,–მისი ცნობიერების გაორებაა.

* * *

ვინც გადარჩება, მათთვის „ოქროს ხანა“ დადგება. დიან, ბევრი რამ შეიცვლება ჩვენს დედამიწაზე „მეთორმეტე პლანეტის“ მოსვლასთან ერთად.

* * *

დღეს ჩვენი დედამიწა სერიოზულადაა დაავადებული იმ ბოროტი ადამიანებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავისათვის ცხოვრობენ.

* * *

კარგი ადამიანები დედამიწაზე არ იბადებნიან. კარგებად მათ სწავლა განათლება და მასწავლებლები გარდაქმნიან.

* * *

ვისაც ცული ხელში ერჩის, მას მახვილი არ სჭირდება.

* * *

სადაც ხალხი ღმერთს მიმართავს, ღმერთიც იქვე გამოჩნდება.

* * *

სიარულის მცოდნე კვალს არ ტოვებს.

* * *

იმეგობრე სათნო და კეთილ ადამიანებთან გინდაც რომ ამას, სახელიც და, გნებავთ, სიცოცხლეც ეწირებოდეს.

* * *

არსებობს მხოლოდ სამი მეცნიერება:

1. მათემატიკა 2. მუსიკა და 3. ასტროლოგია.

* * *

თუ ვინმე ნახავს ბრძენს, რომელიც თქვენს ნაკლოვანებებს ამხელს და გსაყვედურობთ თქვენ მათ გამო, გაყვევით მას, როგორც თქვენი განძეულის მცოდნეს.

* * *

არავინ დაიხლოვო რომ იგი ღმერთზე ახლო გახდეს შენთვის და ღმერთისადმი შენ სიყვარული დაჩრდილოს. ამ სიყვარულის უკმარისობა და ჭეშმარიტი მოწადინების არქონა, შენი თვითრეალიზების პროცესს შეაჩერებს.

* * *

ადამიანებს ამ დედამიწაზე არ შეუძლიათ დამოუკიდებელი თვითრეალიზაცია მრავალი მიზეზის გამო. უმთავრესი მათგანია,– სიზარმაცე და უნებისყოფობა ფიზიკურ სხეულში არსებობის გაუცნობიერებლობის გამო.

* * *

ნუ გააკეთებ იმას რაც გინდა და შეძლებ აკეთო ის რაც გსურს

* * *

წარსულ ცივილიზაციათა დაკარგულ ცოდნას ხელახლა გვიბრუნებს შამბალა, და დღესაც ისინი წარმართავენ კაცობრიობის სულიერ და ტექნიკურ პროგრესს ამ ქვეყანაზე.

* * *

როდესაც ადამიანის სიცოცხლე იძენს შინაარსს, მაშინ იგი მზადაა გაუდგეს განწმენდისა და განსაცდელების გზას.

* * *



ISSN 1512-2794



9771512279000